F 75/2 N 13831

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნოვაიდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

სამშაბათი, 27 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 21 (1176)

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— იაპონიასთან ხელშეკრულებამ [illegible] ბული.
— გადადგა შვეციის პრემიერი ბრანტინგი.
— გადადგა პრუსიის კაბინეტი.
— ეგვიპტეში სასტიკად ხდევნიან ზაღლულ-ფაშის მომხრეებს.
— რომში აღმოაჩინეს კომუნისტების საიდუმლო ბინა.

ლენინის „კვირეულის" შემდეგ

ჩვენ ჩავატარეთ ბელადის ხსოვნის აღსანიშნავი კვირეული. არა მარტო ჩვენ, საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსები,—მთელი მსოფლიოს კომპარტიები და რევოლიუციონური პროლეტარიატი აქტიურად გამოეხმაურენ საერთაშორისო რევოლიუციის წინამძღოლის გარდაცვალების წლის თავს.

განვლილ კვირას ერთხელ კიდევ ვეზიარეთ განსაკუთრებული ინტიმობით ლენინის გენიალურ პიროვნებას, უფრო ღრმად ჩავუკვირდით მის მოძღვრებას, მთელი მისი სიცოცხლის საქმეს, მემკვიდრეობას, ანდერძს.

ძირითადი ანდერძთაგანია ილიჩის პარტიის შინაგანი მთლიანობის და ფოლადისებური დისციპლინის დაცვა.

ჩვენი მტრები ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებდენ იმ უთანხმოებაზე, რომელიც დრო გამოშვებით იჩენდა ხოლმე თავს ჩვენი პარტიის რიგებში. ისინი ბოროტი სიხარულით ადევნებდნენ მას თვალყურს, აზვიადებდნენ, ცდილობდნენ მის გაღრმავება-გამწვავებას. მშრომელთა დიქტატურის მტრებს კარგად აქვს შეგნებული, რომ ჩვენი პარტიის მთლიანობის და დისციპლინის შერყევა არის ამავე დროს ამ დიქტატურის საძირკვლის შერყევა, ვინაიდან ჩვენი პარტია წარმოადგენს მუშათა კლასის დიქტატურის, საბჭოთა სახელმწიფოს ხერხემალს და ტვინს.

მაგრამ ეს არა ნაკლებ ესმის ჩვენს პარტიას, და ამიტომაცაა იგი ასეთი სიმტკიცით იცავს თავის რიგების მთლიანობას და სიმჭიდროვეს.

ცეკას პლენუმის ამას წინეთ გამოქვეყნებული რეზოლიუცია ამხ. ტროცკის გამოსვლების შესახებ, ძირფესვიანად ჰკვეთს პარტიაში ყოველგვარ მერყეობას, გადახრას, მთლიანობის შესუსტებას და ყველა ამის მომავალში განმეორების შესაძლებლობას.

ლენინის გარდაცვალების წლის თავზე, ამხ. ტროცკის გასვლებთან დაკავშირებით, პლენუმმა დასვა საკითხი,—„წარმოადგენს თუ არა რ. კ. პ. 1925 წელში ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც გამოკვეთილია ერთ ნაჭრიდან და ურყევლად დგას ლენინიზმის საძირკველზე, თუ პარტიას, რომელშიც ნახევრად მენშევიკური შეხედულებები შეიძლება გახდნენ „კანონიერ მიმდინარეობად".

და პლენუმმა გადაჭრით უარყო ლენინიზმის რევიზიის ცდები და ასევე გადაჭრით აღიარა, რომ ის არ დაუშვებს ბოლშევიზმის იდეურ და ორგანიზაციულ პრინციპების გადამახინჯებას, მით უმეტეს სხვა რამეთი შეცვლას.

ამასთან თავის ბელადის სიკვდილის წლის თავზე მთელმა პარტიამ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები და აღთქმა დასდო მისი ხსოვნის წინაშე, რომ აწიც, ისე როგორც წინედ, მაღლა ეჭირება და შეუბღალავად შეინარჩუნებს ლენინიზმის დროშას.

ლენინიზმის ერთ უმთავრეს დებულებას წარმოადგენს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი ჩვენს რევოლიუციაში. ეს კავშირი არის საფუძველი მშრომელთა დიქტატურის, მისი შენარჩუნება-განმტკიცება არის საწინდარი საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვების.

ამხ. ტროცკის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან ვერ შეაფასა გლეხობის როლი და მნიშვნელობა ჩვენს რევოლიუციაში. პარტია ამ საკითხში, რა თქმა უნდა, ამხ. ტროცკის ვერ გაჰყვებოდა,—ეს იქნებოდა საბოლოო ანგარიშით რევოლიუციის დაღუპვა.

პირიქით, პარტია მთელ ძალღონეს ხმარობს ამ ორ მონათესავე კლასის კავშირის უფრო განმტკიცება გაღრმავებისათვის. ჩვენი დღევანდელი ძირითადი ლოზუნგია—პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ. მიმდინარე ცხოვრების ყველა მთავარი საკითხების გადაჭრის დროს ჩვენ გამოვდივართ პირველ ყოვლისა მშრომელი გლეხობის ინტერესებიდან. წარმოების გაფართოვება და მრეწველობის პროდუქციის გაიაფება, ღონისძიებანი სასოფლო მეურნეობის აღორძინებლად, კოოპერაციის განვითარება, საკრედიტო საქმის სათანადოდ მოწყობა და სხვ. ისახავენ გლეხობის ნივთიერ კეთილდღეობის აწევას და მისსა და მუშათა კლასს შორის ეკონომიური კავშირის უფრო განმტკიცებას.

მეორე მხრივ ფართე გასაქანი უნდა მივსცეთ გლეხობის პოლიტიკურ აქტივობას და გლეხური საზოგადოებრივობის ზრდას.

აქ პირველ ყოვლისა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოების არჩევნებს, რომელიც უკვე დაწყებულია ჩვენში.

არჩევნებში უნდა ჩავაბათ მთელი მშრომელი გლეხობა. მათ საშუალება უნდა მივცეთ თავისუფლად გამოხატონ თავისი ნამდვილი ნებისყოფა და გაიყვანონ ის პირები, რომელთაც პატივისცემა და ნდობა აქვთ დამსახურებული გლეხობაში და რომელნიც ურყევლად დგანან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. არავითარ ძალდატანებას, ამომრჩევლებისათვის ხელოვნურათ კანდიდატობის მოხვევას არ უნდა ექნეს ადგილი.

თვით საბჭოების მუშაობა უნდა იქნეს გამოცოცხლებული. ისინი უნდა გახდენ, არა ქაღალდზე, არამედ საქმით, სინამდვილეში, ხალხის სურვილების და მისწრაფებათა გამომხატველ-გამტარებელ ორგანოებად.

უაღრესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სოფლად ყოველგვარი უკანონობის, თვითნებობის აღმოფხვრას. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მრავალი ფაქტი იყო გამოქვეყნებული, რომელნიც ამოწმებენ, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. სოფლად საბჭოთა კანონიერების დაცვა, ულმობელი ბრძოლა ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებასთან, უფლების გადაჭარბებასთან თანამდებობის პირთა მხრით, გლეხობის უფლებების და ინტერესების უგულებელყოფასთან შეადგენს ჩვენს მთავარ ამოცანათაგანს.

ყველაფერ ამაზე, რაც წარმოადგენს ლენინის ანდერძს, ბელადის ხსოვნის აღსანიშნავ კვირეულში ერთხელ კიდევ გვქონდა საუბარი პარტიულ და უპარტიო მასსათა შორის.

„კვირეულმა" უფრო ღრმად შეგვაგნებინა ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები, უფრო გაზარდა ჩვენში პასუხისმგებლობის გრძნობა ლენინის აღთქმათა განხორციელების საქმეში, უფრო მეტი სიმხნევე და ენერგია შეგვმატა ამისათვის.

ჩვენ უნდა გავაასკეცოთ პრაქტიკული მუშაობა ამ მიმართულებით. ამას გვავალებს ბელადის ნათელი ხსოვნა.

დიადი ანდერძი

დიდმა ლენინმა რუსეთის და მსოფლიო პროლეტარიატს დაუტოვა დიადი სამკვიდრო — საბჭოთა სახელმწიფო, რუსეთის კომუნისტური პარტია და კომინტერნი—და უანდერძა: შეინახეთ, გაამაგრეთ, გაადიდეთ იგი და ემზადეთ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის, ამზადეთ მისი მოახლოვება, უბელადეთ მას და მიიყვანეთ იგი სრულ და საბოლოო გამარჯვებამდეო.

საბჭოთა კავშირი, ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილი, მრავალრიცხოვან გლეხობასთან მჭიდრო და განუყრელ კავშირზე დამყარებული წარმოადგენს, დღიდან თავის წარმოშობისა, უზარმაზარ წითელ კუნძულს, გარშემორტყმულს კაპიტალისტურ-იმპერიალისტური მსოფლიოთი. საბჭოთა რესპუბლიკა უმთავრესი დასაყრდნობი ძალაა დასავლეთ-აღმოსავლეთის მშრომელთათვის მათ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში იმპერიალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ. რაც უფრო ძლიერია იგი, მით უფრო ახლოა ჟამი მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვებისა. და პირიქით: მისი დასუსტება-განადგურება—წინამორბედია იმპერიალიზმის კვლავ გაძლიერება-განმტკიცებისა მთელ დედამიწის ზურგზე. კომუნიზმსა და იმპერიალიზმს შორის ატეხილ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში შრომის რესპუბლიკა თამაშობს დღეს პირველ როლს. და ეს როლი მით უფრო დიდი და გადამწყვეტი იქნება უკანასკნელი შეტევის დროს ავაზაკურ-პარაზიტული ქვეყნის წინააღმდეგ. ამ გიგანტურ ჭიდილში ძლიერი, მრავალ საუკუნოებით გამობრძმედილი, ფლიდი და ცბიერი მტერი მიმართავს მრავალფეროვან ტაქტიკურ-სტრატეგიულ ფანდ-მანიოვრებს. ბრძოლა გაშიშვლებული ხმლით, როცა და სანამ ეს ხელსაყრელია და მიზანშეწონილი მისთვის, ბრძოლა „მშვიდობიანი" საშუალებებით, დიპლომატია, მოლაპარაკება, ხელშეკრულება, ეკონომიკა, „დე იურე" და სხ. მიზანი ერთია: საბჭოთა სახელმწიფოს დაპყრობა-დამორჩილება ანდა კაპიტალისტურათ გარდაქმნა-გადაგვარება. მარა ამაოთ: მშრომელთა დიქტატურა ამ მსოფლიო დუელში უფრო და უფრო იბრძმედება, კაჟდება და სალკლდევდება, და დღეს იგი უფრო ძლიერია ჩამოყალიბებული, ვიდრე ოდესმე.

რუსეთის კომუნისტური პარტია უძველესი და უძლიერესი სექციაა კომინტერნში. იგი ძლიერია და უძლეველი თავის სამი ათეული წლის უაღრესად რევოლიუციონური გამოცდილებით, საოცარი დარაზმულობით და ფოლადისებური დისციპლინით, ჯერ არ ნახული, არ გაგონილი რევოლიუციონური ენტუზიაზმით, ფანატიზმით და თავდადებით, დაურღვეველი მთლიანობით, უდიდესი საკაცობრიო იდეალებით და პერსპექტივებით. რ. კ. პ. სული და გულია ოქტომბრის რევოლიუციის და საბჭოთა რესპუბლიკის, თავის საისტორიო გზაზე კოლოსალური დაბრკოლებების გადამლახავი. იგი შეუდარებელი მესაჭეა ჩვენი კავშირის. რ. კ. პ. ავანგარდია ნორჩი გიგანტის—რუსეთის პროლეტარიატის, რომელსაც მხარს უმაგრებს რევოლიუციონური გლეხობა. მარა ეს ცოტაა. რ. კ. პ. უმთავრესი და უპირველესი ხელმძღვანელია და სულის ჩამდგმელი კომუნისტური ინტერნაციონალის, რომელიც თვითონ შექმნა. რ. კ. პ. ფლობს საუცხოვო ინსტრუმენტს ლენინიზმს, რომლის სწორი ხმარებით მას შეუძლია და შესძლებს კიდევაც მთელი მსოფლიოს დაპყრობას. რ. კ. პ. ულენინიზმოთ და ლენინიზმი რ. კ. პ. გარეშე წარმოუდგენელია, ისე როგორც ოქტომბერი—ულენინოთ. რ. კ. პ. უძლეველია იმდენათ, რამდენათაც მის საფუძველს შეადგენს სწორათ გაგებული და შესისხლხორცებული ბოლშევიზმ-ლენინიზმი—ეს ბასრი იარაღი გაყვლეფილთა მასსების დასარაზმავათ და მტრის შესამუსრავათ.

კომუნისტური ინტერნაციონალი,—ესეც პირმშო შვილია ლენინის.—შერცხვენილი და გაკოტრებული მეორე ინტერნაციონალის დასჯობა-დასამარება და მესამის შექმნა,—ეს იყო უპირველესი და უმთავრესი მისწრაფება ლენინის ბუმბერაზი თავის, ზღვა-გულის და რკინის ნებისყოფის, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის დროს და ოქტომბრის აჯანყების შემდეგ. მესამე ინტერნაციონალი წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდს რომლის მთავარი და ერთად ერთი მიზანია—ხელი შეუწყოს, დააჩქაროს და უხელმძღვანელოს კომუნისტურ რევოლიუციის გამარჯვებას მთელ დედამიწის ზურგზე. კომინტერნი ისეთივე ინსტრუმენტია მსოფლიო მუშურ გლეხური რევოლიუციის დასავლეთ-აღმოსავლეთში, როგორიცაა რ. კ. პ. რუსეთის ოქტომბრისათვის. კომინტერნი გაიმარჯვებს, ვინაიდან ის ივლის ლენინიზმის გზით. კომინტერნი მართლაც გენერალური შტაბია, რომლის მოწოდებაზე მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატი სასიკვდილო იერიშს მიიტანს იმპერიალიზმზე. კომინტერნი მუქარა და რისხვაა ბურჟუაზიისათვის, მთელი ქვეყნის გაბატონებულ, მყვლეფელ და მჩაგვრელ კლასებისათვის და უდიდესი იმედი მასწავლებელი და ხელმძღვანელი ყველა ჩაგრულთათვის. კომინტერნის სამშობლოა წითელი მოსკოვი და საბჭოთა კავშირი—მისი გამოსავალი დასაყრდნობი წერტილი. პირველი და ერთად ერთი მუშურ-გლეხური სახელმწიფო წელს უმაგრებს კომინტერნს და პირიქით: კომინტერნი საერთაშორისო პროლეტარიატის, და აღმოსავლეთის დამონავებულ ხალხთა სახით მხარს უჭერს წითელ რესპუბლიკას, ურომლისოთ მსოფლიო კომუნიზმი ვერ გაიმარჯვებს. საბჭოთა რესპუბლიკა და კომინტერნი—განუყრელი ძმებია, რომელთაც ურთიერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ: ერთის ძლიერება მეორის ძლიერებაა, ერთის დასუსტება იწვევს მეორის დასუსტებას. სამი დიადი სამკვიდრო დაგვიტოვა ჩვენმა ბელადმა. ლენინი ყველაზე უფრო მას უყვარს, ვინც ზედმიწევნით შეითვისა და ითვისებს მის მოძღვრებას და საქმით ასრულებს მის უკვდავ ანდერძს: თავდადებულათ იბრძვის კომუნიზმისათვის. ძნელია, ეს საქმე. მარა ერთი წელი ულენინოთ იმდენს გვაძლევს, რომ ჩვენი პარტია მუდამ ივლის წინ, წითელი ვარსკვლავისაკენ, ლენინიზმით ჩირაღდნით ხელში.

თ. კალანდაძე.

ამას ბოლო უნდა მოეღოს

(შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხის გარშემო)

მალე ერთი წელი გავა მას აქეთ, რაც დავიწყეთ შრომის ნაყოფიერების აწევის კამპანია.

არ შეიძლება ითქვას, რომ ის ჩვენ ჩაგვეტარებიოს სუსტათ. ამ მხრივ ბრალს ვერ დავდებთ ვერავის. კამპანია ყოველმხრივათ იყო ჩატარებული, როგორც პრესაში, ისე საწარმოო თათბირებზე და სხვაგანაც. ეხლაც თითქმის მუდამ დღე ამაზე ვლაპარაკობთ. ამ საკითხს პირველ ხარისხოვნობა არ დაუკარგავს. ნაყოფიც აქა იქ უკვე საგრძნობელი ხდება და საერთოდ შრომის ნაყოფიერების ხაზი, თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაღლა მიდის.

ეს საერთოდ ასე არის, მაგრამ აქა იქ კიდევ შეხვდებით ისეთ სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებას, სადაც არაფერი არ შეცვლილა. საქმე მიმდინარეობს ძველებურად. შრომის ნაყოფიერების გაზრდის კამპანია მათთვის შეუმჩნეველი დარჩა, ანდა შეამჩნიეს, მაგრამ იფიქრეს, რომ ყველაფერი ეს მათ არ ეხებათ. თავს არ იწუხებენ.

ჩვენი მოვალეობა არის ვამხილოთ ასეთი წარმოება-დაწესებულებები. თუ ასე არ მოვიქეცით, ვერავითარი კამპანიები შრომის ნაყოფიერების აწევის შესახებ მათ ვერ გააღვიძებს.

სათანადო ყურადღება ჩატარებულ კამპანიაში მიქცეული ქონდა ზედმეტი და არა მიზანშეწონილ ხარჯების შემცირებას, მის სრულიად მოსპობას ან მინიმუმამდე დაყვანას. ენახოთ თუ როგორ შეასრულეს ეს ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებმა.

ავიღოთ, მაგალითად, სპეციალისტების დაჯილდოების საკითხი. სპეციალისტებს არსებული წესით წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ენიშნებათ სპეციალური განაკვეთები, რომელნიც თავის რაოდენობით აღემატებიან ამ წარმოება-დაწესებულებაში არსებულ 17 ხარისხიან ცხრილის განაკვეთებს. სპეციალისტების შრომის ქირის მხრივ ცალკე გამოყოფის მიზანშეწონილობა უდავო არის. მათი შრომა ჩვენი მეურნეობისათვის ძლიერ ძვირფასია და ცხადია, მათ დაჯილდოებას სათანადო ყურადღება უნდა ექცეოდეს. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ჩვენ კიდევ არ გვაქვს იმდენი შეძლება, რომ დიდი ხელგაშლილობა გამოვიჩინოთ.

მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო წარმოება-დაწესებულება ამაზე არ ფიქრობს. სპეც-განაკვეთების გარდა სპეციალისტებს ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში აძლევენ ზედმეტი სამუშაოს ჯილდოს, მაშინ როცა იმ პირთა სამუშაო დრო, რომელნიც სპეც-განაკვეთებს იღებენ, განუსაზღვრელი არის. სპეცგანაკვეთიანი მომუშავენი ვალდებულნი არიან იმუშაონ სამუშაო საათების განუსაზღვრელად, იმდენი რამდენიც საჭირო იქნება საქმისათვის და ნორმალურ სამუშაო საათების ზევით მუშაობისათვის კანონით მათ არაფერი ერგებათ.

თამბაქოს ტრესტში სპეციალისტების დაჯილდოვებას ზედმეტ საათებში მუშაობისათვის მიუღია კურიოზიული ხასიათი. **ხშირად ეძლევათ ზედმეტი სამუშაოს ჯილდო მივლინებაში ყოფნის დროსაც.** მივლინებაში მყოფთ ზედმეტი სამუშაოს დაჯილდოვება კი არავითარი წესით არ არის გათვალისწინებული. მივლინებაში მყოფთ ეძლევათ სამუშაო ხელფასი და კიდევ ეძლევათ დღიური. თამბაქოს ტრესტისათვის კი ეს საკმარისი არ ყოფილა და ის აძლევს თავის მოსამსახურეებს მივლინებაში წასვლის დროს ჯამაგირს, მივლინების დღიურებს და კიდევ ზედმეტ სამუშაოს ჯილდოს. აქვე შეიძლებოდა მოგვეყვანა ამ მოსამსახურეების გვარები და მათ მიერ მიღებული ჯილდო. ერთ მოსამსახურეს, რომელიც გაგზავნილი იყო ლაგოდეხში თამბაქოს მისაღებად მიეცა ერთ თვეში 700 მანეთამდე, მათ შორის ჯამაგირი 160 მან., მივლინების დღიურები—300 მანეთი და ზედმეტი სამუშაოს ჯილდო 160 მანეთი. ამავე წესით იქნენ დაკმაყოფილებულნი ლაგოდეხში მივლინებული სხვა მოსამსახურეებიც. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოანგარიშებით, ის თანხა, რომელიც არ ერგებოდათ ლაგოდეხში მივლინებულთ და მაინც მიეცათ,—უდრის 2.526 მანეთს *).

საინტერესოა ვიცოდეთ თუ რა გააკეთეს მათ ამის სათავსური.

ამავე ტრესტში და კიდევ რამოდენიმე სხვა წარმოება-დაწესებულებებში მივლინების დღიურების ნორმათ დაწესებულია არა თვიური ხელფასის 1 | 24 ნაწილი, არამედ 1 | 12. ამ რამოდენიმე თვის წინათ კი ჩვენს პრესაში დასმული იყო საკითხი, რომ დღიურების ნორმა თვიურ ხელფასის 1 | 24-ით გამოანგარიშებული ძლიერ დიდია და ზოგიერთი ამხანაგები თხოულობდენ კიდევ მის შემცირებას. ამავე დროს კი ზოგიერთი წარმოება-დაწესებულება დღიურებს ადიდებს.

საერთოდ გასაკვირია, რომ შრომის ნაყოფიერების აწევის და ხარჯების შემოკლების ამდენი კამპანიების ჩატარების შემდეგ ადგილი აქვს ასეთ არანორმალურ მოვლენას.

იმ წარმოება-დაწესებულებებმა, სადაც ასეთი რამეები ხდება, შეიძლება თავი გაიმართლონ მხოლოდ იმით, რომ ისინი ძალიან გართული არიან თავის საქმით და არ ესმით—თუ რა ხდება მათ გარშემო.

ასეთ უთავბოლობას და ხელგაშლილობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ტომელი.

---

*) ცნობები აღებულია მუშა-გლეხთა ინსპექციის გამოკვლევებიდან.

რადიო-დეპეშები

(„ზაკონსტა"-ს) ცნობები

იაპონიასთან შეთანხმების შემდეგ

იოშიზავას საუბარი ჟურნალისტებთან.

პეკინი, 23 იანვ. იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ, იოშიზავამ მიიღო ჟურნალისტები, რომლებთან საუბრის დროს კმაყოფილება გამოსთქვა ხელშეკრულების დადების გამო; იოშიზავამ ხაზი გაუსვა იმ უდიდეს დაბრკოლებებს, რომლებიც გადალახული იყო მოლაპარაკების დროს.

ხელშეკრულებას ჩქარა დაამტკიცებენ

ტოკიო, 25 იანვ. გარეშე საქმეთა მინისტრი შიდეხარა პარასკევს ესაუბრა საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარეს და ვიცე-თავმჯდომარეს, რომელთაც სთხოვეს მიიღონ ზომები იმისათვის, რომ **საბჭოს სასწრაფო საქმეებმა არ შეაფერხოს საბჭოთა კავშირის და იაპონიის ხელშეკრულების რატიფიკაცია და რომ ხელშეკრულება დამტკიცებული იქნეს 10 თებერვლამდე.**

იაპონიის პრესა ხელშეკრულების შესახებ.

ტოკიო, 25 იანვ. „ოსაკა მაინიჩი"-ს სწორად მიაჩნია კარახანის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის და იაპონიის ხელშეკრულება წარმოადგენს საძირკველს, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი შენობა.

„ოსაკა ოსახი" სწერს, რომ **რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულება განხილული უნდა იქნეს, როგორც ძლიერი გარანტია მომავალი მშვიდობიანობისა წყნარ ოკეანეზე და შორეულ აღმოსავლეთში.**

„ნიცი-ნიცი" აღნიშნავს, რომ რუსეთის მრეწველობის და მეურნეობის აღდგენა მართლაც განსაცვიფრებელია.

იაპონიის საქმიან წრეებში

ტოკიო, 25 იანვ. ხელმძღვანელი საქმიანი წრეები თითქმის ერთსულოვნად **ესალმებიან საბჭოთა კავშირის და იაპონიის ხელშეკრულების დადებას**; მათ გათვალისწინებული აქვთ, რომ საბჭოთა კავშირთან აღებ-მიცემობის აღდგენის შემწეობით იაპონიის სავაჭრო ბალანსი აქტიური გახდება. **ტოკიოს საქონლის ბირჟას უეცრად დაეტყო დიდი გამოცოცხლება**; მანამდე განწყობილება მოდუნებული იყო უკანასკნელი 10 დღის არასასურველ ბალანსის გამო. **ხუთშაბათს ვალიუტას დაეტყო აწევა საბჭოთა კავშირის და იაპონიის შეთანხმების გავლენით.**

უკმაყოფილოთა ბანაკში

პანები აღელვა საბჭოთა კავშირის და იაპონიის ხელშეკრულებამ.

ვარშავა, 25 იანვ. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის და იაპონიის შეთანხმებაზე ხელისმოწერამ. „გაზეტა ვარშავსკა" სწერს, **რომ ეს შეთანხმება წარმოადგენს საბჭოთა დიპლომატიის უდიდეს გამარჯვებას და ამას გარდა ის სცვლის ეხლანდელ ძალთა შეფარდებას შორეულ აღმოსავლეთში და ნიადაგს უმზადებს იაპონიის, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის კავშირის შექმნას.**

უკმაყოფილო არიან

ნიუ-იორკი, 25 იანვარი. ნიუ-იორკის კონსერვატიულ-რესპუბლიკანური ორგანო „ივნინგ პოსტ" ეხება იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას და სწერს: **„საბჭოთა რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა თავისი პოლიტიკური კამპანიიდან შორეულ-აღმოსავლეთში. ამერიკას ძალიან ზღუდავს საბჭოთა კავშირის და იაპონიის დაახლოვება, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მოსალოდნელს ხდის ახალ ფაქტებს.** ამიერიდან ამერიკის პოლიტიკას ჩინეთში საქმე ექნება არა მარტო იაპონიის გავლენის გაძლიერებასთან ამ ქვეყანაში, რომელშიაც ქაოტიური უწესრიგობაა, არამედ აგრეთვე რუსეთის გავლენასთან, რომელსაც ნაწილობრივ ჩუმად მხარს დაუჭერს იაპონია.

ამ ჟამად რუსეთის გავლენა საფრთხეში აგდებს მშვიდობიანობის წყნარ ოკეანეზე; იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელშეკრულებანი ინგლისთან და საფრანგეთთან რადგან ის შეიცავს მუხლს პროპაგანდის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია ისეთნაირად, რომ შეიძლება ის გავიგოთ, როგორც სანქცია საბჭოთა კავშირის და იაპონიის შეთანხმებულად გამოსვლისა ჩინეთში. საბჭოთა რუსეთის და იაპონიის კავშირი, ინგლის-იაპონიის კავშირის გაუქმების გამო, სავსებით შეეფერება იაპონიის საგარეო პოლიტიკას. ამერიკის პოლიტიკის გზები რთული და ძნელი ხდება.

კრასინი გაემგზავრა მოსკოვში

პარიზი. 25 იანვარი. **ჰავასის სააგენტოს ცნობით, კრასინი 24 იანვარს გაემგზავრა მოსკოვში.**

საფრანგეთი და ამერიკა

ნაუენი. 24 იანვარი. როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, სახელმწიფო დეპარტამენტმა საფრანგეთის მთავრობისადმი მიმართულ მემორანდუმში უარჰყო საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის კლემანტელის წინადადება საფრანგეთის ვალების გადახდის 10 წლით გაგრძელების შესახებ.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

დე-მონზი საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ფინანსიური თანამშრომლობის შესახებ.

პარიზი, 25 იანვ. ბანკეტზე, რომელიც გამართა სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო ასოციაციამ დე-მონზის საპატივცემლოდ, დე-მონზიმ გააცნო დამსწრეებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების ისტორია და განაცხადა, რომ **აუცილებელია რუსეთის მრეწველობის** აღდგენა და რომ საბჭოთა მთავრობამ გარანტიები უნდა მისცეს იმ წარმოებებს, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელია ეს აღდგენა.

„ეხლა საქმე იმაშია—სთქვა დე-მონზიმ,—თუ რა გზით შეიძლება ფინანსიური თანამშრომლობის განხორციელება: როგორი გარანტიები იქნება მოცემული, როგორი რაოდენობით და როგორი თანამშრომლობა იქნება ხელსაყრელი ყოფილ კრედიტორებისათვის. ამ საკითხების გადაჭრა შეიძლება არბიტრაჟის და საერთაშორისო შეთანხმების საშუალებით, რაც საშუალებას მისცემდა რუსეთს აღედგინა თავისი ეკონომიური ცხოვრება და თავის თავზე მიეღო ერთგვარი ვალდებულებები."

ჩვენ შევასრულებთ მხოლოდ ჩვენს ვალდებულებებს

ამხ. სოკოლნიკოვი საფრანგეთის პრეტენზიების შესახებ.

პარიზი. 23 იანვ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, „პტი-პარიზენ"-ის მოსკოველი კორესპონდენტი ესაუბრა სოკოლნიკოვს, რომელმაც განაცხადა, რომ მზად არის შეისწავლოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების ყველა შესაძლებლობანი ძველი ვალების საკითხის შესახებ.

„საბჭოთა ხელისუფლება—სთქვა სოკოლნიკოვმა—უარჰყოფს ფინანსიურ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა მეფის მთავრობამ, მაგრამ ის სისწორით შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელთაც ის თავის თავზე იკისრებს.

ბრიანი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

პარიზი. 23 იანვ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში საგარეო პოლიტიკის გარშემო გამართული კამათის დროს ილაპარაკა ბრიანმა. მან სთქვა: „ყველაზე უარესია სრული განკალკევება—ორ სახელმწიფოს შორის. ამიტომ, მიუხედავად ყველა დაბრკოლებებისა, რომლებიც შეიძლება ჩვენს წინაშე წარმოშვას საბჭოთა მთავრობამ, უნდა მივესალმოთ მთავრობას მოსკოვში საელჩოს დაარსებისა და დაცვისათვის".

შემდეგ ბრიანი პარლამენტის უმრავლესობის და მთავრობის წინაშე მოითხოვს არ იქნეს გაწყვეტილი კავშირი ვატიკანთან. ბრიანი აცხადებს, რომ ერიო, რომლის პატრიოტიზმი მან იცის, გამოძებნის საშუალებას განხეთქილების თავიდან ასაცილებლად.

პოლონური ბანდის თავდასხმა

(დაწვრილებითი ცნობები)

ჟიტომირი. 24 იანვ. ჟიტომირის საავადმყოფოში მყოფი იამპოლის მახლობელ საბაჟოს უფროსი დიკერმანი ფეხში მძიმე ჭრილობის შემდეგ უკვე რჩება. პოლონელების დაცემის შესახებ დაბა იამპოლზე—უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს მან განუცხადა შემდეგი:

„4 იანვარს ღამით ჩვენ მოგვესმა სროლის ხმა. მე რამდენიმე წითელარმიელით გავემგზავრე მოსამზღვრე ნაპირების დასათვალიერებლად.

გავიარეთ თუ არა მცირე მანძილი, ჩვენ წინ შემოგვეფეთა რამოდენიმე პირი. ჩვენ შეკითხვაზე—თუ ვინ მოდიხართ? —მოგვესმა პასუხი: „თქვენები ვართ!" მე მოვითხოვე აეხსნათ, თუ რას ნიშნავს ეს „თქვენები ვართ!" საპასუხოთ მე მომესმა რუსულ ენაზე გინება, მაგრამ ცხადი პოლონური გამოთქმით. ხმაზე ვიცანი, რომ მაგინებელი იყო პოლონელ მოსაზღვრე რაზმის ოფიცერი, რომელთანაც სამსახურის გამო რამდენჯერმე მქონია მოლაპარაკება. პოლონელების რაზმი გაემგზავრა თავიანთი ბინის მიმართულებით. ღამის პირველ საათზე მოულოდნელათ გაისმა საგანგაშო საყვირი. ჩვენ მაშინათვე მოვახტით ცხენებს და გავეშურეთ სამზღვრისკენ. პოლონეთის სამზღვრიდან ჩვენს ტერიტორიაზე მოდიოდა მათი რაზმი, რომელიც გვესროდა ავტომატიურ თოფებიდან და ხელის ყუმბარებს. ცოტა ხნის შემდეგ მე დავიჭერი ფეხში. ბევრი ვეცადე—შემეჩერებინა სისხლის დენა, ვერ მოვახერხე. ამიტომ ჩამოვრჩი რაზმს და წამიყვანეს ცალკე ოთახში. ბრძოლა უფრო გამწვავდა. ჩემ გვერდზე მჯდომმა ამხანაგმა ლუცემ ყური მოჰკრა, რომ ჩემ გვერდზე ოთახში ვიღაცა დაფათურობს. აღმოჩნდა, რომ ისინი პოლონელები იყვნენ, რომლებიც ჩემ ბარგსა სჩხრეკდენ. ჩვენებმა მაშინათვე სროლა დაუშვეს მათ და ერთი მათგანი კიდევაც მოკლეს. ორი საათის ბრძოლის შემდეგ პოლონელების რაზმი უკან გაბრუნდა და თან წაიღო მოკლულის გვამიც.

ჩემს ოთახში ყველაფერი აეფორიაქებინათ. ალბათ ეძებდენ საიდუმლო ცნობებს, მაგრამ ვერაფერი ვერ წაიღეს. ამ პირველი ცდის უშედეგობით გაბრაზებული პოლონელები მეორე დღესაც დაგვეცნენ, მაგრამ ისევე უშედეგოთ. უკანასკნელ დაცემის დროს მოღალატურათ ხელში ჩაიგდეს და ტყვეთ წაიყვანეს ერთი წითელარმიელი.

მუსოლინის სამეფოში

მუსოლინი გულახდილობს

რომი. 25 იანვარი. უკანასკნელ დროს უკიდურესი ფაშისტები უფრო და უფრო ძლიერად ილაშქრებენ მთავრობის წინააღმდეგ და ამტკიცებენ, რომ მუსოლინიმ მტკიცე კურსი აიღო მარტო ფაშისტების სიფიცხის შესასუსტებლად და რომ მუსოლინს კავშირი აქვს ლიბერალებთან, რისთვისაც მან ჩაატარა საარჩევნო რეფორმა. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მუსოლინიმ განაცხადა: „რასაკვირველია, პარლამენტს უნდა ეჭიროს ადგილი სახელმწიფოს ორგანიზაციაში, მაგრამ პარლამენტი არსებობს ისე, როგორც არსებობენ სამრეწველო საზოგადოებები, კომერციული წარმოებები და ბანკები; ამასთან ერთად ზოგჯერ კერძო კომერციულ საზოგადოებათა სხდომებს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ ქვეყნისთვის, ვიდრე კამათს პარლამენტში".

კომუნისტების კონსპირატიული ბინის აღმოჩენა

რომი. 25 იანვ. პოლიციამ რომში აღმოაჩინა კომპარტიის კონსპირატიული ბინა. დაპატიმრებულია ორი კომუნისტი. პოლიციელებმა წაიღეს პარტიული ბილეთები და ცირკულიარები.

რომი. 23 იანვ. განახლდა სენატის სხდომები. მუსოლინიმ მოხსენება გააკეთა კაბინეტის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების შესახებ და აგრეთვე წარუდგინა სენატს განსახილველად საარჩევნო რეფორმის პროექტი, რომელიც მოიწონა პარლამენტმა.

რომი, 23 იანვ. ფილოფაშისტური „ეპოკა" აფასებს ოპოზიციონურ ბლოკში შემავალ ცალკე ჯგუფების პოზიციას და ამტკიცებს, რომ „პოპოლიარი" ემხრობა პარლამენტში დაბრუნებას და ამას ასაბუთებს მით, რომ „მას არ შეუძლია გულგრილად შეხედეს კანონპროექტს პრესის შესახებ", რომლის განხილვა უნდა მოხდეს პარლამენტის გახსნის დროს. ნახევრად ოპოზიციონური „მონდო", პირიქით, ამტკიცებს, რომ ოპოზიციას განზრახული აქვს მედგრად დაიცვას წინანდელი პოზიცია.

უმუშევართა დემონსტრაცია სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი. 26 იან. 25 იანვარს გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია. დროშებს შორის ყურადღებას იპყრობდა კომუნისტების დროშა საბჭოთა ვარსკვლავით. მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საკმაო თანხების გადადებას უმუშევართათვის დასახმარებლად, საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობას და უმუშევრობის სახელმწიფო დაზღვევას.

მოკავშირეთაშორისო საფინანსო კონფერენციის მონაწილენი

(ინგლისი და ამერიკა საფრანგეთის წინააღმდეგ ვალების საკითხში).



ზევით **ვინსტონ ჩერჩილ**, ინგლისის ფინანსთა მინისტრი (შარჟი).

ქვევით მარცხნიდან მარჯვნივ: **ფრანკ კელლოგ** (ამერიკა), **მირონ ჰერრიკ** (ამერიკა), **ლოგან** (ამერიკა).

უკანასკნელი ცნობები

ბესარაბიის ოკუპაციის 7 წლის თავზე

მოსკოვი, 26 იანვარი. 25 იანვარს რუმინეთის ჯარების მიერ ბესარაბიის დაკავების 7 წლის თავზე მოსკოვში შესდგა ბესარაბიელების დიდი მიტინგი.

სიტყვებით გამოვიდენ წარმომადგენლები: უკრაინელ ბესარაბიელების სათვისტომოს, მოლდავანების, მოლდავიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჯანყებულ ბესარაბიელთა ჯგუფის, რუმინეთის კომპარტიის და სხ. დიდი სიხარულით ხვდება მიტინგი რაკოვსკის გამოსვლას ტრიბუნაზე. „ბესარაბიის შეერთება რუმინეთზე—ამბობს რაკოვსკი—არის ერთი უსაზიზღრესი და ამაშფოთებელი ფაქტი არა თუ ომის შემდეგ, არამედ ომის წინადროის ისტორიაშიც. სხვა ქვეყნის პროვინციის დაკავება ჩვეულებრივ შედეგია ომის, ბრძოლის და მსხვერპლის. რუმინეთმა კი დაიკავა პროვინცია 3 მილიონი მცხოვრებით, როგორც ავაზაკმა, რომელიც ღამით ბრძოლის ველზე სძარცვავს მოკლულებს. რუმინეთს ჩვენთან ომი არასოდეს არ ჰქონია. პირიქით, ის სრულებით მოსპობილი იქნებოდა, რომ რუსეთის ჯარისკაცებს მსხვერპლი არ გაეღოთ".

რაკოვსკის მიერ ბესარაბიის საკითხის ისტორიის გაშუქების შემდეგ მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელთ მხარი დაუჭირონ ბესარაბიელ მუშებსა და გლეხებს, მოაცილონ მათ რუმინეთის ჯალათები.

აფხაზეთის პროფკავშირთა ყრილობა

სოხუმი. დღეს იხსნება აფხაზეთის პროფკავშირთა ყრილობა.

ჯულფის რკინის გზისათვის

ბაქო. 26 იანვ. მოსკოვიდან იტყობინებიან 700.000 მანეთის გადადების შესახებ ჯულფის რკინის გზაზე ორი ხიდის გასაკეთებლად გარდა იმ 1.600.000 მანეთისა, რომლებიც ამ მიზნისთვის წინათ გადასდო სახალხო კომისართა საბჭომ. საამშენებლო მასალების გადაზიდვა რკინის გზით სწარმოებს უფასოთ.

ალბანეთის რესპუბლიკათ გამოცხადება

ათინა. 26 იანვარი. ალბანეთის პრეზიდენტმა ახმედ ზოგუმ აცნობა საბერძნეთის მთავრობას, რომ ალბანეთის ეროვნულმა ყრილობამ ალბანეთი გამოაცხადა რესპუბლიკათ.

პურის კრიზისი ბულგარეთში

ვენა. 26 იანვარი. ცუდი მოსავლის გამო ბულგარეთის მთავრობის მიერ პურის გაზიდვის აკრძალვის და პურზე სპეკულიაციასთან ბრძოლისთვის განსაკუთრებულ [illegible] კომისიის დაარსების მიუხედავათ მოსახლეობისთვის პურის მიწოდების საქმე საფრთხეშია. გაზეთ „ნაშიდნი"-ს ცნობით პურის გაზიდვა გრძელდება, რის გამო მოსახლეობას აკლია 15 მილიონი ფუთი ხორბალი. პურის ფასმა ერთ თვეში მოიმატა 50 პროც.

ოპოზიციონური პრესა სასტიკათ ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ, ბრალს სდებს მას უმოქმედობაში და სპეკულიანტებისთვის ხელის შეწყობაში.

ლენინის სახელობის საჰაერო ფლოტი

ლენინგრადი, 26 იანვარი. 25 იანვარს აეროდრომზე მოხდა ლენინგრადის ოლქის სამხედრო საჰაერო ფლოტის სამმართველოსთვის 18 თვითმფრინავ-განმანადგურებლების საზეიმო გადაცემა. ეს თვითმფრინავები, რომლებსაც ეწოდა ლენინის სახელობის ესკადრილია, ააშენეს საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებებმა.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

„იუმანიტე" საფრანგეთის კომპარტიის ყრილობის შედეგების შესახებ

პარიზი. 24 იან. ეხება რა ყრილობის შედეგებს, საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე" აცხადებს: „ჩვენმა მემარჯვენე ფრთამ რევოლიუციონური მუშების წარმომადგენლებისაგან მოისმინა მისთვის მეტად მკაცრი ჭეშმარიტება. კომპარტიას შეუძლია უშიშრად შეჰყურებდეს მომავალს. უჯრედების პოლიტიკურათ მომწიფება საშუალებას მისცემს მას ცენტრალურ პარტიულ დაწესებულებების ჩაურევლათ გამოამჟღავნოს სოციალ-დემოკრატიული გადახრა, რომელსაც შეუძლია კიდევ თავი იჩინოს კომპარტიაში. ყრილობის მიერ წამოყენებული ლოზუნგები ამბობენ: „ფართო მასების დარაზმვა ფაშიზმის წინააღმდეგ კომპარტიის ხელმძღვანელობით, პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა გლეხების, ქალების, ახალგაზრდობის და საშუალო კლასების დაპყრობა, რევოლიუციონური ძალების თანაბრად განაწილება პარიზსა და პროვინციებს შორის".

შვეციის ახალი პრემიერი

სტოკჰოლმი. 25 იანვარი. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა ავადმყოფობის გამო ბრანტინგის პრემიერის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბრანტინგი რჩება კაბინეტის წევრათ, პრემიერათ დაინიშნა ვაჭრობის მინისტრი სანდლერი.



ბრანტინგი
შვეციის ყოფ. პრემიერი

პრუსიის ლანდტაგში

ბერლინი, 24 იანვარი. პრუსიის ლანდტაგის სხდომაზე ნაციონალისტებმა უნდობლობა გამოუცხადეს სოციალ-დემოკრატიულ მინისტრებს: პრემიერ ბრაუნს და მინისტრ ზევერინგს და ჰირინგს.

უნდობლობის გამოცხადების წინადადებას ხმა მისცა 221 დეპუტატმა, წინააღმდეგ 218. ამის შემდეგ მოხდა მღელვარე სცენა მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის. კომუნისტ დეპუტატმა თავმჯდომარეს ხელიდან გამოგლიჯა ზარი და დაიძახა: „გაუმარჯოს კომუნიზმს". ამ შეძახილს იმ წამსვე მხარი დაუჭირეს ტრიბუნებზე. საქმემ კინაღამ ხელჩართული ბრძოლის ხასიათი მიიღო სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის.

დეპუტატები მეტად აღელვებული იყვენ. პრუსიის ლანდტაგის სხდომის დამთავრების შემდეგ, პრუსიის კაბინეტი გადადგა.

პრუსიის კაბინეტის გადადგომა

ბერლინი, 23 იანვარი. 23 იანვარს გადადგა პრუსიის კაბინეტი.

მთავრობის კრიზისი ბელგიაში

ტენისის კაბინეტის მდგომარეობა.

პარიზი, 24 იანვარი. ტენისის კაბინეტი, როგორც სჩანს, უკანასკნელ დღეებს განიცდის, რადგან ტენისი, წინააღმდეგ კათოლიკების და სოციალისტების სურვილისა, უარს ამბობს აადიდოს სახელმწიფო მოსამსახურეების ზოგიერთი კატეგორიების ჯამაგირი. იმ შემთხვევაში, თუ კანონი ჯამაგირების მომატების შესახებ მიღებული იქნა პალატის მიერ, მაშინ ლიბერალები გამოვლენ მთავრობის შემადგენლობიდან. სოციალისტები, კათოლიკები და ფლამანდიის ნაციონალისტები ფიქრობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტენისის კაბინეტი დაეცა, ისინი შესძლებენ ახალი მთავრობის შედგენას მაისში მოსალოდნელ საპარლამენტო არჩევნებამდი.

ალბერტ ტომას განცხადება

თეთრგვარდიელების მფარველი.

ბერლინი, 25 იანვ. ბერლინში ჩავიდა ჟენევის შრომის ბიუროს თავმჯდომარე ალბერტ ტომა, რომელმაც პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია მოლაპარაკების წარმოება პროფკავშირთა საქმეების შესახებ. ამას გარდა მან მოლაპარაკება უნდა აწარმოოს რუსი ემიგრანტების უფლებრივ მდგომარეობის საკითხის შესახებ, სახელდობრ კი: ეგრედწოდებულ ნანსენის პასპორტების სახელმწიფოების მიერ ცნობის საკითხის მოგვარება (ეს ის პასპორტებია, რომლებიც მისცა ერთა ლიგასთან არსებულმა ნანსენის კომისიამ რუს ემიგრანტებს, რომელთაც არ აქვთ არავითარი მოქალაქეობრივობა).

არაფრად გვესაჭიროება.

შეკითხვაზე, თუ როგორი შეხედულებია არის ის რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ტომამ უპასუხა, რომ ის უკვე 7 წელია იქ არ ყოფილა, და დასძინა: „რომ რუსეთის სოციალისტური მთავრობა ნებას მოგვცემდეს რუსეთში შესვლის, მე, ალბად, ბევრს საინტერესო და მნიშვნელოვან რამეს გაგაცნობდით მის შესახებ".

მუშები აიძულებენ.

პროფკავშირთა ამსტერდამის გაერთიანების და პროფინტერნის ურთიერთობის შესახებ ტომამ განაცხადა, რომ შრომის ჟენევის ბიურო დაიჭერს დამოკიდებულებას რუსეთის პროფესიონალურ ორგანიზაციებთან მიუხედავად იმისა, როგორი მთავრობაც არ უნდა არსებობდეს იქ.

ჩვეულებრივი სოციალ-ლაყბობა.

დასასრულ ტომამ დასძინა: „მე ყოველთვის ვიყავი და ვიქნები რუსეთის გულწრფელი მეგობარი. მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდი რუსეთის ხალხი უკანასკნელი წლების საშინელი განსაცდელის შემდეგ გამოვიდა სწორ გზაზე, და რომ ის ახლო მომავალში ისეთ ადგილს დაიჭერს დიდ სახელმწიფოებს შორის, რომელიც შეეფერება მის ისტორიულ წარსულს."

„ლიბერტე"-ს რედაქტორის გალახვა

ჰავასის სააგენტოს ცნობებით, ფრანგი კომუნისტის რაპოპორტის შვილმა (კომუნისტური პარტიის წევრია) ქუჩაზე სცემა რეაქციონური გაზეთის „ლიბერტე"-ს რედაქტორს ემარს.

ჰამბურგის აჯანყების მონაწილეთა გასამართლება

ბერლინი, 26 იანვარი. ჰამბურგის კომუნისტების პროცესზე წარმოთქმულ სიტყვაში მთავარმა ბრალდებულმა, რეიხსტაგის დეპუტატმა ურბანსმა დაახასიათა 1923 წლის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც გამოიხატებოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დაშლაში, მუშათა მასების ჩამოშორებაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაგან და ეკონომიურ კონფლიქტებში, რომელთაც აშკარა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდათ.

ყველაფერი ეს აუცილებლათ ხდიდა გერმანიის კომპარტიის რევოლიუციონურ ჩარევას სახელმწიფოს საქმეებში; კომპარტიამ დაიწყო მზადება სათანადო გამოსვლისათვის. პარტიის ჰამბურგის რაიონულმა კომიტეტმა აირჩია სამეული პოლიტიკური, ორგანიზაციული და სამხედრო ამოცანებით. ურბანსი არჩეული იქნა პოლიტიკურ ხელმძღვანელათ. ორი სხვა წევრის გვარის დასახელება მას არ სურს.

ურბანსმა თავისი სიტყვა დაამთავრა შემდეგნაირათ: „უმჯობესია რევოლიუციის ცეცხლში დავიწვა, ვიდრე დემოკრატიის სანაგვე ყუთში".

შემდეგ მოსმენილი იქნა მეორე ბრალდებულის, ხის დამმუშავებელ კრედის ჩვენება.

პროცესის მეორე დღეს ბრალდებული ფრიდე დაკითხვის დროს ახასიათებს სოციალ-დემოკრატების მოღალატურ როლს პროფმოძრაობაში და აგრეთვე ჰამბურგის საშინელ გაჭირვებულ მდგომარეობას მარკის დაცემის პერიოდში 1923 წლის შემოდგომაზე. ფრიდე აღიარებს, რომ ის სათავეში ედგა ჰამბურგის პროფესიონალურ ორგანიზაციებს მათი არალეგალური არსებობის პერიოდში, მაგრამ გადაჭრით უარჰყოფს პროკურატორის მტკიცებას, თითქოს ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფარულ სამხედრო ხელმძღვანელობას.

პროცესის მესამე დღეს ჩვენება ჩამოართვეს ჰამბურგის მუნიციპალიტეტის კომუნისტ-წევრებს ლევის, ესსერს და რიუნს.

საღამოს სხდომაზე მთავარმა ბრალდებულმა ურბანსმა სიტყვა მოითხოვა, რომ პასუხი გაეცა თავმჯდომარისათვის, რომელმაც განაცხადა, რომ შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლა უდრის მთავრობის ჩამოგდების ცდას. ურბანსმა აღნიშნა, რომ კომპარტიისათვის საერთო გაფიცვა არის არაპარლამენტარული საშუალება პოლიტიკური გავლენის მოსახდენათ მთავრობაზე. თუ ასეთ შემთხვევებში, პოლიციის ანდა ჯარების ჩარევის გამო, იწყება შეიარაღებული შეტაკება, ეს უკანასკნელი სრულებით არ ნიშნავს შეიარაღებულ ბრძოლის დაწყებას ძალაუფლების დასაპყრობათ.

ბრალდებული ესსერი, რომელსაც პროკურატურა ახასიათებს, როგორც „გაუსწორებელ მოღალატეს", თავის ჩვენებაში ამბობს: „ჰამბურგის პროცესში შეიძლება მოიძებნოს ანალოგია მაგდებურგის პროცესთან ებერტის შეურაცყოფის შესახებ, სახელდობრ: ყოველთვის, სოციალ-დემოკრატები ერთ მაგიდას შემოუსხდებიან კომუნისტებთან ერთად მოლაპარაკების დასაწყებათ, ისინი მიზნათ ისახავენ უღალატონ მუშების ინტერესებს".

შემდეგ ესსერი აცხადებს, რომ აჯანყების მომენტში ის ავათმყოფობის გამო პარტიის მიერ განთავისუფლებული იყო ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობისაგან.

ინგლისის ლაქიების პოლიტიკა

ზაგლულ-ფაშა ეგვიპტის ახალი მთავრობის შესახებ.

ლონდონი. 24 იანვარი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ეგვიპტის ყოფილმა პრემიერმა ზაგლულ-ფაშამ სასტიკათ გაილაშქრა ზივარ-ფაშას მთავრობის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ ეხლანდელ საპარლამენტო არჩევნებში.

ზაგლულ-ფაშამ აღნიშნა, რომ მისი პარტიის მომხრეებს საშუალებას არ აძლევენ მოაწყონ საარჩევნო კრებები და ზღუდავენ მათი მოძრაობის თავისუფლებას, განსაკუთრებით იმ ოლქებში, სადაც წამოყენებულია მათი კანდიდატურა. მათ ბინებს ჩხრეკენ. ეხლანდელი არჩევნები უფრო წააგავს დეპუტატების დანიშვნას მთავრობის მიერ. დასასრულ ზაგლულ-ფაშამ განაცხადა, რომ ის მაინც იმედს არ ჰკარგავს, რომ არჩევნები მაინც მისი პარტიის სასარგებლოთ გათავდება.

სხვა და სხვა ამბები

— **ლიუტერი საფრანგეთის [illegible].** ბერლინში ხმა გავრცელდა, რომ ლიუტერმა წინადადება მისცა საფრანგეთს შეიმუშაოს გერმანიასთან ერთად ურთიერთ უშიშროების პირობები.

— **სოფიაში (ბულგარეთი)** პოლიციამ აღმოაჩინა ანარქისტების საიდუმლო კრება. ორი ანარქისტი არ გაყვა პოლიციელებს და იქვე მოკლეს.

— **ალბანეთი—რესპუბლიკა.** ნაციონალურმა კრებამ ალბანეთი რესპუბლიკად გამოაცხადა.

— **კიდევ 15 თვით.** ესპანეთის დიქტატორმა ფაშისტმა გენერალმა პრიმო-დე-რივერამ განაცხადა, რომ საჭიროა დიქტატურის რეჟიმი კიდევ 15 თვითო.

— **სამხედრო შეთქმულება ბრაზილიაში.** რიო-დე-ჟანეიროში აღმოჩენილია შეთქმულება, რომელიც მიზნათ ისახავდა ბრაზილიაში არსებული წყობილების დამხობას.

— **ბლასკო იბანესის საქმე.** ესპანეთის მეფემ უარი სთქვა მწერალის ბლასკო იბანიესის პასუხისგებაში მიცემაზე.

— **ესპანელები მაროკოში.** ესპანეთის აეროპლანმა ბომბები დაუშინა საერთაშორისო ზონას მაროკოში.

საჭიროა თუ არა ძირითადი პარტ-აპარატის სტრუქტურის შეცვლა*)

კითხვა ძირითადი პარტაპარატის სტრუქტურის შესახებ ამჟამად სდგება იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეტანილი იქნება საბჭოთა აპარატის წყობაში. მაგრამ ეს მოვლენა სრულიად არ არის გამოსავალი პუნქტი აღნიშნულ კითხვის დაყენებისთვის.

უფრო სწორად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ძირითად აპარატის შეცვლა შეიქნა ერთ ერთ მიზეზად არსებულ პარტაპარატის სტრუქტურის გადასინჯვისათვის.

სანამდის ვილაპარაკებდეთ ჩვენი პარტაპარატის სტრუქტურის შეცვლის შესაძლებლობის შესახებ, საჭიროა ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა ამ უკანასკნელის არსებულ სისტემაზე.

ამჟამად ჩვენ ორგანიზაციებს აქვთ შემდეგი სააპარატო სტრუქტურა: კომუჯრედი—რაიკომი, სამაზკომი—ცეკა. ამნაირად, პარტორგანოთა არსებული სისტემა სავსებით ეთანხმება საბჭოთა სტრუქტურას: სასოფლო საბჭო, რაიაღმასკომი, სამაზრო აღმასკომი, ცაკი (სახკომსაბჭო).

ეს შეთანაწყობა აშკარად ირღვევა რაიონულ აღმასკომების გაუქმებით და სათემო სისტემაზე გადასვლით.

ამრიგად კითხვა იმშება: დავტოვოთ თუ არა რაიკომები პარტიულ დარგში, თუ გავაუქმოთ ასეთები და მაშინ როგორც საბჭოთა, აგრეთვე პარტიულ ხაზზედაც გადავიდეთ თემურ სისტემაზე?

სანამდის ამ საკითხს გადავწყვეტდეთ, საჭიროთ მიმაჩნია მოვიყვანო მოკლე ისტორიული ცნობა იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც განიცადა ჩვენმა ძირითადმა პარტიულმა აპარატმა საქართველოს კომპარტიის ლეგალურ არსებობის პერიოდში. საერთოდ და მთლიანად ჩვენმა პარტაპარატმა განიცადა იგივე ცვლილებანი, რაც საბჭოთა აპარატმა.

ჩვენ ვიცით, რომ 1922 წლამდე არსებობდენ რაიკომები, მაგრამ ამავე წლის ივლისში ს. კ. პარტიის კონფერენციაზე გამოირკვა, რომ რაიკომები არ ამართლებენ თავიან დანიშნულებას, რომ ისინი თითქო ზედმეტი ბიუროკრატიულ საფეხურს წარმოადგენენ მაზრკომისა და უჯრედს შორის და სხვა. გამოვიდა რა აქედან, კონფერენციამ დაადგინა რაიკომების გაუქმება და მის ნაცვლად სათემო სისტემაზე გადასვლა.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, ამ დადგენილების მთავარ მოტივათ მოყავდათ ის აზრი, რომ აუცილებელია მიღწეულ იქნეს როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ხაზზე აპარატის სტრუქტურის თანაბრობა.

თემკომების ინსტიტუტის შემოღების ინიციატორები ფიქრობდენ, რომ სათემო კომიტეტები, რომლებიც იქნებიან მჭიდროდ დაკავშირებული პარტიის ძირითად უჯრედებთან, შესძლებენ ადგილობრივ გახდენ უფრო უნარიან და ცხოველ-მყოფელ პარტორგანებად.

ისმება საკითხი: გაამართლეს თუ არა თემკომებმა პრაქტიკაზე თავისი არსებობა?—არა-და აი რატომ.

პირველყოვლისა თემკომების არსებობა, რომელთა რიცხვი 300-ზე მეტი იყო, მოითხოვდა აუარებელ მომზადებულ ამხანაგების კადრს. აშკარაა, რომ ასეთი კადრი ჩვენ არ გვყავდა და არც ახლა გვყავს, მით უფრო ჩამორჩენილ მაზრებში, სადაც ორგანიზაციები ძლიერ ახალგაზრდა და მცირე რიცხოვანი არიან.

შემდეგ ის გარემოება, რომ თემკომების მდივნები არ ღებულობდენ არავითარ სასყიდელს, რა თქმა უნდა, ძალიან აფერხებდა ადგილობრივ პარტმომუშავეთა შესაფერისი კადრის შექმნას.

მაგრამ არსებითი დეფექტები იმაში გამოიხატებოდენ, რომ თემკომების არსებობის დროს ჩვენ ძირითად პარტორგანოებში სუფევდა ერთგვარი ორგანიზაციული ქაოსი.

რა იწვევდა ამას?

ორგანიზაციების სიმცირის გამო, ზოგიერთი მაზრები, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში, არ იძლეოდენ საშუალებას ყველა თემებში დაგვეარსებია თემკომები, რის გამო რამოდენიმე თემის ტერიტორიაზე გვიხდებოდა შეგვექმნა ერთი, ვითომდა „თემკომი", ფაქტიურად კი რაიკომი. რადგან მისი მუშაობა სცილდებოდა სათემო ერთეულის საზღვრებს.

ამნაირად, ერთის მხრივ—პირდაპირ ირღვეოდა ძირითადი პარტაპარატის მშენებლობის ერთგვარობის პრინციპი; მეორე მხრივ კი აშკარათ იქნა დარღვეული საბჭოთა და პარტიულ აპარატების სტრუქტურის შეფარდება-შეთანასწორება. სხვათა შორის, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, სათემო სტრუქტურის შემოღება, უმთავრესად, ისახავდა სავსებით საწინააღმდეგო მიზანს. ამნაირად პრაქტიკაში თემკომები აღმოჩნდენ იმის უარმყოფნი, რისთვისაც ისინი იქნენ დაარსებული.

მეორე მხრივ თემკომების არსებობა პრაქტიკულ საქმიანობის დროს ბადებდენ, თუ კი შეიძლება ასე ითქვას, აუცილებელ „ორხელის-უფლიანობას".

გავაუქმეთ რა რაიკომები, ჩვენ მაინც დავსტოვეთ ჯამაგირიანი რაიონული ინსტრუქტორები, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ მაზრკომების დადგენილებათა პირდაპირი გამტარებლები უჯრედებში და თემკომებში.

ეს დებულება კი ქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ სოფლის უჯრედს ყავდა ორი ხელმძღვანელი: თემკომი და რაიონული ინსტრუქტორი, რის გამო უჯრედებმა არ იცოდენ თუ ვის წინაშე უნდა ყოფილიყვნენ ისინი პასუხისმგებელი თავიანთი მუშაობაში, თემკომის თუ რაიონულ ინსტრუქტორის წინაშე.

თემკომების მდგომარეობა დაახლოვებით ისეთი იყო, როგორიც უჯრედების: ერთი მხრივ თემკომები, როგორც იყო დებულებით გათვალისწინებული, იმყოფებოდენ მაზრკომის ხელმძღვანელობის ქვეშ, მეორე მხრივ კი რაიონულ ინსტრუქტორის.

ზემოაღნიშნულ და სხვა მთელ რიგ მიზეზების გამო, სათემო კომიტეტებმა ვერ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. ისინი აღმოჩნდენ რაღაც უსიცოცხლო, მკვდარ ორგანოებად, რის გამო ადგილობრივ კომუჯრედების მუშაობის ხელმძღვანელობა რაიონულ ინსტრუქტორის ხელში გადავიდა.

რაიონულ ინსტრუქტორის ინსტიტუტი არსებითად წარმოადგენდა გაუქმებულ რაიკომს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რაიკომის დროს, ცუდად თუ კარგად, კომიტეტის კოლექტიური ნებისყოფით წყდებოდა (იცრებოდა) ყველა საკითხები, რაიონული ინსტრუქტორის დროს კი, რასაკვირველია, ერთ-პიროვნულად.

ცხადია, რომ საქმის ასეთი მდგომარეობის დროს თავის თავად წამოიჭრა საკითხი ძირითად პარტაპარატის სტრუქტურის გარდაქმნის შესახებ. ცენტრალურ კომიტეტს 1923 წლის პირველ ნახევარში ამ საკითხის დეტალური შესწავლა მოუხდა როგორც იდგილების აზრის გაცნობით, ისე ინსტრუქტორთა გამოკვლევით. 1923 წ. მარტში კი იქნა მოწვეული საქ. კომ. პარ. მაზრკომების და ოლქკომების მდივნების თათბირი, რომელმაც ხაზგასმით აღიარა თემკომების მოსპობის აუცილებლობა და მათ ნაცვლად რაიონულ სისტემაზე გადასვლა.

ამის შემდეგ პარტაპარატების სტრუქტურაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მთელი შემდეგი პარტ-ორგანიზაციული მუშაობა გამოიხატა არსებულ პარტორგანიზაციების გამაგრებაში, მათი უფრო შეკავშირების მიზნით.

როდესაც ამჟამად ხელ-ახლა ისმება საკითხი სათემო სისტემაზე გადასვლის შესახებ, აუცილებლად უნდა მივსცეთ ჩვენ თავს შემდეგი კითხვა: 22—23 წლების თემკომების აღნიშნული დეფექტები იქნებიან თუ არა აუცილებელი, ანდა შეიძლება მათი აცილება? ამ კითხვაზე მე კატეგორიულად უნდა ვუპასუხო, რომ ის არა ნორმალური მოვლენანი, რომლებიც წარმოშობილნი იყვნენ 22—23 წ. წ. არსებულ სათემო სტრუქტურით, ამა თუ იმ ფორმით ამჟამადაც იქნებიან აუცილებელნი, რადგან ადგილობრივი ობიექტიური პირობები თითქმის არ შეცვლილან. ე. ი. ჯერაც ძალაში რჩება ადგილობრივათ საკმაოთ მომზადებულ ძალების უყოლობა, სახსრების უქონლობა თემკომების მდივნების ჯამაგირით დასაკმაყოფილებლად და სხვა.

არის კიდევ ერთი საყურადღებო საბუთი, რომელიც თემკომების წინააღმდეგ ლაპარაკობს. საქმე იმაშია, რომ სათემო სტრუქტურაზე გადასვლით ჩვენ უნდა დავფაროთ მთელი ჩვენი ქვეყანა მრავალ-რიცხოვან წვრილ პარტიულ კომიტეტებით (300 ან 400-დე), რაც უეჭველია, გამოიწვევს ადგილებზე—თვით უჯრედებში—მუშაობის შესუსტებას. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ მთელი მუშაობის ცენტრი მაშინ გადავა უჯრედებიდან—პერიფერიებიდან თემის ცენტრში—თემკომში. ამ რიგად ეს იწვევს უჯრედების მუშაობის შესუსტებას, მათ უნარიანობის შეკვეცას და მათ ნაცვლად სიმძიმის ცენტრის გადატანას თემკომებში. ამასთან კი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს მიდის პარტიის საერთო ხაზის წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობს მთავარი ყურადღების მიქცევას პარტიის ძირითად ორგანოზე—უჯრედზე, რათა ეს უკანასკნელი გადავაქციოთ იმ მოქმედ, უნარიან და ცხოველ-მყოფელ პარტიულ ორგანოთ, რომელიც შესძლებს აამოძრაოს გლეხთა მასსები. მამასადამე, სათემო სტრუქტურა მიუღებელია აგრეთვე იმიტომაც, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს პარტიის ჩამოშორება ფართო უპარტიო მასსებისაგან.

მაგრამ თუ არა თემკომებზე, მაშინ რაზედ უნდა შევჩერდეთ?

უფრო კი, ძირითად პარტ-აპარატის, რომელი სტრუქტურაა უფრო მისაღები ჩვენთვის?

ჩემი აზრით, ზედმეტია რაიონულ სისტემის დაშლა, მას აქვს მრავალი უპირატესობანი სხვა დანარჩენ ვარიანტებთან შედარებით, რისთვისაც ის უნდა დარჩეს თითქმის შეუცვლელად.

მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ საბჭოთა და პარტიულ აპარატების შორის ირღვევა შეფარდების პრინციპი? ჯერ ერთი, რომ ეს სავალდებულო არ არის, ხოლო რაც შეეხება პარტიულ ხელმძღვანელობას სათემო აღმასკომებზე, ის სავსებით შეიძლება რაიკომის მხრივ განხორციელებული იქნას; მთელი საკითხი იმაშია, რომ აუცილებლივ უნდა მივცეთ ადგილებს დეტალური ინსტრუქცია ძირითად პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულებათა შესახებ.

ამასთან საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თემაღმასკომის კომფრაქციის წევრები მჭიდროდ შეკავშირებული იქნებიან თემის კომუჯრედთან და, როგორც უკანასკნელის წევრები, ისინი მიიღებენ მისგან ყველა აუცილებელ დირექტივებს და დარიგებებს. ასე რომ თემის კომუჯრედის როლი თემ-აღმასკომის ფრაქციის მუშაობის ხელმძღვანელობაში და წარმართვაში დიდი იქნება; ამ რიგად, თემ-აღმასკომი არ დარჩება პარტიულ ხელმძღვანელობის გარეშე.

რომ არ მოხდეს გაუგებრობა, მე აქ შემდეგი უნდა განვმარტო.

როდესაც არის ლაპარაკი სათემო უჯრედის ხელმძღვანელობის შესახებ, ეს აზრი უნდა გავიგოთ შემდეგნაირათ: თემაღმასკომის ფრაქციისათვის უჯრედის დადგენილება არ არის აუცილებლივ სავალდებულო მანამდის, სანამ ის არ მიიღებს რაიკომისაგან სათანადო სანქციას. მანამ კი უჯრედის დადგენილება აღმასკომის ფრაქციისათვის წარმოადგენს ადგილობრივი პარტორგანიზაციის ერთგვარ ავტორიტეტულ აზრს, რომელსაც ფრაქცია ვალდებულია გაუწიოს ანგარიში და არა მარტო ანგარიში არამედ მიიჩნიოს ის (უჯრედის დადგენილება) აუცილებელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

ამ წერილში გამოთქმული აზრი, ცხადია, არის პერსონალური და ნავარაუდევი ხასიათის, რის გამო ის არც ერთი ორგანიზაციისათვის არ არის სავალდებულო და უცვლელად მისაღები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია და აუცილებელი აღძრული საკითხისაკენ მივაქციოთ ყველა ჩვენი პარტიული კომიტეტების და პარტმუშაკების ყურადღება, განსაკუთრებით კი იმათი, რომელთაც აქვთ საკმაო პრაქტიკული გამოცდილება მაზრებში და რაიონებში მუშაობისა.

როდესაც ჩვენ საშუალება გვექნება ჯამი გავუკეთოთ ამ კოლექტიურ გამოცდილებას, მაშინ ადგილობრივად გადავჭრით საკითხს იმის შესახებ, თუ ძირითად პარტაპარატის როგორი სტრუქტურა უფრო მეტად მიზანშეწონილი და მისაღები იქნება.

ალ. ბობოხიძე.

---

*) კამათის წესით.

რ ე დ.

ლენინის გარდაცვალების წლის თავზე

საქართველოში

ლენინის მოსაგონარი საღამო თელავში

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის გარდაცვალების წლის თავის წინა დღეს—20 იანვარს თელავის პროფკავშირთა კლუბში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, აქ იყვნენ როგორც მუშა-მოსამსახურენი, ისე თელავის მოსახლეობა და მაზრიდან მოსული საპროფკავშირო კონფერენციაზე დასასწრებლად დელეგატები.

სრულ 7 საათზე გადაიწია ფარდა და სცენის სიღრმეში აღმართულ ესტრადაზე ვამჩნევდით მსოფლიოს დაჩაგრულ პატარა ერთა მექომაგე, ამხ. ვლადიმერ ილიჩის ძე ულიანოვის ბიუსტი, რომლის წინ დახრილი იყო რევოლიუციის ემბლემის წითელი დროშა, რომლის წარწერას: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით" ამხ. ლენინი ცხოვრებაში ახორციელებდა.

ამხ. ხოშტარიამ თელავის საბჭოს, პროფკავშირთა და მშრომელ ქალთა დელეგატების საზეიმო სხდომა გახსნილად გამოაცხადა. ამ დროს თელავში გახსნილ პარტ-სკოლის გლეხ-კურსანტებმა შეასრულეს ინტერნაციონალი, რის შემდეგ ამხ. ხოშტარიამ წინადადება მისცა სხდომას აერჩიათ პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. გ. ელისაბედაშვილი, ს. თოხაძე, ე. ქურციკაშვილი, თამ. ცინცაძე, ამხ. ხოშტარია, გ. გარსევანიშვილი და ილ. ქურდულაშვილი.

სიტყვა მიეცა პარტკომის პ. მ. მდივან ამხ. გ. ელისაბედაშვილს.

ამხ. ელისაბედაშვილმა ფრიად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა შემდეგ თემაზე: ამხ. ლენინის ცხოვრება მოღვაწეობა და ერთი წელიწადი ულენინოთ.

ამხ. ელისაბედაშვილის მოხსენება გაგრძელდა 2 საათი და მეტად გულდასმითაც იყო მოსმენილი.

ბოლოს იმავე პარტსკოლის კურსანტების მიერ შესრულებულ იქნა სამგლოვიარო ჰიმნი ამხ. ლენინისადმი მიძღვნილი, რომლის შემდეგ საზეიმო სხდომა დახურულად იქნა გამოცხადებული.

ვან—ლი.

რუსეთი

წითელი პრესნის მუშების გლოვა

მოსკოვი. 24 იანვარი. წითელმა პრესნამ მგლოვიარების კვირა ჩაატარა შემდეგი ლოზუნგებით: „მჭიდრო კავშირი გლეხობასთან ლენინის ანდერძის მიხედვით! ჩვენ ვანვითარებთ წარმოებას! ჩვენ ავიყვანთ ჯერ არ ყოფილ სიმაღლემდე საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას".

21 იანვარს საღამოს კალიაევის სახელობის სახალხო სახლში მრავალრიცხოვან მიტინგში მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა—შეფობის ქვეშ მყოფ თემების დელეგატებმა, რომლებიც ჩამოვიდენ მოსკოვში იმისათვის, რომ თანაგრძნობა გამოეცხადებიათ მოსკოვის მუშებისა და მუშა ქალებისათვის მწუხარების დღეებში. 21—22 იანვარს დელეგატმა გლეხებმა ინახულეს ლენინის მავზოლეი, კრემლი, ილიჩის მუზეუმი; დელეგატები დაესწრენ საზეიმო სხდომას დიდ თეატრში, აგრეთვე მოსკოვის საბჭოს სხდომასაც.

საბჭოთა მესამე სახლში, სადაც გლეხებს დაეთმოთ ბინა, წითელი პრესნის მუშები ესაუბრენ გლეხებს, მათ გაუზიარეს ერთმანეთს ისტორიული დღეების შთაბეჭდილებები.

საღამოობით გლეხი დელეგატები მონაწილეობას ღებულობდენ რაიონის საწარმოო უჯრედების სხდომებზე, ეცნობოდენ წითელი პრესნის მუშათა ყოფა-ცხოვრებას და უზიარებდენ მათ თავიანთ შთახოვნილებებს სოფლად.

დელეგატებს დათმობილი ჰქონდათ ავტომობილები და 2—3 დღის განმავლობაში მათ მოასწრეს წითელი პრესნის თითქმის ყველა წარმოებების დათვალიერება.

მეცნიერთა სახლში

მოსკოვი. 24 იანვარი. 21 იანვარს მეცნიერთა სახლში გაიმართა საღამო ლენინის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად. სხდომის ორივე დარბაზი გაჭედილი იყო მოსკოვის მეცნიერების დარგის მუშაკებით.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა სემაშკომ მოხსენება გააკეთა შემდეგ თემაზე: „ერთი წლის მუშაობა ულენინოდ". მან აღნიშნა შემდეგი: საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ჩვენ ვცდილობდით ღირსეულად შეგვესრულებია ილიჩის ანდერძი ყველა ხალხებთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დაჭერის შესახებ. მშვიდობიანობის გზა—ეს ის გამარჯვებაა, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ გასული წლის განმავლობაში. ჩვენი მუშაობის მთავარი ლოზუნგი იყო ქვეყნის შრომის ნაყოფიერების გადიდება. ეს ამოცანა ლენინმა დასვა ჯერ კიდევ 1919 წელს, მან მაშინ მიუთითა აგრეთვე მისი განხორციელების პრაქტიკულ გზებზე, შემდეგ ჩვენ დავასრულეთ საფინანსო რეფორმა რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა ჯერ კიდევ 1920 წელს. ამ რიგად „ჩერვონეცი—ჩიჩერინი"-ს განმტკიცებით ჩვენ პრაქტიკულად შევასრულეთ ილიჩის ანდერძი. ამ წელიწადმა დაგვანახვა, რომ ლენინის მოძღვრება ბრწყინვალედ გამართლდა ცხოვრებაში.

პროფესორი ლარიონოვი ლაპარაკობს ლენინის და მეცნიერების შესახებ:

ლენინი იყო არა მარტო გენიალური პოლიტიკოსი, არამედ აგრეთვე დიდი მეცნიერი და მოაზროვნე. მან პოლიტიკა გახადა მეცნიერებად. როგორც იშვიათ გამჭრიახ ეკონომისტს, ლენინს ჰქონდა გენიალური შორსმჭვრეტელობის ნიჭი მეცნიერების დარგში.

შემდეგ პროფესორი კრამერი, რომელიც სწამლობდა ლენინს, იგონებს ილიჩის ავადმყოფობის მსვლელობას და აღნიშნავს, რომ ავადმყოფობის მსვლელობა ძალიან თავისებური იყო, ის ზოგჯერ გამოუცნობი ხდებოდა მეცნიერებისათვის და შეუძლებელი ხდებოდა მისი სისწორით გამოკვლევა. ლენინის როგორც სიცოცხლე, ისე ავადმყოფობა—აცხადებს პროფესორი კრამერი—არ ჰგავდა უბრალო მომაკვდავთა სიცოცხლესა და ავადმყოფობას.

თავისი მოგონებით ლენინის შესახებ გამოვიდა აგრეთვე ძველი კომუნისტი—დოქტორი დაუგე. მან დაახასიათა ვლადიმირ ილიჩი, როგორც განსაკუთრებით მგძნობიარე და სადა ადამიანი, რომელიც არ ივიწყებდა თავის ამხანაგებს სახელმწიფოს და თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებშიაც.

უცხოეთში

შვეციაში

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი კრებები

სტოკჰოლმი. 24 იანვარი. 22—23 იანვარს შვეციის კომპარტიამ მოაწყო მთელი რიგი კრებები, რომლებიც მიძღვნილი იყო ლენინის ხსოვნისათვის. სიტყვები წარმოსთქვეს ვლიუგმა, ჩილბუმმა და ნერმანმა.

ჩეხო-სლოვაკია

ლენინის ხსოვნის კვირეული

პრაღა. 24 იანვარი. ლენინის კვირეულის განმავლობაში ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია ეწეოდა ლენინიზმის ფართე პროპაგანდას პარტიულ პრესაში და ყველა კრებებზე, რომლებიც მოწვეულ იყვენ ყველა საწარმოვო ცენტრებში ლენინის ხსოვნის აღსანიშნავათ.

პრაგაში, ლენინის გარდაცვალების წლის თავზე, მთელ ქალაქში ყველაზე უდიდეს საკონცერტო დარბაზში გამართულ იქნა ლენინის ხსოვნის საღამო.

ამ დღისათვის კომპარტიამ ლენინის შესახებ გამოსცა განსაკუთრებული წიგნი გერმანულ, ჩეხურ და მადიარულ ენაზე.

ავსტრია

მანიფესტაცია ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

ვენა. 25 იანვარი. ლენინის გარდაცვალების წლის თავზე ზაგრებში 600 მუშამ მოაწყო მანიფესტაცია მიუხედავად იმისა, რომ ის აკრძალული იყო პოლიციის მიერ. პოლიციამ უხეში ზომებით გარეკა მანიფესტაცია.

მონღოლეთში

სამგლოვიარო დღე

ურგა. 23 იან. ლენინის გარდაცვალების წლის თავი მონღოლეთის სატახტო ქალაქში აღნიშნული იყო მრავალ საზეიმო სხდომებით. სახალხო სახლი გაჭედილი იყო მონგოლებით, თათრობითა და რუსობით.

კომინტერნისა, მონღოლეთის მთავრობისა, მონღ. სახალხო პარტიისა, რ. კომპარტიის ურგინოს ორგანიზაციის და მონღ. ქალთა განყოფილების წარმომადგენლებმა ყოველმხრივ შეაფასეს ლენინი და ლენინიზმი აღმოსავლეთის ხალხებისთვის და განსაკუთრებით კი მონღოლებისთვის, რომლებიც იბრძვიან თავიანთ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისთვის.

სპარსეთი

ლენინის დღე

თეირანი. 25 იანვ. თეირანის საბჭოთა კლუბში 22 იანვარს შესდგა საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა კრება ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავის აღსანიშნავად.

იტყობინებიან, რომ ასეთივე კრებები გაიმართა სპარსეთის მთელ სხვა ქალაქებში. რეშტში საკონსულოს შენობაზე დროშის დაშვებას დაესწრენ სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, ჯარები და ბევრი სპარსელი მოქალაქეები. თეირანის საბჭოთა კლუბის შენობამ ვერ დაიტია ყველა მოქალაქენი, რომელთაც სურდათ მიტინგზე დასწრება.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭ.
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი

სასოფლო სამეურნეო გადასახადი და პურის დამზადება

მოსკოვი, 25 იანვარი. რუსეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის სხდომაზე, 22 იანვარს, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრმა ჩუცკაევმა გააკეთა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და პურის დამზადების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უნდა შემცირდეს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამი წელს უდრის 335 მილიონ მანეთს, აქედან 245 მილიონი მიდის სახელმწიფო ბიუჯეტზე, ხოლო 90 მილიონი—ადგილობრივზე. ამჟამად უკვე შემოვიდა 254 მილიონი მანეთი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეადგენს სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქციის 8 პროც. და ეს გვაიძულებს ჩვენ მომავალში ჩვენი სასოფლო პოლიტიკა ავაშენოთ გადასახადის შემდეგ შემცირებაზე.

გადასახადის რეორგანიზაციის პროექტი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ სისტემაზე გადასვლის განზრახვა გამოიხატება იმაში, რათა გადასახადის გამოანგარიშება ხდებოდეს მეურნეობის შემოსავლიანობის მიხედვით, რაც უნდა განისაზღვროს გარეგნული ნიშნებით კავშირის სხვა და სხვა რაიონებში. საერთო შემოსავალი, რომელიც უნდა დაიბეგროს, განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რა შემოსავალს იძლევა სახნავი, სითივე, საქონელი და სხვა. შემოსავლის საერთო თანხას გამოიანგარიშებს სათემო კომისია, რომელიც განსაზღვრავს შემოსავლის საერთო რაოდენობას მეურნეობის ინდივიდუალურ თავისებურების მიხედვით.

არსებული დეკრეტები ითვალისწინებენ გადასახადისაგან მცხოვრებთა განსაზღვრულ ფენების განთავისუფლებას შეღავათების მინიჭებით, კანონის უმთავრესი საშეღავათო მუხლი ავალებს საგუბერნიო აღმასკომებს მთელი წლიური განაკვეთის 6 ნახ. პროც.-ის ფარგლებში მიანიჭონ მცხოვრებთ შეღავათები გადასახადის ან სრულიად მოხსნით, ან მისი შემცირებით. ყველა გადამხდელთა 25 პროც. სრულიად თავისუფლდება გადასახადისაგან.

იძულებითი ზომების შესახებ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რეპრესიების საკითხს. ამ რეპრესიების ხმარების რიცხვი ამტკიცებს, რომ ამ დარგში დაიწყო გაჯანსაღება, მაგრამ მაინც არ უნდა დავივიწყოთ. რომ რეპრესიების საკითხს აქვს კლასიური მნიშვნელობა, ვინაიდან შეძლებული გლეხი და კულაკი იხდის გადასახადს ყოველთვის ვადაზე, და იძულებითი ზომები შეეხება, მცხოვრებთა სწორედ იმ ნაწილს, რომლის მიმართაც ჩვენ ყველაზე მეტადა ვართ დაინტერესებული, ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგარი ზომები, რათა სასტიკი სასჯელი დაედოს ამ მხრივ ბოროტმოქმედების და თვითნებობის განვითარებას.

პურის დამზადება.

ეხება რა პურის დამზადების საკითხს, ჩუცკაევი აღნიშნავს, რომ 400 მილიონ ფუთი პურის დამზადების დროს მხედველობაში იყო მიღებული ამ დამზადების დაკავშირება სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან. განზრახული იყო, რომ რამდენადაც გლეხს დააწვება გადასახადის სიმძიმე, იმდენად ის იძულებული იქნება გამოიტანოს პური ბაზარზე და სახელმწიფოს დამმზადებელი ორგანოები შესძლებენ ამ პურის ყიდვას. მაგრამ პურის დამზადების მხრივ მიმდინარე საბიუჯეტო წელიწადი წარმოადგენს ჩვენთვის არასასურველ წელიწადს. მოუსავლიანობამ ისეთი შეხედულება წარმოშვა გლეხში, რომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი პური დაიტოვოს, რათა უზრუნველჰყოს თავი მოუსავლიანობის შედეგების ცუდი გავლენისაგან. ამასვე ხელი შეუწყო წასულმა გვალვიანმა შემოდგომამ. გლეხები იხდიდენ გადასახადს არა პურის ბაზარზე გამოტანით, არამედ საქონლის და მესაქონლეობის პროდუქტების გაყიდვით.

კერძო დამზადება

ძალიან საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია კერძო კაპიტალის დამზადება. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით, კერძო კაპიტალი ზოგიერთ რაიონებში სხვადასხვანაირ როლს თამაშობდა პურის დამზადების საქმეში. ასე, მაგალითად, უკრაინაში მან ჩააბარა სახელმწიფოებრივ დამმზადებელ ორგანოებს 50 პროც. იმისა, რაც მან შეასრულა ამ შემოდგომაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში—25 პროც., ურალზე —10 პროც.

შემოდგომის ნათესები

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემოდგომის ნათესების მდგომარეობა. სახელმწიფოს გეგმათა სამმართველოს ცნობით შემოდგომის ნათესების 400.000 დეს. სერიოზული საფრთხე მოელის. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ანგარიშით დაღუპულია 1 მილიონი დესეტინა საშემოდგომო ნათესი. ამისდამიხედვით ჩვენ იძულებული ვიქნებით შედგენილ ბალანსს მიუმატოთ 3 მილიონი ფუთი სათესლე მასალა გაზაფხულის ნათესებისათვის.

შარშანდელ შემოდგომაზე მოფიქრებული და ცეკას ძლიერ მოწონებული სამეურნეო მანევრი, 400 მილიონი ფუთი პურის დამზადების შესახებ, დამყარებული იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და პურის დამზადების კამპანიის გაერთიანებაზე, საერთოთ თავისი შედეგების მიხედვით, სავსებით გამართლებულია. ასეთი მანევრის განმეორება მომავალში აგრეთვე აუცილებელი გახდება, სათანადო გამოცდილების ნიადაგზე.

კამათი

ჩუცკაევის მოხსენების გამო ბელორუსიის წარმომადგენელმა (გვარი დამახინჯებულია) აღნიშნა, რომ რეპრესიებისმეთოდები ხშირად ძირს უთხრის სასოფლო-საბჭოების ავტორიტეტს. საჭიროა ზომების მიღება ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განხილვაში და მომავალ საბჭოთა ყრილობის მუშაობაში გლეხთა ფართო მასების ჩასაბმელად.

საიდ-გალიევი ურჩევს მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ღარიბი გლეხები ხშირად მიდიან ფაბრიკებში სამუშაოთ, ხოლო სოფლად დარჩენილ კულაკებს გადასახადის მთელი სიმძიმე გადააქვთ ამ ღარიბ გლეხების მხრებზე.

პოდვოისკი ფიქრობს, რომ გადასახადები მძიმეა და ხელს უშლის ღარიბ და ნაწილობრივ საშუალო შეძლების გლეხობის მეურნეობის აღდგენას.

ლობაჩევი (შინა-ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილე) ამბობს, რომ საჭიროა გადაისინჯოს პურის დამამზადებელი ორგანოები მათი უფრო ქსიერ კონცენტრაციის მიზნით და ყურადღება მიექცეს წისქვილების კონცენტრაციას პურის მსხვილ დამმზადებელთა ხელში. ადგილობრივ წისქვილების ნაწილი, რომელიც არ ესაჭიროება პურის ბაზარს, უნდა დაიხუროს, რათა კერძო კაპიტალმა არ გამოიყენოს იგი თავის ინტერესებისათვის.

მომხსენებლის სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ჩუცკაევმა ხაზი გაუსვა: „სამწუხაროდ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ საშუალო შეძლების გლეხმა უფრო უნდა ატაროს გადასახადის სიმძიმე, ვიდრე მცხოვრებთა ყველაზე შეძლებულმა ნაწილმა. ამას ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას. წარმოდგენილი სისტემა ხელს შეუწყობს ამ უსამართლობას და უფრო მეტ თანაზომიერებას დაამყარებს დაბეგვრაში".

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

პურის დამზადება.

მოსკოვი. 24 იანვ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის 21 იანვრის სხდომაზე კომისარიატის პურის დამამზადებელ განყოფილების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პირველი იანვრისათვის საბჭოთა კავშირში სულ დამზადებული იყო 203 მილ. ფუთი პური.

სტუდენტების მიღება უმაღლეს სასწავლებლებში.

მოსკოვი. 24 იანვ. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით საბჭოთა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში 1925—26 სამოსწავლო წელში მიღებული იქნება 18.000 კაცი. 8.000 ადგილი ეთმობა იმ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს მუშფაკები. მუშფაკელების ჩარიცხვის შემდეგ ადგილები განაწილებული იქნება შემდეგნაირათ: რ. კ. პ. ცეკა—15 პროც., სრულიად რუს. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო—15 პროც., რ. ა. ლ. კ. კ. ცეკა—15 პროც., მშრომელ გლეხობას, დემობილიზაცია ქმნილ ინვალიდებს, წითელ არმიას და ფლოტს—15 პროც. მშრომელი ინტელიგენციის ბავშვებს—10 პროც. იმ პირებისათვის, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს მეორე საფეხურის სკოლები, ტეხნიკუმები, საბჭოთა პარტიული სკოლები და სხვა სათანადო სასწავლებლები—25 პროცენტი.

მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს ეთმობა 5 პროცენტი.

კუროპატკინის გარდაცვალება.

ლენინგრადი. 24 იანვ. 14 იანვარს, პსკოვის გუბერნიის, ხოლმის მაზრის სოფ. შამშურინოში გარდაიცვალა ყოფილი გენერალი კუროპატკინი, რომელიც 80 წლის იყო.

ეკატერინოსლავის ხიდის აღდგენა.

ეკატერინოსლავი. 24 იან. დაიწყო ეკატერინოსლავის ხიდის აღდგენა, რომელიც დანგრეული იყო სამოქალაქო ომის დროს. ხიდის აღდგენა დაჯდება 600 000 მანეთი.

რევოლუციის მუზეუმში

მოსკოვი. 24 იან. საბჭოთა კავშირის რევოლუციის მუზეუმში გაიხსნა ახალი დარბაზი; აქედან 4 ოთახი უჭირავს ლენინის მუზეუმს. ეხლა ფართოდ დათვალიერება შეიძლება 17 დარბაზის.

ახლად გახსნილ 5 დარბაზში შენახულია მასალები 1917 წლის დამფუძნებელ კრების, საბჭოების ყველა ყრილობების, კომინტერნის კონგრესების, კორნილოვშჩინის, უკრაინის ოკუპაციის, ვრანგელის, დენიკინის, კოლჩაკის, ანტონოვის, ესერების ამბოხების, კულაკების აჯანყების და სხ. შესახებ.

საზღვაო ტრანსპორტი გვექნება

საძირკვლის ჩაყრა საბჭოთა გემებისათვის.

ლენინგრადი. 26 იანვარი. ბალტიის მუშების საალმშენებლო ქარხანაში მოხდა ჩვენი საზღვაო სავაჭრო ფლოტის 4 გემის საძირკვლის ჩაყრა. **საბჭოთა კავშირში ეს იქნება პირველი გემები, აშენებული ოქტომბრის შემდეგ.**

პირველად საძირკველი ჩაუყარეს გემს „ამხანაგი სტალინი". საძირკვლის ჩაყრის წინ გამოქვეყნებულ იქნა წარწერა, ამოჭრილი ვერცხლის ფიცარზე, რომელიც გაუკეთდება მომავალ გემს. ფიცარზე, გარდა გემის სახელწოდებისა, არის წარწერა: **„საძირკველი ჩაეყარა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ძერჟინსკის, კოპანსკის და ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარის ზინოვიევის, სოლქო ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ევდოკიმოვის, ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის მდივანის ზალუცკის, პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს თავმჯდომარე გლებოვ-ავილოვის, ბალტიის ქარხნის წითელი დირექტორის კორშენოვის და ტექნიკური დირექტორის სკორჩილეტის თანადასწრებით".**

საძირკვლის ჩაყრის შემდეგ შესდგა მიტინგი, რომელზედაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ზინოვიევმა.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

ლენინგრადი. 29 იანვარი. საბჭოთა გემების საძირკვლის ჩაყრაზე ზინოვიევმა სთქვა: „დღეს არის ლენინგრადის და განსაკუთრებით ბალტიის ქარხნის მუშების დიდი დღესასწაული. ჩვენ ვიწყებთ ჯერ კიდევ მცირე მასშტაბით გემების საალმშენებლო მუშაობას. დაკვეთა ჯერ კიდევ მცირეა; მისი გადიდება დამოკიდებულია იმაზე თუ შევსძლებთ მის შესრულებას დაწესებულ ვადაში უფრო იაფად და უკეთესად, ვიდრე უცხოეთში.

წინად რუსეთი თავისი სავაჭრო ფლოტის 90 პროცენტს აშენებდა უცხოეთში. საბჭოთა ხელისუფლება მუშაობს სახალხო მეურნეობის აღსადგენად, ჩვენ ვახდენთ ჩვენი ქარხნების აღდგენას. ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ქარხნები ამუშავდენ მთელი თავისი სიძლიერით. დღის წესრიგში დასმულია ურალზე და სომხეთში ახალი ქარხნების აგების საკითხი. შორს არ არის ის დრო, როცა შევუდგებით მის შენებას.

სავაჭრო ფლოტს, რომელიც ეხლა შენდება, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დღემდე ჩვენ ძალიან დიდ ფრახტს ვუხდიდით უცხოეთის ტრანსპორტს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო და სხვა საქონლის გადასაზიდათ უცხოეთში ჩვენთვის საჭირო პროდუქტებზე გადაცვლის მიზნით. ეხლა ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ათეული მილიონები მოხმარდება ჩვენი გემების გაუმჯობესებას და ჩვენი მრეწველობის დახმარებას.

საერთაშორისო ვაჭრობა ესაჭიროება გლეხობას. მისი ინტერესი მოითხოვს ხელსაყრელად გადაცვალოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეული იმ საქონელზე, რომელიც მოიპოვება საერთაშორისო ბაზარზე. სავაჭრო ფლოტი უმთავრესი საშუალებაა ქალაქის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის მუშების და გლეხების დასაკავშირებლად. სავაჭრო ფლოტმა ამრიგად ხელი უნდა შეუწყოს სოფელთან დაკავშირებას.

საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია

მოსკოვი, 25 იანვარი. საბჭოთა კავშირის ს. ხ. უ. ს. პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ **საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1923 წლის დამლევს ითვლებოდა 4.891 მომქმედი ელექტრო სადგური,** რომელთაგან 690 სადგური საზოგადოებრივ სარგებლობაში იყო. სახელმწიფო კომისიის გეგმა რუსეთის ელექტროფიკაციის შესახებ გულისხმობდა 38 ახალ სადგურის აგებას, რომელთა საერთო სიძლიერე უნდა ყოფილიყო მილიონ ნახევარი კილოვატი. ამ გეგმის განხორციელება ორჯერ გაადიდებდა კავშირის ელექტრონის მეურნეობის სიძლიერეს.

ელექტრონის ენერგიის გასასაღებლათ უდიდეს ბაზარს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ამ ბაზარზე ჩვენ წინ გვეღობება დაბრკოლება. რადგან სოფლის მეურნეობის მოწყობის არსებულ სისტემის დროს ელექტრონის ენერგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეტად ძნელია. ტეხნიკური პროგრესი უცხო ქვეყნების მიღწევებთან შედარებით საკმაო არ არის. პროდუქცია შედარებით ძვირია, რადგან ქარხნების მუშაობაში არ მომხდარა სპეციალიზაცია და მას არ აქვს მასიური ხასიათი.

კურსკის ანომალიის გამოკვლევა

მოსკოვი. 24 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ კურსკის მაგნიტის ანომალიის გამომკვლევმა საგანგებო კომისიამ შეადგინა თავისი მუშაობის ანგარიში.

დათვალიერებულ რაიონში (სიგრძით 10 კილომეტრი, სიღრმით 100 მეტრი) რკინის მარაგის რაოდენობა უდრის 800 მილ. ტონა მადანს, რაც შეადგენს დაახლოვებით 280 მილ. ტონა რკინას. იგივე რაიონი მთელი სიღრმის მიხედვით მოგვცემს 2 მილიარდ ტონა მადანს ანუ 600 მილ. ტონა რკინას.

ეს ანგარიში მოწმობს, რომ კურსკის მადანი შეიცავს რკინის დიდ მარაგს, რომელიც უზრუნველყოფს მოხმარებას ასეულ წლობით.

საბჭოების არჩევნები საქართველოში

გორის მაზრა

არჩევნები დაიწყო 21 იანვარს. ქალაქში და ახლომახლო თემებში არჩევნები ნორმალურათ მიმდინარეობს, რაც შეეხება მთაგორიან ადგილებს—იქ მეტის-მეტად ხელს უშლის არჩევნებს თოვლი და ქარბუქი. ამიტომ ასეთ ადგილებში დროებით რამოდენიმე დღით, სანამ ამინდი საშუალებას მოგვცემდეს, არჩევნების შეჩერება მიზანშეწონილათ ჩაითვალა, რათა გლეხობის რაც შეიძლება მეტმა მეტმა მასსამ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

გორის მაზრაში ამას ყოველივე ხელს უწყობს, როგორც საბჭოთა აღმშენებლობის წინსვლა, აგრეთვე თვით მაზრაში მცხოვრებ გლეხობის პოლიტიკური განწყობილება საბჭოთა მთავრობის მიმართ. ეს ის მაზრაა, სადაც მენშევიკების მთავრობის დროს ადგილობრივი თავადაზნაურობა გენერალ ფონ-კრესის და მისი ჯარის საშუალებით ჰკრეფდენ 1917 წლის ღალას გლეხობიდან. ეს ყოველი ხდებოდა „დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში" მენშევიკური მთავრობის მეთაურობით.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ძირფესვიანად იქნა აღმოფხვრილი თავად-აზნაურობის ბატონობის ნაშთები. მათი ადგილ-მამული და შენობები გლეხობას გადაეცა. და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ გლეხობა მარჯვენა ხელი გახდეს საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის.

ადგილობრივ ხელისუფლებას სხვა მხრივადაც არა ნაკლები ყურადღება მიუქცევია გლეხობისათვის.

მე აქ მოვიყვან ორ პატარა მაგალითს, მაგრამ დიდმნიშვნელოვანს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების პირობებში.

ხელისუფლებას აქვს სასაკლაო. აქედან გამოსული ნედლი ტყავეული მზადდება ადგილობრივათ ისევ ხელისუფლების ტყავის ქარხანაში (როგორც ზედა, აგრეთვე ქვედა პირი). ეს ტყავეული მზადდება საჩუსტო და საქალამნე სახელოსნოში (ესეც მთავრობის არის) და ამგვარათ დამზადებული ჩუსტები და ქალამნები ეწოდება გლეხს 50 პროც. უფრო იაფად, ვიდრე ამას აწვდის კერძო პირი.

არსებობს აგრეთვე მჭედელთა სახელოსნო (ესეც მთავრობის), სადაც მზადდება გუთანი, ნალები და სხვა ისეთი რკინეული (თოხი, წალდი, ცული და სხვა), რომლებიც ეგრედწოდებულ საწარმოვო იარაღს წარმოადგენს გლეხობისათვის. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, გაცილებით იაფად მიაქვს გლეხს.

გლეხი გრძნობს, რომ მთავრობა მასზე ზრუნავს და აკეთებს პირველად ყოვლისა იმას, რაც გლეხისათვის აუცილებელი საჭირო არის. სხვა მრავალ ნამუშევართან ერთად ეს ორი აქ მოყვანილი მაგალითი დიდ მიღწევათ უნდა ჩაეთვალოს ადგილობრივ ხელისუფლებას.

საბჭოთა, დღემდის არსებული, ძირითადი ხელისუფლების აპარატი, რაი-აღმასკომების და სოფლის საბჭოების სახით ვერ აკმაყოფილებდა გლეხობის სურვილს და ამიტომაც იყო, რომ უარყოფილ იქნა ძველი რაიონული სისტემა და შემოღებული თემური სისტემა. მაზრა დაყოფილია 40 ადმინისტრატიულ ერთეულად თემის აღმასკომების და მისივე საბჭოების სახით. უარყოფილ იქნა აგრეთვე თემის ტერიტორიაზე ხელისუფლების კიდევ მეორე ორგანოს, სოფლის საბჭოს შექმნა, ვინაიდან ეს გაცილებით მეტ ხარჯებს გამოიწვევდა, ამით აგრეთვე თემის აღმასკომის და სოფლის საბჭოს შორის აირ-დაირეოდა ფუნქციებიც.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე სოფელი საგრძნობლათ დაცილებული იქნება თემის ცენტრზე, ცნობილ იქნა საჭიროთ ამ სოფლიდან თემის აღმასკომის პრეზიდიუმში შეყვანა ერთ-ერთი წევრისა. ეს უნდა ჩაითვალოს უფრო მიზანშეწონილათ, ვიდრე სოფლის საბჭოების დაარსება. მიღებულია ზომები აგრეთვე სისწორით გატარდეს ცხოვრებაში ცეკას დირექტივები—მეტი უპარტიოების გაყვანა საბჭოებში—ვიდრე ეს დღემდის იყო. ადგილობრივ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს თემაღმასკომებშიაც გაიყვანოს უპარტიო გლეხები—თემაღმასკომის სამ წევრში ერთი უეჭველად უპარტიო გლეხი ან სოფლის ინტელიგენტი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ისეთ პირებიდან, რომელთაც გლეხობაში ავტორიტეტი და თავის დროს ხელისუფლების წინაშე სრული ნდობა აქვთ დამსახურებული.

არჩევნები უნდა დამთავრდეს 5 თებერვალს, ხოლო სამაზრო საბჭოთა ყრილობა კი მოწვეულია 15 თებერვლისათვის.

მ. ურუშაძე.

პარტიული ცხოვრება

ერთი წელი ლენინის პარტიაში

ამხ. ლენინის სიკვდილი, შეიქმნა უდიდეს ფაქტორად პარტიის უპარტიო მასსებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებისათვის. დღეს უკვე ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ გააჩაღა აქტიური მუშაობა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის. და ამ მხრივ ჩვენ კიდეც მივაღწიეთ საგრძნობ შედეგებს.



ამხ. კოსტა ჯიოშვილი.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ დავსვათ წერტილი და ვსთქვათ, რომ მუშაობა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის დამთავრებულია. არა. ფიქრი ამის შესახებ დიდი შეცდომა იქნებოდა და თავის მოტყუილებაც.

ლენინელთა ახალი გვარდია, რომ პარტიულად აღვზარდოთ, ავამაღლოთ მათში პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონე, შევასისხლხორცოთ პროლეტარული დისციპლინა და გარდავქმნათ ისინი ნამდვილ, ჭეშმარიტ ბოლშევიკებად ისე, რომ მართლაც ისინი სავსებით ღირსნი იყვნენ კომპარტიის წევრობისა,—საჭიროა მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება.

მაგრამ რაში მდგომარეობდა და მდგომარეობს ჩვენი მუშაობა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის? როგორი უნდა იყვეს მომავლისათვის მუშაობა?

ჩვენ ვიცით, რომ პარტია მათ უპირველეს ყოვლისა აძლევდა და აძლევს პირველ დაწყებითი ცოდნას, აცნობდა აგრეთვე პარტიის პროგრამას და ისტორიას, ლენინის მოძღვრებას და სხვ. ეს იყო პირველი ნაბიჯი, პირველი საფეხური პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობის საქმეში. მაგრამ დღევანდელი სინამდვილე კატეგორიულად მოითხოვს ამ მიმართულებით უფრო მეტ ენერგიულ და სერიოზული მუშაობის წარმოებას.

მაგრამ ამით განსაზღვრა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის პარტაღმზრდელობითი მუშაობისა ყოვლად შეუძლებელია. ეს არაა საკმაო.

პარტაღმზრდელობითი მუშაობის მეორე მთავარი მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ ლენინელთა გვარდია უშუალოდ და აქტიურად ჩააბათ პარტიის, საბჭოთა ორგანოების და პროფკავშირების პრაქტიკულ მუშაობაში. მხოლოდ პარტაღმზრდელობ. ამ ორი მომენტის სრული და მთლიანი გამოყენებით ჩვენ შევძლებთ პარტიაში ახლად მიღებულების ნამდვილ ბოლშევიზაციას, პარტიის რიგების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას და მით ილიჩის ანდერძის ცხოვრებაში გატარებას.

ამასთანავე პარტმუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ლენინელთა გვარდიის გამოყენებამ უპარტიო მშრომელ მასების დაპყრობის საქმეში. ეს მით უმეტეს, რომ პარტიაში ახლად მიღებულები ახლოს დგანან მათთან. ამ შემთხვევაში კი მთელი შესაძლებლობით უნდა ავამოძრაოთ როგორც 1924 წელს, ისე 1925 წ. ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე პარტიაში ახლად მიღებულები.



ამხ. ალექსანდრე მამულიანცი.

კომუნისტური პარტია, შესძლებს თავის რიგებში ამ ახლად მიღებულების აქტიურად ჩაბმას.

შ. ბ—ძე.

ლენინის პარტიისაკენ

ილიჩის გარდაცვალების წლის თავზე პარტიის გარშემო კვლავ თავი მოიყარა მუშების და გლეხების საგრძნობმა ნაწილმა.



ბაჭაოზი არზუმანოვი.

უკანასკნელათ შეკრებილმა საქართველოს ცეკას პლენუმმა დაადგინა მათ რიგებიდან პარტიაში 200 კაცამდე გადარიცხვა. ნაწილი უკვე კიდეც მიღებულია პარტიაში, ნაწილი კი მიღებული იქნება ახლო ხანში.

ვინ არიან ისინი? საქართველოს მუშებისა და გლეხების მშრომელთა წრიდან გამოსული რჩეული ელემენტები, რომლებიც მთელი თავისი არსებით დადგნენ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალისა და კომპარტიის პლატფორმაზე.

მათ შეაღეს ილიჩის პარტიის კარები, მაგრამ ამ შემთხვევაში პარტიას ჰმართებს მათ შორის დიდი მუშაობის წარმოება.

იმისათვის, რომ ჩვენ შევსძლოთ ამ ამხანაგების წარმართვა ილიჩის გზით, იმისათვის, რომ მათში გამოიჭედოს წმინდა პროლეტარული ფსიქოლოგია და რევოლუციონური თავდადება ბრძოლაში, იმისათვის, რომ მათ შესძლონ გახდენ ნამდვილი ბოლშევიკები, ამისათვის საჭიროა პარტუჯრედებმა გაუწიონ მათ სათანადო ხელმძღვანელობა ლენინიზმისა და ჩვენი პარტიის ძირითადი დებულებების შეთვისების საქმეში.



ამხ. სოლომონ ნოდარიძე.

„პროლეტარიატის დიქტატურა არის გაფთრებული ბრძოლა, ბრძოლა სისხლიანი და უსისხლო, ძალადობითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატიული, ძველი საზოგადოების ძალების და ტრადიციების წინააღმდეგო"—გვასწავლიდა ილიჩი. შეუძლებელია ამ ბრძოლის სასურველათ დაბოლოება, თუ არა იქნა „უსასტიკესი ცენტრალიზაცია და დისციპლინა პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის შიგნით"—ამბობს ბელადი.

ილიჩის ეს ანდერძი უნდა იყოს გამოსავალი წერტილი, როცა ჩვენ ვიწყებთ პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობას, ეს მუშაობა კი უნდა გავაჩაღოთ, რაც შეიძლება აქტიურად და ენერგიულად. იგი უნდა გახდეს პარტმუშაობის ერთ მთავარ საკითხად.

ჩვენ პარტიაში ასობით გადმოსულ ამხანაგებს უნდა წარუძღვეთ—ლენინისაკენ, რომ ისინი სავსებით ღირსნი იყვნენ კომპარტიის წევრობისა.

ვასო.

პარტმუშაობა ბანძის რაიონში

ბანძის რაიონის პარტ. ორგანიზაცია აკავშირებს თავის გარშემო 83 პარტ-ამხანაგს. ამ რაიონში შემავალ ყველა თემებში დაარსებულია პარტუჯრედები, სადაც რაიკომის მიერ მიმაგრებულია სათანადოთ მომზადებული ამხანაგები. ამასთანავე უჯრედებთან არსებობენ პოლიტწრეები, სადაც მეცადინეობა სწარმოებს 3 4 ჯერ. ამ მეცადინეობამ კიდეც გამოიღო სასურველი ნაყოფი, რაც გამოიხატება ამხანაგების კულტურული განვითარების დონის ამაღლებაში. პარტდისციპლინა ამხანაგებს შორის მტკიცეა. ბანძის მაზრკომი ადგილობრივ ორგანიზაციებს უწევს როგორც იდეურ, ისე ნივთიერ დახმარებასაც.

ქალთა შორის მუშაობა

უნდა ითქვას, რომ ქალთა შორის მუშაობის საქმე არ არის მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობაში, რაც აიხსნება რაიკომის სუსტი ხელმძღვანელობით. ქალები იშვიათად ესწრებიან პარტ-უჯრედების ღია სხდომებს, პოლიტმეცადინეობას, ისინი იშვიათად თუ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში.

ქალებში ჯერ-კიდევ ძლიერია ძველი დახავსებული ყოფა-ცხოვრების გავლენა, რომელიც საგრძნობლათ აფერხებს მათ გამოყვანას ჩაკეტილ მდგომარეობიდან და მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებას. რაიონში არ არსებობს არც ჭრა-კერვის პროფესიონალური სკოლა და არც სასოფლო-სამეურნეო არტელი. ბანძის რაიკომმა და მაზრის ქალთა განყოფილებამ უნდა გადადგას ამ მხრივ რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის

ა. ლ. კ. კავშირი თავის რიგებში აერთიანებს 70 ოე წევრს. კომორგანიზაციების დამოკიდებულება კომკავშირთან კარგია.

აგერ თითქმის სამი-ოთხი თვე გადის და ბანძის რაიონს არა ჰყავს თავისი ხელმძღვანელი ორგანო. ეს მდგომარეობა დიდ აღელვებას იწვევს როგორც ა. ლ. კ. კ. წევრებსა, ისე კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების წევრთა შორის. საჭიროა ამ მდგომარეობას მიექციოს ყურადღება კომკავშირის ცეკამ.

საბჭოთა აღმშენებლობა

ბანძის რაიონის მასშტაბით აღმშენებლობითი დარგში გვაქვს საგრძნობი მიღწევები როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ სფეროში. მთელ რაიონში შეკეთებულია ყველა დაბალი საფეხურის სკოლები. საანგარიშო თვის განმავლობაში დიდი მუშაობა სწარმოებს ტეხნიკუმისათვის სამოსწავლო მასალების შესაძენათ, რომლითაც მთელი გლეხკაცობის სიხარულს საზღვარი არა აქვს. მხოლოდ სამწუხაროდ ბანძის რაიონი საკუთარი საშუალებებით ვერ შესძლებს ამ საქმის დაგვირგვინებას; ამისათვის აუცილებლად საჭიროა როგორც მაზრის, ისე ცენტრისაგან სათანადო დახმარება.

კირ. პატარაია.

პარტიული ქრონიკა

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

სააგ.-საპროპ. მუშაობის გამოკვლევა რაიონებში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება საგ.-საპრ. მუშაობის გამოკვლევის შესახებ რაიკომებში. ამ მიზნით გამოყოფილია კომისია, რომელშიაც შევიდნენ ამხ. ამხ. ასირბეკოვი, ქაცარავა, მთვარელიძე, შელია, ადამიანი, ბუდილოვი, ხაჭაპურიძე, რასულ-ზადე, არუთინოვი და კიდიაში. კომისიას დაევალა გამოკვლევა დაამთავროს ა/წ. 15 თებერვლისათვის.

სახალხო განათლების შესახებ.

მოისმინა რა ამხ. ქაცარავას მოხსენება, თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სახალხო განათლების სისტემის სოფლის სკოლების მუშაობის ხასიათთან დაკავშირების მიზნით, გაძლიერებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადახრა სოფლის სკოლებში, და აგრეთვე გადიდებული იქნეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების რიცხვი. ქალაქის სკოლებში კი თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი აუცილებლათ სთვლის გაძლიერებული იქნეს მუნიციპალური გადახრა და ყურადღება მიექცეს პროფ-ტეხნიკურ განათლებას.

კომკავშირის მუშაობის გაძლიერება სკოლებში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება კომკავშირის მუშაობის გაძლიერების შესახებ თბილისის სკოლებში და წინადადება მისცა კომკავშირს უახლოეს დროში შეუდგეს ორგანიზაციულ მუშაობას სკოლებში (კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის უჯრედების მოწყობა).

ლტოლვილები ბესარაბიიდან

თბილისში ჩამოვიდა 35 ბესარაბიელი გლეხი, რომლებიც, მათ მიერ მოწყობილ აჯანყების შემდეგ, გამოექცნენ რუმინელ ბოიარების ხელისუფლებას, რის საპასუხოდ უკანასკნელებმა ზარბაზნების ცეცხლით გადაბუგეს მათი სოფლები.

ყველა თბილისში ჩამოსული შემობე-ლტოლვილნი კარგად არიან გაცნობილნი ყურძნის მოყვანას და ამიტომ ადგილობრივ ბესარაბიულ ორგანიზაციას განზრახული აქვს მოაწყოს ისინი ვენახებში სამუშაოთ.

ეკონომიური ცხოვრება

ა.-კ. ფინსახკომის 5 შემნახველის სალაროს დახურვა

ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოსთან არსებობდა წარსული წლის იანვრიდან მეხუთე შემნახველი სალარო. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით ეს სალარო დაიკეტა. ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები გადაეცა მეორე სალაროს, რომელიც მოთავსებულია სადგურის პირდაპირ—მალაკნებისა და სადგურის ქუჩის კუთხეში.

მეხუთე შემნახველი სალაროს დახურვა დიდი ხანია განზრახული იყო, რადგან ოპერაციები მცირედი იყო, შენახვის ხარჯი კი თვალსაჩინო. ამას გარდა იქვე ახლო არსებობს მეორე შემნახველი სალარო, რომლისთვისაც შეეძლოთ რკინის გზის დეპოსა და მთავარ სახელოსნოების მუშებს მიემართათ. მიუხედავათ ამისა, მეხუთე სალაროს დახურვა დღითი დღე იდებოდა, იმის გამოსარკვევად, თუ რა გავლენას მოახდენდა სალაროს დახურვა მუშების ინტერესებზე. მუშები სარგებლობდენ სალაროთი არა მარტო იმ მხრით, რომ შეჰქონდათ იქ ანაბარები და აგროვებდნენ წვრილ-წვრილად მცირეოდენ თანხებს მოსალოდნელ გაჭირვებისათვის. იმავე სალაროში მუშები იძენდენ საგერბო და საფოსტო მარკებს, იღებდნენ სესხს სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გირაოს ქვეშ, მეფის დროს მოჭრილ ვერცხლის ფულს სცვლიდნენ დღევანდელ ფულზე და სხვა.

ბოლოს სალაროს დახურვა გადასწყდა თვით მუშების სურვილის თანახმად, რომლების აზრითაც მეხუთე სალაროს არსებობა ზედმეტია. როცა იქვე არსებობს სალარო სადგურის პირდაპირ.

დღეს თბილისში არსებობს 13 შემნახველი სალარო. სხვათა შორის სალარო არის მთავარ საფოსტო კანტორასთან და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა განყოფილებასთან.

კოოპერაცია

ამხ-ბა „მეჯუდა"

სოფ. მეჯვრისხევში, (გორის მაზრ.) არსებობს კოოპერატივი „მეჯუდა" სამი განყოფილებით. აღნიშნული კოოპერატივი საკმარისათ აწვდის გლეხობას უსაჭიროეს საგნებს და ეხმარება მათი ნაწარმოების გასაღებაში, „მეჯუდა"-მ შეისყიდა ახლომახლო ხილის ბაღები, ჩირი და აწარმოებს მის რეალიზაციას. იგი მუშაობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონტაქტით, აქვს პირდაპირი კავშირი სოფლის მასასთან. გლეხობაც დიდი ნდობით უყურებს კოოპერაციას. აქამდის თუ მას ჰყავდა 60 წევრი დღეს ჰყავს 150 და ეს რიცხვი დღითი დღე მატულობს. არ კმაყოფილდება კოოპერატივი მარტო ამით, იგი მუშაობს როგორც მეურნეობის, ისე კულტურულ დარგშიაც, აქვს გლეხობისათვის ნიმუშიანი ვაზის საჩვენებელი ბაღი და ბიბლიოთეკა - სამკითხველო. საალებ-მიმცემო მისი თანხა ძლიერ მცირეა, საჭიროა ცეკავშირმა გაუხსნას მას საკმარისი კრედიტი, რომ „მეჯუდა"-მ სავსებით გაამართლოს მის ირგვლივ შემოკრებილ გლეხობის იმედები.

შიბ.

იაფი კრედიტი ღარიბ მოქალაქეთათვის

(თბილისის ლომბარდის მოქმედება 1924 წელს).

ლომბარდის დანიშნულება.

თბილისში სამუშაოს შოვნის საქართველოს ყოველი კუთხიდან და სხვა რესპუბლიკებიდან ყოველწლიურად მრავალი მოქალაქე ჩამოდის. მარტო 1923 წელს ქალაქს მოემატა სულ 16.801 მოქალაქე, ამათ შორის—6.949 ქართველი, 5.753 სომეხი, 2,101 რუსი და 2.005 დანარჩენი ეროვნება. მოსულ მცხოვრებლებში უმრავლესობას წარმოადგენენ მუშა-მოსამსახურეები, რომელნიც სამუშაოს ეძებენ და ადგილზე მოწყობის შემდეგ, როგორც ნაკლებად უზრუნველყოფილნი, ყოველმხრივ დახმარებას საჭიროებენ. ამ მიზნით თბილისის აღმასკომმა გახსნა ლომბარდი, რომელშიაც მუშაობა დაიწყო 1923 წლის 26 მაისს.

ძირითადი თანხა და სესხზე დაწესებული სარგებელი.

1924 წლის პირველი ნოემბრისათვის თბილისის ლომბარდს ჰქონდა 150 ათასი მანეთი ძირითადი თანხა და 100 ათასი მანეთი კრედიტი. თბილისის ლომბარდის გირაოების თანხა, მოსკოვის გამოკლებით, სჭარბობს საბჭოთა რესპუბლიკების სხვა ქალაქების ლომბარდების თანხებს, ხოლო რაც შეეხება სარგებელს სესხზე, თბილისის ლომბარდის ყოველთვიური პროცენტი სესხზე უდრის—3,5 მაშინ, როცა კიევის ლომბარდი იძლევა სესხს 5 პროცენტიანი სარგებლით, სარატოვის—7,2 პროც., მოსკოვის—4,5 პროცენტით, ხარკოვის—5,3 პროც., ლენინგრადის—4,8 პროც. გაცემულ სესხზე დიდი პროცენტის აღება ქალაქს ნაკლად უნდა ჩაეთვალოს; რაც უფრო დიდ პროცენტს იღებულობს ლომბარდი გირაოს ქვეშ გაცემულ სესხზე, მით უფრო ნაკლებ ასრულებს იგი თავის მოვალეობას ქალაქის ღარიბ მოსახლეობის მიმართ.

ლომბარდის ოპერაციები.

მაისიდან—ნოემბრამდე (5 თვის განმავლობაში) ლომბარდმა 8.730 დამგირავებლისათვის სესხის სახით გაუცია 191.783 მანეთი. გირაო გამოუყვანია 1.976 დამგირავებელს. დაბრუნებია ლომბარდისათვის აღებული სესხის დასაფარავად 40.934 მანეთი—ე. ი. ლომბარდის მიერ გაცემული სესხის 21,4 პროცენტია. ასეთი მდგომარეობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ დამგირავებელი უმეტეს შემთხვევაში იმდენად გაჭირვებულია, რომ არ ძალუძს სესხის თავის დროზე გასტუმრება და იძულებულია გადააგიროს.

გამოსყიდვის დროს გადახდილი შემოსავალი.

ლომბარდს შემოსვლია 5 თვის განმავლობაში—1.802 მანეთი, გადაგირავების დროს გადახდიდან—8.620 მან. 23 კაპ. აუქციონის გაყიდვის დროს—75 მან. 24 კაპ. ლომბარდის შემოსავალი შეადგენს სულ—10.496 მან, 50 კაპიკს. სექტემბერში ლომბარდმა გამართა აუქციონი, რომლიდანაც ორ თვეში გაყიდულია 70 გირაო—1.060 მანეთად. ლომბარდის საკუთრებაში გადავიდა 28 გირაო, რომელშიაც სესხად გაცემული იყო 1.048 მანეთი.

მოსახლეობის უფრო მეტი დახმარების აღმოჩენის მიზნით ლომბარდმა გახსნა საკომისიო მაღაზიები, რომელთაც საბრუნავ და საორგანიზაციო ოპერაციების საწარმოებლად მიეცათ 4.442 მანეთი. აღნიშნული მაღაზიები ღებულობენ საკომისიოდ გასაყიდ ნივთებს და ამავე დროს აძლევენ წინასწარ სესხს. ორი თვის განმავლობაში ლომბარდის მაღაზიებს გაცემულ სესხზე აუღიათ 243 მან. პროცენტი და 763 მან. საკომისიო.

გასავალი.

ლომბარდის ხარჯები 5 თვის განმავლობაში უდრიდა სულ 14.253 მანეთს, აქედან საორგანიზაციო ხარჯებს მოხმარდა 1.972 მანეთი, პროცენტების სახელდახელო ანგარიშზე დაიხარჯა—3.049 მან. აღნიშნული ხარჯები ერთდროული გასავალია დაწესებულებისთვის: სახელდახელო ანგარიშზე პროცენტები ოპერაციების მოხმარების შემდეგ ისევ დაუბრუნდება ლომბარდს. ასე რომ ლომბარდმა შესძლო მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება თვითგამოსყიდვის პრინციპის დაცვით.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

25 იანვარი

საქართველო

25 იანვარს ღამით ფულელტეხილიდან—ბათომამდე მთელ ხაზზე თოვდა. გზებზე კვლავ დასდო დიდი ნამქერი. ზესტაფონ-შორაპან-ხარაგაულის-მოლით-ხაშურს შუა შეძლებისდაგვარად მუშაობდენ თოვლმწმენდი პატარა გლები. **თოვლის დიდი ორმოების გაჩენის გამო მუშაობამ დაკარგა მნიშვნელობა.** განსაკუთრებით ძნელი გასავლელია რკინის გზის **ხაზი** ყვირილა-სვირის შუა, სადაც გაჩნდა ღრმა ყინულიანი ტრანშეები. მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის საჭირო ხდება მოძრავ მატარებლების შემცირება. ამუშავებულია საკვეთი და ბიოსკი. 25 იანვრის საღამოსათვის ბათომისაკენ ამინდი დაწყნარდა.

ჭიათურის ხაზზე მატარებელმა საჩხერიდან რკვიამდე შესძლო გზის გაკვლევა. თუ ამინდი არ გაუარესდა, მოსალოდნელი გახდება 26 იანვრისათვის ჭიათურიდან შორაპნამდე მოძრაობის აღდგენა.

ტყვიბულის შტოზე 25 იანვარს აღდგენილ იქნა მიმოსვლა ქუთაისიდან ტყვიბულამდე. **ქვა-ნახშირის მაღაროები დაფარულია ერთსაჟენიანი სიმაღლის თოვლით. გზის გასაწმენდათ გამოსული არიან მაღაროს მუშები, მაგრამ მუშაობა მეტად ძნელი ხდება.**

საფულელტეხილო უბანში 25 იანვრის საღამოს ჟამს თოვლი აღარ მოდიოდა და ქარბუქიც შეწყდა. **ამ უბანში თოვლის სიმაღლე აღწევს 18 ვერშოკს.** ღრმა თოვლის გამო მატარებლები მეტად ნელა მოძრაობენ. ბათომ-ფოთისაკენ სამუშაოდ აგზავნილია ბიოსკი თოვლსაწმენდი.

ბორჯომის რაიონი მთლიანად ჩაფლულია ღრმა თოვლში, რომლის სიმაღლე ალაგ-ალაგ ერთ საჟენს აღწევს. დაიწყო საშინელი ყინვები, რომლის სიძლიერე ხშირათ სცილდება 10 გრადუსს ნულს ქვევით.

თოვლის ზვავის მსხვერპლი.

ს. დიდი-ვანი (ქუთაისის მაზრა).

(საკუთარი კორესპონდენტისგან)

23 იანვრიდან განუწყვეტლივ თოვს. თოვლის სიმაღლე ნახევარ საჟენს გასცილდა. შარა გზები გაკავდა თოვლის ზვავების ჩამოწოლის გამო. თოვლის ზვავმა სოფელში იმსხვერპლა ერთი ოჯახი. დაიხრჩო ანდრო რაჟდენის ძე რამიშვილი, მისი ცოლი და ორი ვაჟი.

ს. ცინცაძე.

გრიგალი სოფელ ოზურგეთში.

(საკუთარ კორესპონდენტისგან)

21 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე სოფელ ოზურგეთში (ქ. ოზურგეთიდან 3 ვერსის დაშორებით) ამოვარდა საშინელი გრიგალი, რომელმაც სოფელს დიდი ზარალი მიაყენა. გრიგალმა დაანგრია სახლები, ნალიები, სამზარეულოები, ბეღლები, საკუჭნაოები და სხვა პატარა შენობები.

გრიგალმა სრულიად გაანადგურა ორი მოსახლე: 10 საჟენის სიმაღლეზე ჰაერში აიტაცა მათი სადგომი შენობები და სხვა შენობები, ხოლო მესამე მცხოვრების სახლს მოგლიჯა ყველა ოთახები და უვნებლად დასტოვა მხოლოდ ის ოთახი, სადაც ისხდენ ოჯახის წევრები. არც ერთი ოჯახში ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. გრიგალმა ალაგ-ალაგ ძირიან-ფესვიანად ამოაგდო მრავალი ხე და ჰაერში აიტაცა შინაური ფრინველები. გურიაში იშვიათად თუ ვისმე ახსოვს ასეთი საშინელი გრიგალი.

ივა.

აზერბეიჯანი

ბაქოს და მის რაიონში 25 იანვარს დროგამოშვებით სთოვდა. დიდი თოვლის გამო ბაქო-დერბენდს შუა დაწყდა ტელეგრაფის მავთულები, რის გამოც სატელეგრაფო კავშირი შეწყდა.

მდ. მტკვარის შესართავი კვლა გაიყინა. ყინულის სამტვრევად გაიგზავნა კრატერი.

24 იანვარს ბალაჯარის კვანძზე მძვინვარებდა საშინელი ქარბუქი. გზები დაიფარა ნამქერით. სად. იაშმასთან ძლიერი ქარბუქის და დიდი ნამქერის გამო დაიხურა მოძრაობა მანამდე, ვიდრე გზა არ გაიწმინდება.

სად. ბაქოსთან (1119 ვერსზე დაკუმშული ღრმა თოვლის გამო ლიანდაგს აცდა თოვლმწმენდი მატარებელი ბიორკე, რომელიც გზის შუაადგილზე წაიქცა. 25 იანვარს საღამოს ბაქო-ბალაჯარას და ჩრდილოეთ უბანში ქარბუქი გრძელდებოდა, დაიხურა მოძრაობა ბაქოდან ეიბათამდე და ახმასიდან ბაქომდე. მოსალოდნელია მოძრაობის შეწყვეტა საბუნჩინის შტოზე.

საღამოს 8 საათიდან მეთერთმეტე უბანში ამოვარდა სასტიკი ქარბუქი. გზები **დაიფარა** დიდი ნამქერით.

სამხრეთის ხაზის თოვლით დაფარვის გამო ქიშლი-ბალაჯარას შუა მოძრაობა შეჩერებულია.

ქარბუქ-ნამქერის საწინააღმდეგო ღონისძიებაში.

აზერბეიჯანის ცენტრალურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების სარაიონო თათბირზე ქარბუქის და ნამქერების საწინააღმდეგო ზომების გასამუშავებლად 5 კაცისგან არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ამხ. დონონოვი, ფოფონოვი, ლაკამსკი, კადიროვი და დვოსნიკოვი. შეძენილია მაგარი სათბობი მასალა.

26 იანვრის ცნობები

საქართველო

ფულელტეხილიდან ბათომამდე თოვა შეწყდა მოიწმინდა. დიდი ყინვებია.

ჭიათურის შტოზე თოვს. რკვიანიდან ჭიათურის შუა ლიანდაგს აცდა თოვლმწმენდი მატარებელი.

ტყიბულის შტოზე აღდგენილ იქნა მოძრაობა მაღაროებამდე.

ბათომში 26 იანვრის დილამდე მოდიოდა თოვლი. ზღვაზე მძვინვარებდა გრიგალი.

სამტრედია-ქუთაის-ტყიბულს შუა მოდის პატარა თოვლი.

ქუთაისს-ხაშურს შუა თოვს და ქრის ქარი.

26 იანვარს დილით იდგენ მატარებლები: სამტრედიაში სამგზავრო მატ. № 22, მარელისში სამგზ. № 9. დანარჩენი მატარებლები მოძრაობენ. მიმოსვლა არ შეწყვეტილა გარდა ჭიათურა-სურამის შტოებისა.

წიფიდან გამგზავრებული სამგზ. მატ. № 8. ორთქლმავლის დაზიანების გამო, შეჩერება მოუხერხებელი გახდა და სად. მოლითიდან სწრაფად შევარდა ჩიხში. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ქარბუქი ჭიათურაში

ჭიათურა, 26 იანვარი. მძვინვარებს საშინელი ქარბუქი. მოძრაობა ჭიათურის რკინიგზის შტოზე შეჩერებულია. მუშაობა შეწყდა ზოგიერთ მაღაროებში. უკვე სამი დღეა შეჩერებულია შავი ქვის დატვირთვა. დატვირთულები გადაყვანილი არიან გზების გასაწმენდათ. ქარხნებში მუშაობენ. დარღვეულია კავშირი ახლო-მახლო სოფლებთან ზესტაფონის და ჩხარის რაიონში საქონლის საკვების დიდი ნაკლებობაა. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

თოვლი ახალსენაკში.

ახალსენაკი, 26 იანვარი. 23 იანვარს ამოვარდა ძლიერი ქარბუქი. 24—25 იანვარს განუწყვეტლივ სთოვდა. თოვლის სიმაღლე აღწევს ზოგიერთ ადგილებში 1 არშინამდე. ყინვა 6 გრადუსამდე აღწევს.

ყინვების შედეგები ქუთაისში

ქუთაისი. 26 იანვარი. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით დიდი თოვლის და ყინვების გამო 2 თებერვლამდე სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყდა.

მთელ მაზრაში შემჩნეულია ნავთის დიდი ნაკლებობა.

წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ჯოგები, რომლებიც ბინადრობენ აჯამეთის აგარაკში, სწყდებიან სიცივისა და საკვების სიმცირის გამო. სამაზრო აღმასკომმა ამ საქონლის გამოსაკვებად გადასდო 600 ფუთი თივა.

ყინვები სოხუმში.

სოხუმი. 26 იანვარი. ყინვები ღამით აღწევს 8 გრადუსამდე. ყველა ტროპიკული მცენარეები მეტად დაზიანდნენ. თოვლი არ დნება.

აზერბეიჯანი

დერბენდსა და სუმგაითს შუა თოვლი აღარ მოდის. სუმგაითსა და ჩერნოგორსკის შუა, ბაქოს სადგურების გამოკლებით, თოვლი კვლავ მოდის. ჩერნაგორსკიდან აჯიკაბულამდე თოვა შეწყდა, ქრის პატარა ქარი.

სადგურებზე გაჩერებულნი არიან საბარგო და სამგზავრო მატარებლები.

გადასარბენნი ბაქო-ბალაჯარა, ბალაჯარა-იაშმა, ბალაჯარა-ეიბათ. გაკავებულია და მიმოსვლა არ სწარმოებს.

ბაქო-საბუნჩის შუა მოძრაობა სწარმოებს მხოლოდ ჩრდილოეთის ერთი გზით. სამხრეთ გზაზე მოძრაობა შეჩერებულია, რადგან სამგზ. მატ. № 62 გაკავდა ბაქოს სადგურის სემაფორთან და ვიდრე ახსნილი არ იქნება, მიმოსვლა ვერ განახლდება.

დერბენდიდან გამგზავრებულ მატარებლებს მოუნდებათ ხაჩმასში შეჩერება, სანამდე გზა გაიხსნებოდეს. ამ ხაზზე მუშაობს მხოლოდ ერთი თოვლმწმენდი, რადგან მეორე მანქანა უვარგისი შეიქნა ჯერ კიდევ პირველი ნამქერების დროს.

ყინვა ბაქო-დერბენდ და აჯიკაბულს შუა აღწევს 3—4 გრადუს ნულს ქვევით.

აზერბეიჯანი

თოვლი ბაქოში

ბაქო. 26 იანვარი, 25 იანვარს ღამით დაიწყო ქარბუქი, რომელსაც მოყვა დიდი თოვლი. ტრამვაის მოძრაობა ბაქოში შეჩერებულია. რკინის გზის ხაზზე ბაქო-ხაჩმასი თოვლში გაჩერდა რამოდენიმე საბარგო და სამგზავრო მატარებლები. კასპიის ზღვაზე დიდი ქარია, ნაპირებთან მიმოსვლა შეწყვეტილია.

მეტეოროლოგიური სადგურის ცნობებით ახლანდელი ქარბუქი აიხსნება ატმოსფერული ძლიერი ზედაწოლით, რომელიც მოდის ცენტრალურ და სამხრეთ-რუსეთიდან; წინანდელ ქარიშხალთან მას კავშირი არ აქვს.

კომუნალურმა მეურნეობამ მიიღო საჩქარო ზომები ქალაქის გასაწმენდათ თოვლისაგან.

დღეს მზიანი დარი დგას.

საღამოს 10 საათის ცნობები.

სამტრედიიდან ბათომამდე წყნარი ამინდია.

ხაშურიდან შორაპნამდე თოვს. ხაშურიდან გორამდე ქარბუქია. თბილისიდან ბათომისაკენ გასული სამგ. მატ. № 9 სდგას გოკალ-მეტეხს შუა.

აზერბეიჯანის ხაზზე ამინდი დაწყნარებულია. პირდაპირი მოძრაობა თბილის-ბალაჯარას შუა აღდგენილია.

პროფკავშირებში

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში

დაზღვევის საკითხები.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა დასასვენებელი სახლების და საკურორტო-სანატორიული ექიმობის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს საფუძვლათ მიღებული უნდა იქნეს საწოლების და ადგილების ის რაოდენობა, რომელიც ფაქტიურათ ჰქონდა სოციალური დაზღვევის ორგანოებს 1923-24 საბიუჯეტო წელში.

პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ დაზღვევის ორგანოებს თავისი ხარჯთაღრიცხვები წარადგინონ არა უგვიანეს ა/წ. 25 იანვრისა.

კავშირების ნაციონალური მუშაობის გამოკვლევა.

პროფსაბჭომ აუცილებლათ სცნო კავშირების ნაციონალური მუშაობის გამოკვლევა. ეს გამოკვლევა უნდა მოხდეს თვენახევრის განმავლობაში.

რესპუბლიკანური პროფსაბჭოები უნდა შეუთანხმდენ სათანადო კავშირების ცენტრალურ გამგეობებს და სამაზრო განყოფილებებს გამოკვლევის ჩატარების შესახებ. გამოკვლევის პუნქტებს აწესებს ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო სათანადო პროფსაბჭოებთან შეთანხმებით.

ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენელი საბინაო აღმშენებლობის კომიტეტში.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ მუშების საბინაო აღმშენებლობის ამიერ-კავკასიის კომიტეტში დელეგატათ გაგზავნა ამხ. შვარცი.

ამიერ-კავკ. პროფსაბჭომ აუცილებლათ სცნო რკინისგზელთა პროფკავშირის წარმომადგენლის გაგზავნა ამიერ-კავკასიის საბინაო კომიტეტში.

რკინისგზელთა წარმომადგენლობა ადგილობრივ კომიტეტებში უნდა იკისრონ რკინისგზელთა სათანადო საუბნო პროფკავშირებმა.

სოციალური დაზღვევის სამმართველოს ჟურნალი.

საკითხი ჟურნალის შემდეგი გამოცემის შესახებ ჯერ-ჯერობით ღიათ არის დატოვებული.

ა/კ. პროფსაბჭოს დადგენილებით, პრეზიდიუმის უახლოეს სხდომაზე სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს ხარჯთაღრიცხვის და მუშაობის გეგმის განხილვის დროს, განხილული უნდა იქნეს აგრეთვე საკითხი „სოციალური დაზღვევის უწყებების“ შემდეგი გამოცემის შესახებ.

განათლების მუშაკთა კავშირში

კავშირის წევრთა ხელახალი აღრიცხვა.

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის დადგენილების თანახმათ, ახლო მომავალში დაიწყება კავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია. რეგისტრაციის ჩასატარებლათ არჩეულია კომისია, რომელშიაც შედის 9 კაცი.

სამთო-მადნო მუშაკთა კავშირში

დავალიანების გასტუმრება.

სამთო-მადნო მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა რესპუბლიკის დაზღვევის სამმართველოს წინაშე, ტყიბულის მუშათა კოოპერატივის დაზღვევის სალაროსადმი დავალიანების გადახდის ვადის მაისამდე გაგრძელების შესახებ.

სახალხო შეერთების კავშირში

სახალხო შეერთების კავშირის ა/კ. საოლქო კომიტეტმა დაამტკიცა სახალხო შეერთების კავშირის მუშათა კლუბის ყოველთვიური ხარჯთ-აღრიცხვა 400 მან. რაოდენობით.

ხის დამმუშავებელთა კავშირში

ხის დამმუშავებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის დადგენილებით, კავშირის პლენუმის მე-2 სესია მოწვეული იქნება 5 თებერვალს. დღის წესრიგში დასმულია 6 საკითხი: 1) ხის დამმუშავებელთა კავშირის სრულიად საკავშირო მე-6 ყრილობა, 2) კავშირის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) სატყეო ტრესტის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ, 4) ხის დამმუშავებელ განყოფილების მოხსენება, 5) მომავალი მუშაობის გეგმა და 6) მიმდინარე საკითხები.

ფულის გაფლანგვა

საჭილაოს ხის სახერხ ქარხნის ქარხკომის ტექნიკურმა მდივანმა მოქ. **დიომიდე თელიამ** გაფლანგა კავშირის თანხა—250 მან. ამას გარდა სარევიზიო კომისიამ გამოარკვია, რომ მოქ. **თელიამ** გადამალა აგრეთვე 450 მან. ღირებულების ფასიანი ქაღალდები. როგორც ფასიანი ქაღალდების ღირებულება, ისე გაფლანგული თანხა გადადებული იყო ადგილობრივი მუშათა კლუბის მოსაწყობათ.

თბილისის საბჭოს პლენუმი

ქ. თბილისის აღმასკომის საქმიანობა მოწონებულია საბჭოს მიერ

გუშინ საღამოს წითელ თეატრის დარბაზში შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი, რომელზედაც გრძელდებოდა მოხსენების განხილვა.

ქ. თბილ. აღმასკომის საქმიანობის შესახებ.

წინა სხდომაზე ამხ. სუხიშვილის მოხსენება მოსმენილ იქნა ქართულ ენაზე, ხოლო მისი თარგმანი გადადებული იყო ამ სხდომისათვის. თარგმნით გამოვიდა ამხ. ა. რუხაძე.

მოხსენებაში აღმასკომის საქმიანობის შესახებ აღნიშნულია აღმასკომის მუშაობის ძირითადი მომენტები და მოცემულია დამასაბუთებელი მასალა მუშაობის გაუმჯობესების და კომუნალურ წარმოებათა ნაყოფიერებისა. გამოკეთდა სახალხო განათლების საქმეც, რაც ჩანს მოსწავლეთა რიცხვის გადიდებიდან როგორც ქალაქში, ისე მაზრაში. გაფართოვდა ჯანმრთელობის დაცვის საქმეც ჯანმრ. განყოფილებისადმი მუშა-მოსამსახურეთა მკურნალობის საქმის გადაცემით.

მოხსენების დასკვნაში აღნიშნულია, რომ ყველა მტკიცებანი, აღმასკომის ორგანოებიდან ქართულ ელემენტების გამოძევების შესახებ,—ყალბია. მაშინ, როცა მენშევიკების დროს, 20 წ., ქალ. დაწესებულებებში ქართველები შეადგენდნენ მოსამსახურეთა 50 პროც., ეხლა იგი უდრის 54 პროცენტს.

რეზოლუცია

კამათის შემდეგ ერთხმად მიღებულია შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენება თბილ. აღმას. საქმიანობის შესახებ, საბჭოს პლენუმი აღასტურებს რა დიდ მიღწევებს ეკონომიურ და კულტურულ მუშაობის ყველა დარგებში, და აგრეთვე საბჭოთა აღმშენებლობის ყველა საკითხების გაღრმავება ჩამოყალიბების საქმეში თბილისის აღმასკომის მუშაობის ხაზს პლენუმი სთვლის სწორად და მის საქმიანობას სავსებით დამაკმაყოფილებლად“.

საბჭოთა სასამართლო

კავკასიის სამთომადნო ამხანაგობის („კარუტო“) გამძარცველების გასამართლება

გუშინ საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალში ამხ. ცნუქის თავმჯდომარეობით, ტრიბუნალის ხიხაძის და გოგიჩაიშვილის, პროკურორი დიდებულიძის და საზოგადოებრივ ბრალმდებელის ვაშაკიძის მონაწილეობით დაიწყო კავკასიის სამთომადნო ამხანაგობის („კარუტო“) გამძარცველთა გასამართლება. საბრალმდებლო ოქმი შეიცავს 64 გვერდს. საქმის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

1923 წლის ბოლოს თბილისში შესდგა ყაჩაღების ჯგუფი, რომელიც 1923 წლის 11 დეკემბერს თავს დაესხა კავკასიის სამთომადნო ამხანაგობის („კარუტო“-ს) კანტორას, რომელიც მოთავსებული იყო სასამართლოს ქუჩაზე. ყაჩაღები საღამოს 7 საათ. შეიჭრენ კანტორაში, სადაც 10 წუთის განმავლობაში გასცალეს კასა. კასიდან ყაჩაღებმა გაიტაცეს 5,406 გირვანქა სტერლინგი, 2,733 ჩერვონეცი, რამოდენიმე ათასი გერმანული მარკა, 1,135 დოლარი, ხელმოუწერელი ჩეკები 14,400 გირ. სტერლინგის რაოდენობით, ოქროს საათები და 600,000,000 მან. ბონებით. ყაჩაღები რამოდენიმე თვის შემდეგ აღმოაჩინა საგანგებო კომისიამ. თავდასხმის მეთაურები იყვნენ დ. ქარუმიძე და მიხ. ვანიძე, რომელთაგან პირველმა დაპატიმრების დროს თავი მოიკლა, უკანასკნელი კი მოკლული იქნა ბაქოში გაქცევის დროს. ამათ გარდა თავდასხმაში მონაწილეობა მიიღეს: ჩაფარაშვილმა, თავართქილაძემ, პერანიძემ, იმნაძემ. სულ პასუხისგებაშია მიცემული 12 კაცი.

დამნაშავეების მიმართ წარდგენილია ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 76 მუხლში. ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: მესხიშვილი, ტატიშვილი, ლუკიანი, ლამბაშიძე, გელოხაროკი, ჩერქეზიშვილი, ელებტი, ფირცხალაძე და ნაკაშიძე.

ტრიბუნალი გუშინ მოუნდა საბრალმდებლო ოქმის კითხვას.

დაპატიმრებანი გორში

მილიციის უფროსის დაპატიმრება

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს პროკურორის განკარგულებით დაპატიმრებულია ქალაქ გორში მილიციის უფროსი ბითარიშვილი, რომელსაც ბრალი ედება მთელ რიგ ბოროტმოქმედებებში.

„წითელი ქართლის“ ქონების გაფლანგვისათვის

მიღებულია ზომები კოოპერატივი „წითელი ქართლის“ გამგეობის იმ წევრთა დასაპატიმრებლათ, რომლებმაც გაფლანგეს და მიითვისეს 20000 მანეთი ამ კოოპერატივის ქონებიდან.

მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე

მაისში გორში იყო შემთხვევა კომუნისტის მოკვლისა. ფიქრობდენ, რომ მოხდა თვითმკვლელობა. ეხლა გამოძიებით ირკვევა, რომ აქ ადგილი ქონდა არა თვითმკვლელობას, არამედ მკვლელობას რომანიულ ნიადაგზე. მიღებულია ზომები მკვლელთა აღმოსაჩენათ და დასაპატიმრებლათ.

მუშათა ცხოვრება

მუშის სიმღერა

ჩარხი მომავალ ყოფნით მიფრინავს...
ქარხნები სუნთქვენ ელექტრონებით;
შრომის საყვირი დღეს შვებით გრგვინავს
და მეც ბანს ვაძლევ მზის შთაგონებით.

—

მიყვარს დინამო დაუსვენარი,
ის მძლე ლოტბარი ქარხნულ ტონების.
სახე ელვარი—ცეცხლით მგზნებარი...
მიყვარს სამეფო ელექტრონების...

—

მიყვარს ჰაერი, ნახისლი თუჯით,
იქ,—სად სხივოსნობს შრომის ლამპარი,
მიყვარს ფოლადი, რკინები მუჯღი...
და ელექტრული დაზგის ზანზარი.

—

იქ მძლედ გრიალებს ახალი ჰანგი,
სადაც ერთობის გუგუნებს რკალი,
ბრძოლით ნაშედი მღერის იქ ჩანგი
და გზას აშუქებს მომავლის ალი.

მუშა **მ. გოგიაშვილი**

ეს გარემოება წარმოებას აფერხებს

(რ. გ. პროფესიონალურ კავშირის საყურადღებოდ)

რომ მომუშავე კარგათ იქნეს ეკონომიურად დაკმაყოფილებული, ამისათვის საჭიროა რკინის გზას ჩამოშორდეს ყოველგვარი ზედმეტი ხარჯები. ასეთ ზედმეტ ხარჯად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რ. გზის მომუშავეებს ეძლევათ სხვადასხვა სახის სამგზავრო ბილეთები როგორც მაგალითად „რაზავოი“ „პროვიზიონკა“, „სეზონის“ და სხვები, რომლებიც აუარებელ ხარჯს იწვევენ და სარგებლობა კი არაფერი არ მოაქვთ მომუშავეებისთვის. მომუშავე გამოიწერს ბილეთს, შაბათს საღამოს წავა სადგურზე, უნდა ჩადგეს რიგში, შემოწმოს, გზაში ფეხზე დგომა უხდება და საშინლად იღლება—და თუ რაიმეს ყიდვა უნდოდა, დიდი განსხვავებით ვერც იყიდის, რადგანაც ეხლა თითქმის თბილისში უფრო იაფია სურსათ-სანოვაგე, ვიდრე პროვინციაში. ამ რიგად მუშამ კვირა დასვენების მაგიერ გაატარა უძილოდ და საშინლად დაიღალა. ორშაბათს ან ვერ მოასწრებს სამუშაოდ გასვლას და თუ მოასწრო, დაღლილ-დაქანცული დიდს ვერაფერს გააკეთებს, რაც ჯანმრთელობისათვისაც ცუდია და წარმოებისთვისაც. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მიუთითოთ მთავარ სახელოსნოზე, სადაც ორშაბათობით თითქმის 20 პროც. მომუშავისა აცდენს.

ეს მოვლენა კი, როგორც ზევით ვსთქვით, პირდაპირ დაუშვებელია წარმოებისა და მუშათა ჯანმრთელობისათვის.

მუშკორი **ჭ.—არი.**

ასე წარმოება ვერ იხეირებს.

(რკინის გზის სამმართველოს უფროსის საყურადღებოთ).

არ მახსოვს 25 წლის განმავლობაში არც ერთი ისეთი წელიწადი, რომ ისე კეთილსინდისიერად ემუშავნოს მუშას როგორც მუშაობს დღეს მთავარ სახელოსნოში. ეჯიბრებიან ერთი მეორეს, როგორც საქმის სისწრაფეში, ისე საქმის სიმკვიდრეში და მასალის ეკონომიაში. ყველა თავისად სთვლის სახელმწიფოს აღმშენებლობის მოვალეობას.

როგორ უცქერის ამას ზოგიერთი ადმინისტრაცია ან მოხელე? არის, თუ არა, ისიც გაღელვებული იმ აზრით, რომ ხელი შეუწყოს დღევანდელ მდგომარეობას სახელმწიფოს აღმშენებლობით მხარეს? —არა. ამას ამტკიცებენ ის ფაქტები, რომლებსაც მე ჩამოვთვლი აქ. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც რამდენიმე რონოდა იყო გაჩერებული რამდენიმე თვე იმისათვის, რომ მას მინები არ ჰქონდა ჩასხმული იმ დროს, როდესაც თბილისში აუარებელი შუშები მოიპოვებოდა. მეორე შემთხვევა—რამდენიმე თვეები იყო გაჩერებული რონოდები იმისათვის, რომ მათ ესაჭიროებოდათ ბურღოები (ვინტები), მხოლოდ ბოლოს მუშებისავე ძალდატანებით იძულებული შეიქნა საამქროს უფროსი მიეცა მცირეოდენი ფული მუშისათვის ბურღოების საყიდლად, რაც იმავე დღეს იქნა ნაყიდი და რონოდები შეკეთებული.

იყო შემთხვევაც, რომ რაღაცა ერთი ფუთი ფქვილის გამო ჩერდებოდა რამდენიმე რონოდა. აქაც მუშებისავე ძალდატანებით იქნა ნაყიდი და საქმე ძლივსლა მოგვარდა.

სარონოდო საამქროში ახალ გაკეთებულს ქვანახშირის გადამტვირთავ მანქანაზედ ლპება ორმოცი არშინის სიგრძის და არშინი სიგანით ღვედი, არეზენტით გადაკრული. დღემდის არავის მიუქცევია ყურადღება ამისათვის. იმ დღესაც მთავარ სახელოსნოში შემოიტანეს ორმოცზე მეტი რონოდები, რომლებსაც დახეთქილი აქვთ საორთქლე მილები, რომლზედაც დააყენეს ხელოსნები გასაკეთებლათ.

კითხვა იბადება, რამდენი რონოდა დარჩა კიდევ საყუდის ფარეხში ასეთივე დახეთქილი მილებით?

რატომ დასკდა? ვინ უნდა აანაზღაუროს ამოდენა ზარალი? საჭიროა თუ არა თავის დროზე მიღებული იყოს ზომები, რომ მილები არ დამსკდარიყო, ან ვის უნდა მიეღო ამგვარი ზომები? წარმოება არ აიწევა ზევით მარტო მიწერ-მოწერით. საქმე უნდა სასწრაფოდ გაკეთდეს და ხელის შემშლელსა და გულცივს საქმესთან ჩვენში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მუშკორი **შხაძი.**

ნუ დაკეტავთ შემნახავს სალაროს

(ამ. კავკასიის საფინანსო კომისარიატის საყურადღებოდ).

ამ ბოლო დროს მუშებში გავრცელდა ხმები, ვითომდა ამიერ-კავკასიის საფინანსო კომისარიატს განზრახული აქვს თბილისის დეპოს და მთავარ სახელოსნოებს შორის მდებარე მე-5 თე შრომის შემნახველი სალაროს დაკეტვა,—რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მუშებს შორის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს სალარო ემსახურება როგორც დეპოს, მთ. სახელოსნოებს და 26 კომუნართა ქარხნის მუშებს, აგრეთვე ლენინის მთელ რაიონის მოსახლეობას, რომლის 90 პროცენტი ისევ მუშები შეადგენენ.

ჩემის აზრით შემნახველ სალაროს დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთათვის. ამ სალაროში მუშას საშუალება ეძლევა შეინახოს თავის ოფლით ნაშოვნი კაპეიკი და იმავ დროს ისარგებლოს სახელმწიფომაც. ასეთი სალარო მუშათა რაიონში კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ თუ ასეთი არსებობს, იგი უნდა გაფართოვდეს.

ინფორმ **ტ. კოლია ვაადაშვილი.**

მოგვეცით სინათლე

(ქუთაისელი მუშკორისაგან).

ბევრჯერ დაიწერა სადგურ ქუთაისის შესახებ, რომ სადგურ-საყუდე შუა არ არის სინათლე, სადაც ძნელი ხდება მუშაობა მეისრებისა. წერილებმა ნახევრად მიზანს მიაღწია მაგრამ ვაი უბედურებავ, რომ სიბნელეში გამვლელი ეჯახება ახლად დადგმულ ბოძებს თავპირით და სახეს იმახინჯებს. ჩვენ მარტო ბოძები არ გვჭირია, სინათლეც გვინდა. მოგვეცით სინათლე. ადმინისტრაციავ ნუღარ აყოვნებ!

მუშკორი **ცქალვარდი.**

მუშების თხოვნები სრულდება

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც დაიკეტა ავლაბრის მუშათა კლუბი და წარმოდგენები აღარ მიდიოდა, რითაც ჩვენი მუშები მოკლებული იყვნენ კულტურულ საზრდოს და სარდაფებში ატარებდნენ დროს; მთელ თავიანთ ნამუშევარ ფულს ღვინოში ფლანგავდნენ. ამის გამო ჩვენ, მუშები განათლების კომისარიატს და აღმასკომს ვთხოვდით, რომ როგორმე გაეხსნით კლუბი, სადაც მუშები თავისუფალ დროს მოახმარდენ თვითგანვითარების საქმეს. მუშების წერილებს კიდეც გამოეხმაურენ, ავლაბრის მუშათა კლუბის შესაკეთებლად და იქ სისტემატიურად წარმოდგენების დასადგმელად ქალაქის აღმასკომმა გადასდო 5000 მან., რითაც მუშები მეტად დაკმაყოფილებულ დარჩნენ. ეხლა კი სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მუშები თავს დაანებებენ სარდაფებში სიარულს და იქ ღვინის სმას და სისტემატიურად დაესწრებიან წარმოდგენებს. ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეს მართებს ენერგიულ მუშაობის გაჩაღება.

მუშკორი **ი. ჯ.**

[illegible]

([illegible] საყურადღებოდ)

არა ერთხელ აღინიშნა ჩვენი გაზეთების ფურცლებზე იმის შესახებ, რომ ნორმალურად ყოფილიყო დარიგებული პროვინციაში როგორც გაზეთები, ისე სხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიც, მაგრამ ამას ნაკლები ყურადღება ექცევა ფ.-ტელეგრაფის მხრით. ჩვეულებრივი შემთხვევაა გაზეთების დაკარგვა, გვიან მიღება და სხ. მაგალითად სად. გრაკალს აკრავს ცხრა მახლობელი სოფლები, ამ სოფლებიდან ბევრნი იწერენ გაზეთებს და ჟურნალებს. მაგრამ რას ვხედავთ, როგორ ღებულობენ? ახალქალაქის ფ.-ტელეგრ. განყოფილებიდან იგზავნება მატარებელი სად. გრაკალში ფოსტის ოპერაციებისათვის მხოლოდ ორჯერ კვირაში. დანარჩენ დღეების გაზეთები კი მიაქვს საფოსტო მატარებელს გორში ფ.-ტელ. განყოფილებაში, რომელიც სამ დღეში დაგროვილ გაზეთებს აბრუნებს უკან გრაკალში და ასე რომ ფოსტის მოხელე დატვირთავს ცხენს ძველი გაზეთებით და მიაქვს ახალქალაქის განყოფილებაში. სად. გრაკალში ჩამოდიან გაზეთების გამომწერნი და კითხულობენ; „რაშია საქმე?“ რატომ ხდება ეს ეგრე. ბევრ მათგანს ისიც ჰგონია, რომ სადგურია დამნაშავე.

საჭიროა ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა მოაგვაროს ეს საკითხი სასურველად.

ინჟ. **ი. დ.**

სხვადასხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან).

— **საწარმოო კომისიები.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირმა ყველა ადგილკომებთან მოაწყო საწარმოო კომისიები.

— **თათბირი.** ახლო ხანში დეპოს ადგილკომი იწვევს საწარმოო თათბირს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 40 კაცი.

— **კამპანია.** გასულ წლის დეკემბრის განმავლობაში რკ. გზ. პროფკავშირის საორგ-განმანათლებლო განყოფილებამ ჩაატარა სამი კამპანია: 1) რკ-გზელთა მე-5 ყრილობის მუშაობაზე; 2) საწარმოო თათბირებზე, 3) ს. ს. რ. კ. პროფკავშირთა მე-6 ყრილობის მუშაობაზე.

— **ქალთა შორის.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირმა ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად გამოჰყო ამხ. **მარტიროსოვი.**

— **ლექციები.** ახლო ხანში რკ.-გზელ ქალებისათვის გაიმართება სხვადასხვა მეცნიერული ხასიათის ლექციები.

— **უმუშევართა რაოდენობა.** ბათომის საუბნო პროფკავშირს აღრიცხული ჰყავს კავშირის უმუშევარი წევრები რიცხვით 20 კაცი.

— **წიგნების რაოდენობა.** ბათომის რკ. გზ. წიგნთსაცავ-სამკითხველოში ირიცხება 559 წიგნი.

— **უმუშევრები სამტრედიაში.** სამტრედიის საუბნო პროფკავშირს აღრიცხული ჰყავს 176 უმუშევარი კავშირის წევრი რკინიგზელები.

ა-კ. რკინისგზელთა პროფსაბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 26 იანვარს გაიხსნა ა.-კ. რკინისგზელთა პროფსაბჭოს პლენუმი, რომელსაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა რკინისგზელთა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. საბაშვილმა.

დღის წესრიგი

პლენუმის მიერ დამტკიცებულ დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) ა/კ. რკინისგზელთა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. საბაშვილი), 2) მიმდინარე წლის მეორე კვარტალისათვის პროფსაბჭოს სამუშაო გეგმის განხილვა, 3) მოხსენება რკინისგზელთა პროფკავშირის ცენტ. კომიტეტის მეორე პლენუმის მუშაობის შესახებ, 4) რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილების საინფორმაციო მოხსენება 5) მიმდინარე საკითხები.

რ. გზ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. **საბაშვილი**)

მომხსენებელი მიმოხილავს [illegible] პრეზიდიუმის მუშაობას პირველი კვარტალის განმავლობაში—ე. ი. 15 ოქტომბრიდან 15 იანვრამდე. მომხსენებელი ეხება პრეზიდიუმის საქმიანობას საორგანიზაციო, სატარიფო-ეკონომიურ და კულტურულ-განმანათლებელ დარგებში.

საორგანიზაციო დარგში

პრეზიდიუმის უმთავრეს ყურადღებას იქცევდა, რადგან საორგანიზაციო მუშაობა გასულ წელს საგრძნობლად მოიკოჭლებდა. ამ სამი თვის განმავლობაში სწარმოებდა კავშირის ძირითადი უჯრედების—ადგილკომების გაწვრთნა საუბნო პროფკავშირების დახმარებით და ხელმძღვანელობით. პრეზიდიუმი სისტემატიურად აწვდიდა ადგილკომებს სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, ყრილობების დადგენილებებს, აწყობდა ადგილკომებში მომუშავეებისათვის ლექციებს და სწრთვნიდა მათ პროფმუშაობისათვის.

ამავე დროს პროფსაბჭომ მოაწყო კიდევ ახალი ადგილკომები სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებასთან. რკინის გზის პროფკავშირთა ახალი წესდების თანახმად პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა აგრეთვე საუბნო პროფკავშირების საშუალებით ადგილკომების საორგანიზაციო და კულტურული განყოფილებების გაერთიანება, რამაც წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო.

კულტურულ დარგში

მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყო ცენტრებში, ვიდრე ადგილებზე, რის მიზეზად უნდა ჩაითვალოს საკმაო მომზადებულ მუშაკთა უყოლობა და ლიტერატურის უქონლობა განსაკუთრებით ეროვნულ ენებზე საკლუბო მუშაობა თანდათან ფართოვდება. ამ ხნის განმავლობაში ა/კ. რკინის გზის ყველა ხაზებზე მოწყობილია 30-მდე კლუბი, 15 წიგნთსაცავი, 65 სამკითხველო და 109 სხვადასხვა კულტურულ ხასიათის კუთხე. კლუბებს, სამკითხველოებს და კუთხეებს ევზავნებოდათ სათანადო ლიტერატურა (დარიგებულია პოლიტიკური, პროფესიონალური შინაარსის 824 ახალი წიგნი) და პერიოდული გამოცემლობა (ადგილებზე გაწერილია რუსულ ენაზე 4 ჟურნალი და 75 ცალი გაზეთი, ქართულ ენაზე 3 ჟურნალი და 75 ცალი გაზეთი, სომხურ ენაზე 3 ჟურნალი და 35 ცალი გაზეთი, თათრულ ენაზე 3 ჟურნალი და 60 ცალი გაზეთი).

რკინისგზელთა საერთო რაოდენობის 12 პროცენტს შეადგენენ წერაკითხვის უცოდინარნი და ნაკლებ მცოდნენი, წ. კ. უცოდინარობის აღმოსაფხვრელად მოქმედებენ წ. კ. უ- და პირველი საფეხურის სკოლები, რომელთა მუშაობის გაცხოველება უნდა მოხდეს მიმდინარე წლის განმავლობაში. ამ მხრივ საქმე ყველაზე უკეთ დაყენებული აქვს თბილისის უბანს. საქართველოს რკინის გზის ხაზზე წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას აწარმოებს პოლიტგანათლების განყოფილება, რომელიც ამ საქმეს წესიერად უძღვის.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ქალთა და ახალგაზრდათა შორის მუშაობას, რომლის გასაცხოველებლად დაგზავნილია ინსტრუქტორები და სახელმძღვანელო ცირკულიარები.

ურთიერთ დახმარების საქმე რკინის გზის ხაზზე არ არის პოპულიარული. საჭიროა მეტი დახმარების აღმოჩენა მუშებისათვის, რომ ამ საქმეს მათში თანაგრძნობა გამოიწვიოს, პრეზიდიუმის მიერ დარიგებულია საანგარიშო წიგნაკები.

სატარიფო ეკონომიური დარგი

კავშირის პროცენტული ანარიცხების შეტანის საქმე კარგათ არის მოწყობილი. ანარიცხები წესიერად შემოდის.

ვერ არის სათანადოთ მოკვარებული სპეცტანისამოსის მუშებისათვის დარიგების საქმე, რომელსაც მომავალში მიექცევა მეტი ყურადღება.

რაც შეეხება ხელფასს, 1 ნოემბრიდან პირველ 8 ჯგუფის რკინისგზელებს (ნარდათ მომუშავეების გარდა) ეძლევათ დამატებითი ხელფასი. ჯამაგირები რკინისგზელთ ეძლევათ ყოველთვიურად 20 რიცხვში, ხოლო დამატებითი ხელფასი ურიგდებათ თვის დამლევს.

წარმოების ნაყოფიერების გადიდების მიზნით შემოღებულია ნარდი მუშაობა. ამ მხრივ პროფორგანოებმა უნდა ფხიზლად თვალყური ადევნონ, რომ არ დაიჩაგროს ან მუშა, ან წარმოების ინტერესები.

რკინისგზელთა შორის **უმუშევართა** რიცხვი აღწევს 938, აქედან თბილისის საუბნო პროფკავშირებში ირიცხება—4 0 უმუშევარი, სამტრედიის საუბნო პროფკავშირში—179, ბათომის—160, ხაშურის—30, განჯის—14, ბაქოს—23, ლენინკანის—58.

უმუშევართ ეძლევათ ყოველთვიური დახმარება, მაგრამ მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სხვა ღონისძიებანიც. დასასრულ მომხსენებელი ეხება პროფტეხნიკურ განათლებას, რომლის გასავრცელებლად მოწყობილია პროფტექნიკური კურსები, სადაც 100 მოწაფე მეცადინეობს. პროფსაბჭოს განზრახვა აქვს მოახდინოს კურსების რეორგანიზაცია.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელიც საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა.

მუშა-მოსამსახურეების ბიუჯეტის გამოკვლევა

ა.-კ. ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოს დავალებით ა.-კ. შრომის სტატისტიკის ბიურო შეუდგა მუშათა და მოსამსახურეთა თვიური ბიუჯეტის გამოკვლევას ამიერ-კავკასიაში.

მთელი ორგანიზაციულ-მოსამზადებელი მუშაობა, როგორც, მაგ. რეგისტრატორების შერჩევა, მათი მომზადება, მასიური და ტიპიური პროფესიების მიხედვით ობიექტების შერჩევა, სარეგისტრაციო ბლანკების დამზადება და სხვა, უკვე დამთავრებულია. აღწერა უკვე დაიწყო.

1923 წლის საბიუჯეტო გამოკვლევასთან შედარებით აღებულია ბიუჯეტის ნაკლები რაოდენობა, სულ ნავარაუდევია მთელს ა.-კავკასიაში სულ 360 ბიუჯეტის გამოკვლევა. ეხლა ბიუჯეტის ეს რაოდენობა განაწილებულია რესპუბლიკებზე შემდეგნაირად: აზერბეიჯანში (ბაქოში) გამოკვლეულ უნდა იქნეს 165 ბიუჯეტი, საქართველოში (თბილისი, ჭიათურა, ტყვიბული)—150 ბიუჯეტი, ხოლო სომხეთში (ერევანი და ლენინაკანი)—45. ბიუჯეტების ზემოხსენებულ რიცხვიდან რკინის გზაზე (თბილისი, ბაქო, ლენინაკანი) მოდის 75 ბიუჯეტი.

გამოკვლევა გავრცელდება შემდეგ პროფესიებზე—მთამადნის მუშებზე, მელითონეებზე, მბეჭდავებზე, მეთამბაქოებზე, ფეიქრებზე (ბაქო), მეტყავეებზე, წყლოსნებზე, საბჭოთა მოსამსახურეებზე, განათლების მუშაკებზე, კომუნალურ მეურნეობის მუშაკებზე (ტრამვაის მუშებზე).

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭ... სასტორმ...-განყოფილების კომპლექტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლები კოჯორში

შაბათს, 24 იანვარს, დღის 4 საათზე, სოფ. ვაშლოვანის ახლოს, ერთი ვერს ის დაშორებით კოჯორიდან, გაჩნდა მგლების ხროვა (5 მგელი). მგლების მოახლოვება შეამჩნია 15 წლის ბავშვმა-გლეხმა, რომელიც ტყეში მიდიოდა შეშის მოსაჭრელად. მგლებმა, შეამჩნიეს რა ბავშვი, მოინდომეს მისი გაგლეჯა, მაგრამ მან მოასწრო ხეზე ასვლა. ძლიერი შიშისაგან მას ენა წაერთვა. მგლებმა ამ დროის განმავლობაში მოასწრეს ვირის შეჭმა.

იმავე გზით მიდიოდა მეორე გლეხი სანდრო ტოტაგაშვილი ვირებით.

მგლები შემოეხვიენ მას და უნდოდათ მისი შეჭმა, მაგრამ ის არ დაიბნა, იძრო ნაჯახი და თავი გაუჩეხა ორ მგელს. მიუხედავათ ამისა, 3 დანარჩენმა მგელმა გაგლიჯეს ვირი, შემდეგ კი შეუტიეს გლეხს და საშინლათ დაკბინეს ის.

შემთხვევით გლეხი ცოცხალი გადარჩა. სანდრო ტოტაგაშვილი ჩამოიყვანეს თბილისში.

დამუნჯებული ბავშვი კი ჯერჯერობით დატოვებულია სოფელში.

მ.

ქრონიკა

ამხ. პ. მ. საყვარელიძისაგან.

ვინაიდან სხვადასხვა ადგილებიდან მოდის წერილები და ამანათები ჩემ, როგორც „მუშისა" და („მიწის მუშის" მაგიერ დაარსებული) „ახალი სოფლის" რედაქტორის სახელზე, — ამით ვაცხადებ, რომ არც „ახალი სოფლის" და დეკემბრის დამდეგიდან აღარც „მუშის" რედაქტორათ მე არ ვარ.

პავლე მ. საყვარელიძე.

ბილეთების გაყიდვის და ბარგის მიღების შეჩერება.

ვინაიდან დიდი ნამქერით გაკავებულია სამურ-აჯიკაბულის უბანი, ა.-კ. რკინის გზათა სამმართველომ ჩ. შეაჩერა ბარგის მიღება და სამგზავრო ბილეთების გაყიდვა იმ მატარებლებზე, რომელნიც სად. დერბენტს იქით მიემგზავრებიან.

— **გლეხკომების ყრილობები ლეჩხუმში და ბორჩალოში-დამთავრდა.** სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა 26 იანვარს ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ გლეხკომების სამაზრო ყრილობები ლეჩხუმის და ბორჩალოს მაზრებშიაც დამთავრდა, ორივე მაზრებში არჩეული დელეგატები სრულიად საქართველოს გლეხკომების ყრილობისათვის, ყველა სამაზრო გლეხკომებს კომისარიატი ცალკე აცნობებს თუ როდის იქნება მოწვეული სრულიად საქართველოს გლეხკომების ყრილობა.

— **გლეხკომები ზრუნავს [illegible] სამეურნეო იარაღების და სათესლე მასალების შესაძენათ.** სრულიად საქართველოს გლეხკომების ცენტრალური ბიუროს პრეზიდიუმი ცნობას კრებს — თუ სად არის შესაძლებელი სამაზრო და სათემო გლეხკომებმა გლეხკაცობის საჭიროებისათვის შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სალი თესლეული, შაბიამანი, გოგირდი და სხვა მავნე მწერებისაგან მცენარეულობათა გამკურნავი საშუალებები.

— **საკომისიო მაღაზიებს.** ქ. ალმასკომის დადგენილებით აეკრძალათ ლომბარდის გარეშე დამოუკიდებლათ სესხის გაცემა და საქონლის მიღება.

— **წყნეთის თბილისზე შემოერთების საკითხი** ქ. ალმასკომმა [illegible] გადასცა დასამუშავებლათ საგეგმო კომისიას.

— **ჟურნალი „წიგნის მეგობარი".** იბეჭდება და ერთ კვირაში გამოვა ჟურნალი „წიგნის მეგობარი". ჟურნალის დღემდე გამოსვლა შეაფერხა ქართულ ბიბლიოთეკების შეერთებულმა კატალოგმა, რომელიც იბეჭდება პირველ ნომერში.

— **საქართველოს მებამბეობა.** ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტი მთელ წელს საქართველოში დათესავს ბამბას 5,500 დესეტინა მიწაზე.

— **შრომის სახ. კომისარიატმა** დაამტკიცა საქ. სოც. დაზღვევის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ნორმა მშობიარობის დროს დახმარების მიცემის შესახებ, ე. ი. დაზღვეულებს მშობიარობის დროს მიეცემათ 14 მან. და 30 კაპ.

— **დედათა და ბავშვთა სახლის** სამშობიარო პუნქტების და ბაგების შესანახათ ქ. ალმასკომმა მიმდინარე წლისათვის გადასდო 79,173 მან. და 60 კაპ.

— **ქ. კომუნალურ განყოფილებამ** დაამტკიცა ამხ. ტომსკის სახელობის მუშათა საბინაო სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წესდება.

— **ახალი კანალიზაციის** გასაყვანათ და ძველის შესაკეთებლათ მიმდინარე წლისათვის ქ. ალმასკომმა გადასდო 68,963 მან.

— **მაზრაში ახალი გზების** გასაყვანათ და ძველი გზების აღსადგენათ მიმდინარე წლისათვის ქალ. ალმასკომმა გადასდო 45 788 მან.

— **ქალაქის 11 საექიმო პუნქტში** გასულ წელს გაიარა 76,984 ავადმყოფმა.

— **საექიმო სადგურების მოწყობა.** ჯანსახკომის გეგმის მიხედვით 1925 წ. მაზრებში არსებულ 270 საექიმო სადგურიდან კომისარიატი გაუგზავნის საჭირო ხელსაწყოებს 100 საექიმო სადგურს.

— **გასული წლის განმავლობაში** ჯანსახკომის ორგანიზაციებმა შეადგინეს და გასცეს 2,617 სასამართლო სამედიცინო ოქმი.

— [illegible]

— **ფუნიკულიორის შეკეთება.** მიმდინარე წელს ქ. ალმასკომის დადგენილებით საფუძვლიანათ შეკეთებული იქნება ფუნიკულიორი. გამოცვლილი იქნება საქაჩი ჯაჭვები.

— **მასალები ტრამვაისათვის** ტრამვაის დირექციამ სხვადასხვა ქარხნებს შეუკვეთა მთელი წლის განმავლობაში ტრამვაის სახელოსნოს უზრუნველსაყოფათ ყველა მასალები.

— **მოტორიანი ვაგონების გამოშვება.** იანვრის ბოლო რიცხვებში ტრამვაის სახელოსნო სამუშაოთ გამოუშვებს 4 მოტორიან ვაგონს, რომლებიც დღემდე დაუქმებელი იყო.

— **შრომის კომისარიატმა** დამზღვევი კასიდან დასამარხ ფულის რაოდენობა განსაზღვრა 14 მან. და 30 კაპ.

— **დამზღვევ კასასთან** შემდგარმა თათბირმა გამოყო ცალკე კომისია დამზღვევ კასის განყოფილებების მუშაობის გამოსარკვევათ.

— **მუშათა საბინაო კოოპერატივ**მა გადასწყვიტა შეაკეთოს სოლოლაკში მდებარე 5 მუშათა სახლი. ამ მიზნით გადასდო 3,528 მან. და 99 კ.

— **სპეც-სამოსი მეეზოვეებს** მუშათა საბინაო კოოპერატივმა გადასწყვიტა მუშათა სახლების მეეზოვეებს მიაცეს სპეც-სამოსი.

— **უპატრონო ბავშვთათვის** კოჯორში თავშესაფარის მოსაწყობათ განათლების კომისარიატმა გადასდო 30,000 მან.

— რემედასის საქართველოს ცეკამ გამოსცა კლუბის მუშაკებისთვის სახელმძღვანელოდ კრებული — „რემედასის კლუბში". წიგნი ლამაზად და კოხტადაა გამოცემული. შეიცავს 120 გვერდს და ღირს სამი აბაზი.

— რემედასის საქ. ცეკას პროლეტ. პოეტმა ამხ. გოგიტო ციმინტელმა შემოსწირა თავის ლექსთა კრებულის „ვერცხლის აკორდები"-ს პირველი წიგნი 100 ცალი.

შემთხვევები

გარყვნილების ბუდე

გუშინ საღამოს 19 თებერვლის ქუჩაზე, სასტუმრო „კახეთში" დაპატიმრებულ იქნა ნატალია ხალანიძე. ანა მურადოვი და სასტუმროს პატრონი მეგრელიძე.

ეს სასტუმრო ადრიდანვე გარყვნილების და ბოროტმოქმედების ბუდეს წარმოადგენდა. გუშინ საღამოს ნომრებში მოვიდა ორი უცნობი პირი, რომლებმაც სასტუმროს მეპატრონესთან ლოთობის შემდეგ მოსთხოვეს მოსამსახურეს, კომკავშირის წევრს მიეყვანა ქალები, რაზედაც უარი მიიღეს. ამის შემდეგ მისცვივდნენ ახალგაზრდას და დაუწყეს ცემა, რის შემდეგ თვით ნომრების მეპატრონემ მოუყვანა მათ „ღამის პეპლები" ნატალია ხალანიძე და მისი აღზრდილი ანა მურადოვი. ქალებმა გამოსტყუეს მათ 3 ჩერვონეცი და მიიმალნენ. დილით ლოთებმა შეიტყვეს რა ფულის დაკარგვა, ისევ დაუწყეს მოსამსახურეს ცემა. საღამოს ქალები დაპატიმრებულ იქნენ.

— **გაძარცვა.** 23 იანვარს, ბებუთოვის ქ. № 44, მოხუცებულ რახილ ბარკონთან ბინაზე შეპარულან ორი უცნობი მოქალაქე, რომლებიც ქალს ცემით და სახრჩობათ რის გამო აღნიშნულ ბარკონს წასვლია გული, და როცა მოსულიერებულა ოთახში აღარ უნახავს ოქროს საათი და 6 მან. ბოროტმოქმედნი მიმალულნი არიან.

— **პატიმრის გაქცევა.** № 1-ლ გამასწორებელ სახლიდან გაიქცა პატიმარი კარტინ პალენკო.

— **ცეცხლი.** 25 იანვარს დილით სერაევის ქ. № 5 მოქ. სერგო გრიგორიანცის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **საბეჭდი მანქანის მოპარვა.** 23 იანვარს ჯანმრთ. სახ. კომისარიატიდან მოიპარეს საბეჭდი მანქანა, ღირებული 700 მან.

— **შეპყრობა.** 25 იანვარს შეიპყრეს ვსევოლოდ ილინი, რომელსაც ბრალდება პრასკოვია კოტლიარენკოს ბინის (მტკვრის ქს. ს. № 7) გაქურდვა.

— **2000 მან. მოპარვა.** 23 იანვარს ბოტანიკის ქ. № 21 მოქ. ყურბან აჯიბაბა-ოღლის მოპარეს რკინის ყუთი ოქროთი და ფულით სულ 2000 მანეთის.

ქურდობა.

— 24 იანვარს, [illegible] ქ. № 74 გაქურდეს სარქისიანცის ბინა. წაიღეს 100 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ღამით ვერის გასავალში გაქურდეს [illegible]-შვილის ბინა წაიღეს 100 მან. ნივთები.

— 25 იანვარს გრიბოედოვის ქ. № 4 [illegible] საშუალებით გაქურდეს მარგარიტა [illegible] ბინა. წაღებულია 300 მან ნივთები.

— 25 იანვარს ღამით ლენინის ქ. № 41 ექიმ მგალობლიშვილის ბინიდან მოიპარეს 1 ვერცხლის სურა, ვერცხლის ფინჯანი ვერცხლის კოვზები და სხ.

— 24 იანვარს ღამით [illegible] მაღაზია (ღირებ. 700 მან.) [illegible] წაიღეს სხვადასხვა [illegible].

— [illegible] მოპარვა 25 იანვარს [illegible]

მეცნიერება და ტეხნიკა

თანამედროვე სასაკლაო.



საქონლის დაკვლა სისხლის გამოცლით

მარცხნივ ცალკე — სისხლის გამოსაცლელი მანქანა.

ერთ-ერთი ამერიკული ფირმა მეტად ორიგინალურ საშუალებას მიმართავს საქონლის დასაკლავად. ქვ. მოყვანილ სურათიდან ჩანს თუ რაში მდგომარეობს საქონლის დაკვლის ეს წესი. ღორები ჩამოკიდებული არიან უკანა ფეხებით და მათ ყელში მიბჯენილი აქვთ მახვილი მილისებური დანა, რომელიც გრძელი რეზინის მილით შეერთებულია საქაჩავთან, სამი მეოთხედი წუთის განმავლობაში საქაჩავი გამოსრუტავს მთელს სისხლს, რაც კი ღორის ტანში მოიპოება. სისხლიდან დაცლილი ცხოველი მექანიკურად იგზავნება სარდაფში.

ამრიგად მიღებულ წმინდა სისხლს სხვადასხვა მიზნებით სარგებლობენ.

ხომალდი, რომელიც მიჰყავს ჰაერის ტალღას

ხომალდის მეტად საინტერესო პროექტი შეადგინა ავსტრალიის ერთმა ინჟინერმა. ამ პროექტის თანახმად ხომალდს წაიყვანს არა ორთქლის ან ელექტრონის ძალა, არამედ ჰაერის ტალღის ძალა.

ამ პროექტის შინაარსი ასეთია: ხომალდის პაკერში მოთავსებულია რამდენიმე მილი, სპეციალური მოწყობილობის საშუალებით აგროვებენ ჰაერს, რომელსაც დიდის ძალით (30 ვერსის ძალით საათში) მიდენიან ამ მილებში. მილებიდან ჰაერი ასეთივე ძალით გამოდის ხომალდის უკანა ნაწილში წყალქვეშ. მილებიდან გამოვარდნილი ჰაერის დაჯახება წყლის ფენებთან ხომალდს წინ ისვრის. როცა ესაჭიროებათ გემის უკან დახევა, ამისათვის მილები გაყვანილია გემის წინა ნაწილშიც.

ცდებმა, რომელიც ასეთ ხომალდზე მოახდინეს, დადებითი შედეგები გამოიღო.

კომანდო გოგელიას ხსოვნის დილა

25 იანვარს წითელ თეატრის დარბაზში გაიმართა კომანდო გოგელიას ხსოვნის დილა, სცენაზე სდგას განსვენებულის პორტრეტი დათალხული და წითელი ფერით მორთული.

კრების გახსნისას საზოგადოება ფეხზე ადგომით სცემს პატივს განსვენებულის სახელს.

მოხსენებით გამოდის ძველი რევოლიუციონერი, გოგელიას უახლოესი თანამშრომელი ანარქისტ-კომუნისტი **ნ. როგდაევი**, რომელიც აშუქებს გოგელიას ბიოგრაფიას მოკლედ, და არკვევს მის რევოლიუციონერ ბუნებას და მსოფლმხედველობას. ის აღნიშნავს, რომ „ქ. გოგელია იყო დიდი ნებისყოფის პატრონი, რომელმაც დაამთავრა ემიგრაციაში ყოფნის დროს ორი ფაკულტეტი, გაეცნო ყოველ პოლიტიკურ მიმართულებას, იგი ზედმიწევნით იცნობდა მარქსიზმს, თუმცა არ ეთანხმებოდა არც ერთ პოლიტიკურ ფრაქციას. შემდეგ მიემხრო ბაკუნინს და ბოლომდე დარჩა მის მიმდევრად. გოგელიას სამართლიანად უწოდებენ კრაპოტკინის მარჯვენა ხელს. მართლაც თეორიაში იგი სავსებით იზიარებდა „კრაპოტკინიზმს", მაგრამ კრაპოტკინი იყო უფრო კაბინეტის რევოლიუციონერი და პრაქტიკაში მას არ შეეძლო თავის იდეების გატარება. ამ მხრივ გოგელიას უფრო დიდი დამსახურება მიუძღვის მუშათა კლასის წინაშე. ბოლოს, როდესაც ბალკანეთის ამბებმა და იმპერიალისტურმა ომმა გამოარკვია კრაპოტკინის ბუნება — გოგელიამ სავსებით გააწყვიტა მასთან კავშირი და ოპოზიციაში ჩაუდგა მას".

რათა უკვდავჰყონ გოგელიას სახელი, მის თანამებრძოლთა ჯგუფს განუზრახავს შეკრიბონ სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული ქ. გოგელიას ნაწერები და მთლიან კრებულად გამოსცენ!

ყოფ. პოლიტკატორღელთა სახელით სიტყვით გამოდის ამხ. **მუშტაკოვი**, რომელიც ახასიათებს განსვენებულს, როგორც დიდ რევოლიუციონერს, აღნიშნავს, რომ მისი სახელი რევოლიუციის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს და დასძენს, რომ „კომანდო გოგელია, როგორც დიდი მებრძოლი პროლეტარიატის ინტერესებისათვის — ოქტომბრის რევოლიუციასთან და კომპარტიასთან იქნებოდა, რომ ინვალიდათ არ დაბრუნებულიყო ემიგრაციიდან"-ო.

ამხ. მუშტაკოვის შემდეგ, ქართულ ენაზე მოხსენებით გამოდის განსვენებულის თანამებრძოლი საქართველოში **ჯაფარიძე**, რომელიც ეხება გოგელიას მოღვაწეობას განსაკუთრებით საქართველოს მასშტაბით. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ განსვენებულმა გამოსცა ჩვენში ყოველკვირეული ორგანო „ნობათი" და გაზეთი „მუშა", სადაც იგი არკვევდა ანარქიზმს, ეხებოდა რა ყოველგვარ საკითხს ამ თვალსაზრისით.

დასასრულ მოხსენებით გამოვიდნენ ასლანოვი და ალიფანოვი, რომლებმაც აგრეთვე დაახასიათეს ქ. გოგელია, როგორც უდიდესი რევოლიუციონერი და მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესებისთვის.

მოგონების დილა დამთავრდა დღის 3 საათზე.

ხელოვნება

— **ვ. სარაჯიშვილის** სახელობის სამუსიკო სკოლა სიღნაღში გაიხსნება თებერვლის პირველ რიცხვებში. სკოლის ხსნასთან დაკავშირებული ხარჯები იკისრა ალმასკომმა.

— **მუშ.-მსახიობის გ. ჯაბაურის 30 წლის იუბილე.** მოკლე ხანში განზრახულია გადაიხადონ მუშ.-მსახიობს გ. ჯაბაურს მისი სახალხო სცენაზე 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო. გ. ჯაბაური ერთ-ერთი პირველი დამაარსებელთაგანია ტფილისის სახალხო თეატრისა.

— **ფატმა მუხტაროვამ**, რომელიც ამ სეზონში გამოდიოდა ხარკოვში — თავი დაანება იქაურ დასს და თანხმობა განაცხადა იმუშაოს თბილისის ოპერაში. ერთი კვირის შემდეგ მუხტაროვა ჩამოვა თბილისში; მისი პირველი გამოსვლა მოხდება ოპერა „კარმენში".

— **სობინოვის გასტროლები.** თბილისის სახელმწიფო ოპერა მოლაპარაკებას აწარმოებს სობინოვთან თბილისში გასტროლების გამართვის შესახებ. სობინოვი თანხმაა ჩამოვიდეს თბილისში გასტროლებზე აპრილის შუა რიცხვებში.

— პოლევიცკაიას ჩამოსვლა. ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ცნობილი მსახიობი ქალი პოლევიცკაია

— რუსთაველის თეატრი. დღეს წარმოდგენილი იქნება „სინათლე".

სახელმწიფო ოპერაში. დღეს წარმოდგენილი იქნება „ბოჰემა".

კინო

საქართველოს კინო-მრეწველობა პარიზის სამხატვრო გამოფენაზე.

საქართველოს კინო-მრეწველობა მიწვეულია პარიზის სამხატვრო-სამრეწველო გამოფენაზე დაიწყო საჭირო ასლების დამზადება, რომლებსაც პარიზში წაიღებს საქართველოს კინო-მრეწველობის ერთ-ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი თებერვლის შუა რიცხვებში. ეს იქნება საბჭოთა რესპუბლიკის მრეწველობის საგნების პირველი დემონსტრაცია საფრანგეთში ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შემდეგ.

„ტარიელ მკლავაძე".

რეჟისორმა ი. პერესტიანმა დაამთავრა კინო-სურათ „ტარიელ მკლავაძის" მონტაჟი.

სურათი ახლო მომავალში ნაჩვენები იქნება საქართველოს კინო-მრეწველობის თეატრებში.

ახალი სურათები.

საქართველოს კინო-მრეწველობამ „სევზაპკინოს"-აგან შეიძინა შემდეგი ცნობილი სურათები:

„[illegible] შვილი" — მთავარ როლში ელა ლოტ, „შეურიგებლობა" რეჟისორ ზიგფრიდ [illegible] ცნობილი დრამა. „[illegible] გმირი" ამერიკული კომედია დუგლას მაკლინის მონაწილეობით, „ნაპოლეონის [illegible]" — მთავარ როლში გარრი ლიდტკე. სურათები ახლო მომავალში ნაჩვენები იქნება კინო-მრეწველობის თეატრებში.

„სამი მუშკეტერი".

ორშაბათიდან, 26 იანვრიდან კინო „აპოლო"-ში მიდის სურათი „სამი მუშკეტერი". რომელსაც დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვში. სურათი წარმოადგენს დიუმას (მამა) იმავე სახელწოდების რომანის გასცენიურებას. მთავარ როლებს ასრულებენ საფრანგეთის კინოს საუკეთესო ძალები. ორი სერია წავა ერთად.

ფიზიკური კულტურა

შეჯიბრება სიმძიმეში და ჭიდაობაში.

1924 წლის შეჯიბრება პირველობაზე სიმძიმეში და ჭიდაობაში დამთავრდა კიევში პირველ იანვარს.

პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვმა, მეორე კიევმა, მესამე კი ლენინგრადმა.

თბილისმა, რომელსაც წარმოადგენდა მხოლოდ ორი სპორტსმენი (ბესტაევი და კოსტავა), ჯგუფურ შეჯიბრებაში მერვე ადგილი მიიღო, ინდივიდუალურში კი — მეხუთე.

სასპორტო დღესასწაული 25 თებერვალს.

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ გადასწყვიტა 25 თებერვალს მთელს საქართველოში გამართული იქნეს სასპორტო დღესასწაული.

ფიზკულტურის ყველა სექციებს დაევალა [illegible] პროგრამები და [illegible] სათანადო მასალები. სარედაქციო-საბიბლიოგრაფიო სექციას წინადადება მიეცა გადათარგმნოს ქართულ ენაზე ყველა ლოზუნგები და მასალები პროვინციაში გადასაგზავნად.

ფიზკულტურის ცენტრალური კლუბი.

ფ. კ. უ. ს. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ აუცილებლათ სცნო ფიზიკური კულტურის ცენტრალური კლუბის დაარსება.

პროექტის შესადგენათ არჩეულია კომისია, რომელიც შეუდგა უკვე პროექტის დამუშავებას.

სასპორტო ჟურნალი.

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება შეუდგა სასპორტო ჟურნალის გამოცემას ქართულ ენაზე.

ფიზკულტურის ყველა მუშაკებს წინადადება მიეცათ გამოგზავნონ მასალები თავიანთ მუშაობის შესახებ ამხ. გორგაძის სახელზე.

წერილები პროვინციიდან

ქვრივად ჯდება ცხოვრება

ს. მუხრანი (დუშეთის მაზრ.)

სოფელ მუხრანში სცხოვრობს საცოდავი ქვრივი ნინო ტაბატაძე, რომელსაც არაფერი არ აბადია გარდა ერთი ქოხისა და ნახევარ დღიური ვენახისა. ამ ვენახის მოსავალი ყოველწლივ უვარდება ხელში ადგილობრივ მღვდელს. საქმე შემდეგშია, ამ რამდენიმე წლის წინათ ნინო ტაბატაძეს მოუკვდა ქმარი. ნინო მორწმუნე ქალია, ქმარი დამარხა მღვდლის მონაწილეობით. რადგან ქალს ფული არა ჰქონდა, მღვდელმა დააწერა ვალათ და აღუთქვა ნინო ქმრის სულის ცხონება მხურვალე ლოცვებით. ამაში მღვდელი ართმევს ყოველწლივ მთლათ ვენახის მოსავალს. საცოდავი ნინო აი ეს რამდენიმე წელიწადია უზიდავს თავის ნაჭირნახულევ ვენახის მოსავალს (წელს ჩააბარა 30 კოკა ღვინო), მაგრამ ბოლო არ უჩანს მღვდლის ვალს. მღვდელი ქეიფობს, ნინოს კი ხშირად ხმელი პურიც კი არა აქვს. ეხლა ყველაზე ნიხრია. მღვდლის მაღას არავითარი ნიხრი არ ზღუდავს და ისიც უსინდისოთ სძარცვავს ყველა თავის მსხვერპლს.

მ. შატბერაშვილი.

საჭიროა გამორკვევა

სოფ. აკეთი (გურია)

აკეთის თემში არის საკრამიტე თიხა, რომლის დამუშავებას მისდევს 200 მოსახლეზე მეტი. ამ საკრამიტე თიხით 1921 წლამდე სარგებლობდენ კერძო მესაკუთრეები და ღებულობდენ ბაჟს. მხოლოდ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ეს საკრამიტე მიწის ადგილები ჩამოერთვა კერძო მესაკუთრეებს და გადაეცა ხალხს. მუშაობის ხელმძღვანელებმა ხალხთან შეთანხმებით მოაგროვეს რამოდენიმე ათასი კრამიტი ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებებისათვის, მაგრამ გავიდა დიდი ხანი და კრამიტი თუ რას მოხმარდა, ხალხმა არ იცის. ხალხს სურდა დახმარების გაწევა გლეხკომისათვის, მაგრამ ასეთი მდგომარეობა გულს უცრუებს მას. საჭიროა ამ საქმის გამორკვევა, ხალხმა გაიგოს რათ და სად წავიდა ეს კრამიტი. და ამის შემდეგ ხალხი მზურველია გლეხკომის ფონდის გასაძლიერებლათ გადასდოს ყოველ წლობით რამოდენიმე ათასი ცალი კრამიტი.

დ. დლონტი.

ყურადღება კულტურულ მუშაობას

სოფელი ლექაქამე (სენაკის მაზრა)

გასაბჭოების შემდეგ დაეტყო ამ სოფელს გამოცოცხლება; ადგილობრივი ამხანაგების: სანდრო ქანდარიას და სხვების მეთაურობით ბევრი რამ გაკეთდა — დაარსებულ იქნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, შვიდწლედი სკოლა, სახალხო სახლი, არის აგრეთვე აფთიაქი და კოოპერატივი, მასთან რამოდენიმე თვეა, რაც დაიწყო ბაღის გაშენება, რასაც დიდის სიხარულით შეხვდა ადგილობრივი საზოგადოება და თავიანთი საკუთარის შრომით შეაკეთეს 5 ქცევამდე ადგილი, რომელიც ამზადებულია მცენარეების გასაშენებლათ.

მხოლოდ ერთი დარგი არის მიტოვებული უყურადღებოთ; ლექაქამეს არა აქვს სამკითხველო და არ ვრცელდება ჟურნალ-გაზეთები.

გლეხკომმა მასწავლებელთა დახმარებით უნდა მოაწყოს სამკითხველო და გაავრცელოს გლეხობაში ჟურნალ გაზეთები. წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლაც უკეთ უნდა მოეწყოს.

შ. პელაშვილი.

ქ. გორი

ქალ. გორში არსებობს ერთად-ერთი მაღაზია, რომელიც აწვდის დაწესებულებებს ყველა ხელმისაწვდომ ფასებში საკანცელარიო ნივთებს, სასწავლო წიგნებს, რვეულებს და სხვა; ეს მაღაზია ეკუთვნის პოლიტგანათლების განყოფილებას; სამწუხაროდ ამ ბოლო დროს ეს მაღაზია ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას; საქონელი ილევა მაღაზიაში და მოლოდინი კი არსაიდან არის, ეს კი უმთავრესად იმის ბრალია, რომ ამ მაღაზიის თანხები იქსაქსებიან და პირდაპირ თავის დანიშნულებას არ ხმარდებიან.

ბევრ დაწესებულებებს მიაქვთ ნივთები ნისიად და სამი ოთხი თვის განმავლობაში არ ანაღდებენ; ეს გვისპობს საშუალებას ასეთი მნიშვნელოვანი მაღაზია ვიქონიოთ. საჭიროა აღინიშნოს მაღაზიის თანამშრომლის გრ. ლალიაშვილის ერთგული ენერგიული მუშაობა. მთელი ზამთარი ისე გაატარა, რომ ღუმელი არ დაუდგამს და ცეცხლი არ აუნთია; თვით მე შევეკითხე, მას პასუხი მზათ აქვს „რა ვენათ იმდენი შემოსავალი არა გვაქვს და საჭიროა იოლად წავიდეთ".

საჭიროა ამ მაღაზიის მდგომარეობას მიექცეს ყურადღება.

ყველა დაწესებულებებმა თავის დროზე უნდა გადაიხადონ ვალები რომ არ შეფერხდეს მაღაზიის მუშაობა.

ლიახველი.

ჩვენი მოგზაურ[illegible]

სოფ. ქვ. ქედი (სიღნაღის მაზრა)

ეს სოფელი მდებარეობს შირაქის ველზე და სოფლის მოსახლეობას უმთავრესათ ღარიბი გლეხობა შეადგენს. ესენი მთიდან გადმოსახლებული ფშავლებია, რომლებიც აქ, ამ ოცი წლის წინ გადმოსახლდნენ. საზოგადოთ, მთაში მცხოვრები ხალხი და კერძოთ ფშავლები ძლიერ ჩამორჩენილებია და კულტურულ ცხოვრებას მოკლებული. ცხადია, ასეთსავე მდგომარეობაში არიან შირაქში მცხოვრებნიც.

მათ არ მოეპოვებათ სამკითხველო, სახალხო სახლი და სხვა კულტურული დაწესებულება. აქვთ მხოლოდ სკოლა და ისიც კერძო სახლშია მოთავსებული. აგრეთვე არსებობს კოოპერატივი, რომელიც ამ ბოლო დროს კარგ დონეზეა დაყენებული და წითელ წყაროს რაიონის „ეპო" სისტემატიურად (შეძლების დაგვარად) აძლევს საჭირო საქონელს.

გარდა ამისა, ყველა სოფელს ჰყავს „შეფი" და ასეთ ჩამორჩენილ სოფელს, როგორიც ქედია — კი არავინ გამოუჩნდა გულშემატკივარი.

აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ ამ სოფლის მცხოვრებთ დიდი სურვილი აქვთ კულტურული ცხოვრებისა. სურვილი იმაში გამოიხატება, რომ ამ წასულ წლის ზაფხულში ორმოცამდე გლეხმა გამოიწერა სიღნაღის გაზეთი „სიმართლე".

ამჟამად დაარსებულია სალიკვიდაციო სკოლა და 20 გლეხი დაიარება წერა-კითხვის შესასწავლად. სალიკვიდაციო სკოლის დაარსებისათვის და ხელმძღვანელობისათვის მადლობის ღირსია ამავე სოფლის მასწავლებელი ამხანაგი ზალდასტანიშვილი.

კარგი იქნებოდა ასეთ ჩამორჩენილ მხარეს ცენტრმა ან სამაზრო ალმასკომმა მიაქციოს ყურადღება და ერთი სამკითხველო მაინც დაუარსოს, რომ გლეხებს საშუალება მიეცეს სიბნელიდან გამოსვლის და გათვითცნობიერებისა.

გლეხი: ი. ნაკვეთაური.

კრედიტის საჭიროება სოფლად

ახალსენაკი

ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობა დაარსდა 5 აგვისტოს 1924 წ. დამაარსებელ წევრთა რიცხვი უდრიდა 34, ამხანაგობამ მიიღო გრძელვადიანი სესხის სახით 4000 მ. ამ დროს ამხანაგობას უკვე 71 წევრი ჰყავდა. გამგეობამ მუშაობა დაიწყო 1924 წ. 2 ნოემბრიდან და მიღებული თანხიდან, ს წევრო-საპაიოს მიმატებით, გასცა მეურნეებზე 5340 მანეთი. ამხანაგობის რაიონს შეადგენს შვიდი თემი 5000 მცხოვრებით. ხალხს დიდი იმედები ჰქონდა, ისმოდა ყოველგან ხმა „ამის უკეთესი დახმარება არ შეიძლება". მოაწყდა გამგეობას წევრათ ჩაწერის მსურველნი, წევრთა რიცხვი მოსალოდნელია, რომ 3000 ავიდეს. [illegible] გლეხობა ყოველ დღე უცდის გამგეობას სესხის მოლოდინში და ამბობენ, თუ მინდვრის მუშაობამ მოგვისწრო და მანამდის არ მოვაწყვეთ ჩვენი მეურნეობის საქმე, შემდეგ სესხი რათ გვინდაო. გამგეობის წევრებს გზაში ხვდებიან გლეხები და მოითხოვენ დახმარებას სესხით. გამგეობა მეტად უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

მ. გაგუა.

ჩვენი მესაქონლეობა

ს. პრიუტი (თბილისის მაზრა)

პრიუტი მესაქონლეობის თემია. თემში პირველი ადგილი უჭირავს საქონლის მოვლა-მოშენებას. ზამთარში მესაქონლეებს საქონლის შენახვა ძალიან უჭირდებათ, ვინაიდან თემს სათიბე-საძოვარი ადგილები ძალიან ცოტა მოეპოვება. ზამთარ ზაფხულობით მესაქონლეები თავიანთ საქონელს მიდენიან საძოვარ ადგილებში. აქაურ მესაქონლე გლეხს მთელი წლის განმავლობაში თავის სახლში ორი თვეც არ მოუხდება ყოფნა. საქონლის მოშენებას სარგებლობა მოაქვს მსხვილი მესაქონლე ყველა „მეჯემსის" წევრებათ ითვლებიან, მათ კავშირთან ხელშეკრულება აქვთ დადებული, რომელი ხელშეკრულებაც მათ არ აძლევს საშუალებას მატყლი კერძო ბაზარზე გაასაღონ. მესაქონლეები წარსულ წელს უზრუნველყოფილი არ იყვნენ კავშირისაგან, კავშირის მიერ შეძენილ მატყლის ფული დროზე ვერ მისცეს გლეხებს, მაგრამ სამაგიეროდ ამ წელს დიდი სიმპატია და ნდობა დაიმსახურა „მეჯემსია" მესაქონლეებში.

ი. დ.

პროვინციის ქრონიკა

— **ბორჩალოს** მაზრაში, სოფ. კოლონის-ხაჩინში არსდება სასოფლო-სამეურნეო არტელი.

— **შულავერში** გაიხსნა კურსები კომკავშირელებისათვის.

— **მერქნის დამზადება** 1924 წლის განმავლობაში გორის სატყეო რაიონებიდან გატანილია 7,943 კუბიკური საჟენი მერქანი.

— **ხეტყვათან ბრძოლა.** სიღნაღის ალმასკომმა დაადგინა გადასცეს ტყის საწინააღმდეგო შუშხუნების გაყიდვის უფლება ადგილობრივ მონადირეთა კავშირს.

— **ობლებზე ზრუნვა.** თელავის ალმასკომმა დაადგინა დაანგრიოს თელავში ჩხიკვაძის ობლების კუთვნილი ძველი დაზიანებული სახლი, უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლათ, და სამაგიეროდ გადასცეს ერთ-ერთი სახლი საფონდო სახლებიდან.

— **წყალსადენი სოფლად.** სოფ. ურიათუბანის (თელავის მაზრა) გლეხებმა დაადგინეს გაიყვანონ წყალსადენი.

— **ახალქალაქის** ალმასკომს განზრახვა აქვს გახსნას გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

იურიდიული რჩევა-დარიგება

განქორწინებულის ქონებრივი უფლება

კითხვა

აგერ რვა წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ვიმყოფები ე. წ. „კანონიერ ქორწინებაში"; ვითვლები „კანონიერ" მეუღლედ და შვილების დედად. ამ ხნის განმავლობაში არ მახსოვს არც ერთი დღე, რომ [illegible] გამეღიმოს ჩემი ქმრის ლოთობა-უზნეობის გამო და უხეში, ხეპური მოპყრობით და ყოველგვარი დამცირებით: ლანძღვა-გინებით, ცემა-ტყეპით და სხვ. ამჟამად ყოველივე ამას დაემატა კიდევ ერთი უბედურება — ისუარს აცხადებს, ჩვენი, (ცოლშვილის), ორჩენაზე. ფულებს სხვაგან და სხვებთან ფლანგავს და არაფრის გვაძლევს.

განქორწინებაზე ორივენი თანახმანი ვართ.

მხოლოდ ის მეუბნება ცივ უარს ერთად შეძენილ ქონების თანასწორად განაწილებაზე.

გთხოვთ, რჩევა-დარიგებას, როგორ მოვიქცე: მაქვს თუ არა უფლება რომ ჩემს ქმარს გაყრის შემდეგ მოვთხოვო ერთად (ორივ მხარის თანამშრომლობით) შეძენილი ქონების თანასწორად გაყოფა-განაწილება?

თბილისელი მშრომელი ქალი.

პასუხი.

რაც შეეხება განქორწინებას, რადგანაც ორივე მხარენი თანახმანი ხართ, ასეთი შესაძლებელია მოგვარდეს მშვიდობიანი გზით ადგილობრივ მოქალ. მდგომარ. ჩაწერ. განყოფ. „მმაჩ"-ში სათანადო განცხადების შეტანით ორივე მხრით ხელისმოწერით (ხელისმოწერა უნდა იქნეს დადასტურებული ნოტარიალური წესით) — **(იხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდ. თავი 25-მე. მუხ. 220-ის შენიშვნა.)**. ქონების გაყოფა-განაწილება კი უნდა მოხდეს სასამართლოს განაჩენით, ვინაიდან ამზე თქვენ შორის არსებობს დავა.

ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარ კანონიერი გზით და საშუალებით თქვენ მიერ, ორივესი ერთად თანამშრომლობით (მიუხედავათ იმისა, სად მუშაობდა ყოველი თქვენთაგანი, შინ, საოჯახო საქმეში, თუ გარედ, სამსახურში და სამუშაოზე,) შეძენილი ქონების ნახევარი გეკუთვნით თქვენ პირადათ.

ასე მტკიცედ იცავს საბჭოთა სამართალი განქორწინებული მშრომელი ქალის სამოქალაქო უფლებებს.

მიწ ნორ ქლ

„ქორწინებაში" და „ქორწინების გარეშე" შობილ ბავშვების უფლებების შესახებ

კითხვა.

მე მყავს „ქორწინებაში" (და „ქორწინების გარეშე" შობილი ბავშვები. გთხოვთ, განმიმარტოთ, საბჭოთა კანონმდებლობის თვალსაზრისით, არის თუ არა მათ შორის რაიმე უფლებრივი განსხვავება?

მიწის მუშა ბადრია უ—შვილი.

პასუხი.

1921 წ. დეკრეტის № 28-ეს 104 მუხლის თანახმად, ყოველი ბავშვი ითვლება **მშობელთა ნამდვილ შთამომავლობაზე და თანასწორია ყოველგვარ უფლებებში მიუხედავათ იმისა, შობილია ის რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებიდან** (ე. წ. წოდებულ (კანონიერ ქორწინებიდან). **თუ მის გარეშე** (ე. ი. შობილია „ქორწინების გარეშე") ამიტომ რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებიდან და მის გარეშე შობილ ბავშვებში რაიმე განსხვავების დაწესება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული.

აგრეთვე დაბადების შემთხვევას რეგისტრაციაში გატარების დროს სათანადო მოქ. აქტში არ უნდა იქნეს ნაჩვენები ცნობები მშობლების ოჯახურ მდგომარეობის შესახებ **(ქმრიანი, უცოლო, განქორწინებული და სხვა).**

იხ. შინაგ. საქმ. სახკომატის ცირკულიარი № 53—1924 წლის 4 აპრილიდან).

მიწის ნორმები ქალაქად

კითხვა

მე ვმუშაობ მე-4 სტამბაში [illegible] არაფერი მაქვს, ამ ხელობაზე ვირიცხები 30 წელი, თუ მეტი არა. მყავს ერთი შვილი.

ქ. თბილისში მამა-პაპეულის გარეთუბანში მქონდა მოცემული ქალაქის მიწა (ერთი დესეტინა), ეს მიწა გადავამუშავე, ბაღად ვაქციე და ზედ არაფერი მისარგებლნია, ვინაიდან ჩემს ხელში იყო მხოლოდ და მხოლოდ ორი წლიწადი.

მიწა **ჩამომართვეს** და მე არაფერი არც მიმიღია და სარგებლობის ნებასაც არ მაძლევენ. როგორც უმიწაწყლო მუშას, მაქვს თუ არა უფლება ნაწილზე მაინც აღვადგინო სარგებლობის უფლება?!

მე-4 სტამბის მუშა **იკოლეიშვილი.**

პასუხი.

ქალაქად მიწის ნორმის **(200-600 კვად. საჟენამდე)** მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ მიწის მუშას, რომელიც არა ნაკლებ ათი წლისა საქართველოს გასაბჭოებამდე მოიჯარადრის სახით შეუწყვეტლივ ამუშავებდა და დღესაც ამუშავებს რაიმე მიწის ნაჭერს, თუ მას სხვაგან, არსად არა აქვს და არც რაიმე სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნია. თქვენ კი, ამხანაგო, მუშაობთ მე-4 სტამბაში, საიდანაც გაქვთ შრომის კანონთა კოდექსის თანახმად სათანადო ხელფასი; ამიტომ მიწის ნაჭერი დასამუშავებლად თქვენ არ მოგეცემათ.

(იხ. მიწის კოდექსი, ნაწილი მეორე — თავი მეორე — მუხ. 94—97).

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

წელიწად ნახევარი უბინობის შემდეგ ძლივს ვიშოვე ერთი ოთახი რეუტოვის ქუჩაზე № 18, რომელიც შეიცავს 48 კვ. არშინს. მე ვარ ექიმი — ვმსახურობ სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ კლინიკაში, ძირითად ჯამაგირს ვიღებ მე-12-ე ხარისხით 31 მან. 50 კაპ. ვართ სამი სული.

ჩემი ცოლი მსახურობს ალმასკომის ერთ-ერთ განყოფილებაში და ჯამაგირს იღებს მე-9-ე ხარისხით 38 მან. 50 კაპ. მაგრამ ის თავის ჯამაგირით ინახავს მის კმაყოფაზე მყოფ მშობლებს.

სახლის პატრონი მთხოვს ოთახის ქირას 35 მან. ერთი თვის უკვე მივეცი და შემდეგ თვეებში კი აღარ შემიძლიან ამდენის მიცემა გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენი უნდა ვიხადო ოთახის ქირა 1-ლ იანვრიდან და თუ სახლის პატრონმა ის არ მიიღო, როგორ მოვიქცე.

პროფკავშირის წიგნაკი № 1387.

პასუხი

ა. წ. პირველ იანვრიდან თითოეულ კვადრატიულ არშინზე ბინის ქირად თქვენ იხდით ორ კაპიკს, სულ მთელ ბინისას კი თვიურად **96 კაპიკს (ოთხმოცდა თექვსმეტ კაპიკს).** თუ კი სახლის პატრონი კანონიერ ქირას თქვენგან არ მიიღებს, დაისწარით მოწმეები და ეს ფული შეიტანეთ თბილისის ხაზინაში იუსტიციის საბჭოების დეპოზიტში, ფულის შეტანის ქვითარი საჭიროებისდაგვარად შეიტანეთ სათანადო სასამართლოში თუ კი სახლის პატრონი თქვენზე აღძრავს საჩივარს.

კითხვა

ვცხოვრობ მე-12 უბანში, შერემეტიევის ქუჩაზე სახლი № 5-ში, ბინის მოედანი უდრის 45 კვ. არშინს არავითარი შემოსავალი არა მაქვს, ვარ უმუშევარი პაპიროსის გამხვევი, ბინა ნესტიანია. გთხოვთ მაცნობოთ, რამდენი უნდა გადავიხადო სახლის ქირა.

საშუამავლო ბიუროს მეორე სექციის უმუშევარი № 399. დავით პეტრეს ძე **თურუნჯიშვილი.**

პასუხი

ბინის ქირად თვიურად თქვენ იხდით ა. წ. პირველ იანვრიდან ხუთ შაურს, როგორც ქალაქის განაპირა უბანში მცხოვრები და ს. შუამ. ბიუროს აღრიცხვაზე მყოფი უმუშევარი

კითხვა

მე ვცხოვრობ ხუდადოვის ქ. № 17-ში (მე-11 უბ.) მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 32 კ. არშინი. ვართ 3 სული. ვმუშაობ საქონლის სადგურზე მუშად. ჯამაგირს ვღებულობ **მე-7-დე თარიფით — 42 მან.** ბინის ქირად ვიხდი — 3 მან. წყალი ეზოში არ გვაქვს. ქირით უკმაყოფილო სახლის პატრონი მოსვენებას არ გვაძლევს და ჩემთან მტრულ განწყობილებაშია. გთხოვთ დაწვრილებით გამარკვიოთ, რამდენი უნდა ვიხადო თვეში ანდა თუ არ მიიღოს კანონიერი ქირა, როგორ მოვიქცე. ვარ კავშირის წევრი (პროფ. წიგნაკი № 1189).

მუშა ს. ი. ჩიკვილაძე.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად თქვენ იხდით **ცხრა შაურს და სამ კაპიკს** (48 კაპ.) თუ კი სახლის პატრონი აღნიშნულ კანონიერ ქირას თქვენგან არ მიიღებს, შეიტანეთ იგი თბილ. ხაზინაში იუსტიციის სახალხო კომისარიატის დეპოზიტში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 10

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

„სასოფლო სამეურნეო დარგში დაქირავებით მომუშავეთა სოციალური დაზღვევის შესახებ".

1925 წლის 24 იანვარი.

საქართველოს ს. ს. რ. შრომ. სახ. კომისარიატის მიერ 1924 წლის ნოემბრის 10 ს თარიღით და მე-2 №-ით სასოფლო-სამეურნეო დარგში დაქირავებით მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ გამოცემულ დადგენილების განსავითარებლად და დასამატებლად საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ დადგენილების 1-ლ მუხლში ნაჩვენებ საგლეხო არა წარმოებითი ხასიათის მეურნეობაში მომუშავე ერთეულების დაქირავების შესახებ მიწა-ტყის პროფკავშირის ადგილობრივ ან ცენტრალურ ორგანოს არავითარი ხელშეკრულება არა აქვს დადებული დამქირავებელთან ან დადებულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, რომ დამქირავებელი დაქირავებულს შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს აუნაზღაურებს სრულ ფაქტიურ შრომის ხელფასს (ნატურის ჩათვლით) გაუწევს მას ყოველგვარ საექიმო დახმარებას, მათზე უნდა გავრცელებულ იყოს სოციალურ დაზღვევის ის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ დადგენილების მე-2 მუხლით საგლეხო წარმოებითი ან ნახევრათ წარმოებითი ხასიათის მეურნეობებში მომუშავე ერთეულებისათვის.

დადგენილება ესე ძალაში შედის 1925 წ. 15 იანვრიდან.

საქ. შრომ. სახ. კომ. მოადგილე
ვ. ბერბერაშვილი.
რ. ს. დ. სამმარ. უფროსი.
ა. გოგიბერიძე.
შეთანხმებულია ს. ს ს. რ. პროფკავ. საბჭ ა | მგ. მდივნის მოგ. **ათოევი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, სამშაბათს, 27 იანვარს, საღამოს სრულ 5 საათზე, მეექვსე უბნის ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბში შესდგება ლენინის რაიკომის დელეგატ ქალთა დელეგატური კრება. დღის წესრიგში: „ამხ. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა", მომხსენებელი ამხ. იოიძე.

ლენინის რაიკომის ქალთა განყ. გამგე ლ. **ზიზინეიშვილი.**

— არსენალის რაიკომის საგ.-საპროპ. განყოფილება იუწყება: დღეს, 26 იანვარს საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში მოწვეულია „რემდასის" რაიონული საბჭო.

დღის წესრიგი: 1) მოხსენებანი თბილ. ორგ. ადგილობ. უჯრედების მდგომარეობის შესახებ. 2) მომავალი მოშაობის გეგმა.

საბჭოს წევრების დასწრება სავალდებულოა.

განყოფ. გამგ. შელია.

— მესამე რაიკომი იუწყება: დღეს, 27 იანვარს, სწორედ საღამოს 6 საათზე, პარტკლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის ქიმიურ საზოგადოების უჯრედების ბიუროების კონფერენცია. სადაც ასეთი უჯრედები არ მოიპოვებიან, იქ კომუჯრედები გამოჰყოფენ ქიმსაზოგადოების საგანგებო წარმომადგენელს და აგზავნიან კონფერენციაზე.

— დღეს, 27 იანვარს, საღამოს ექვსის ნახევარ საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება ქალთა დელეგატების კრება.

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისა და ქალთა ორგანიზატორებისათვის.

— დღეს, 27 იანვარს, ცენტრ. პარტკლუბში—კინო.

შესვლა თავისუფალია ყველა პარტ-ამხანაგებისა და მათ ოჯახობისთვის.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კლუბის გამგეობა.

— ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა კვირას, 1 თებერვალს იწვევს საზოგადო კრებას კავშირის ყველა სტუდენტ-წევრებისას, რომლებიც სწავლობენ თბილისის უნივერსიტეტში, ა | კ. კომ. უნივერსიტეტში, საბჭოთა და პარტკლუბში და მუშფაკებზე.

კრება შესდგება დღის 3 საათზე სატრანსპორტო კავშირის კლუბში (ალექსანდრეს ბაღი, ყოფ. ეკლესია).

კავშირის პრეზიდიუმი.

— თ. ქ. საგ.-საპროპ. განყოფილება იუწყება: ოთხშაბათს, 28 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ცენტ. პარტკლუბის შენობაში შესდგება ლენინიზმის შესასწავლი წრის საორგანიზაციო კრება (რუსულ ენაზე).

დასწრება სავალდებულოა ყველა ამხანაგებისთვის, ვინც ჩაეწერა ამ წრეში სამეცადინოთ.

თ. ქ. საგ.-საპროპ. განყოფილება.

— ქალაქის რაიკომის საგ.-საპროპ. განყოფილება იუწყება: დღეს, 27 იანვარს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიონის პოლიტგანათლების სკოლებისა და მარქსისტულ წრეების ხელმძღვანელთა თათბირი.

დღის წესრიგი: მოხსენებანი ადგილებიდან.

განყ. გამგე წითლიძე.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყ. იუწყება: დღეს, 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის ალმასკომის შენობაში შესდგება ქალთა დელეგატების კრება.

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისა და ქალთა ორგანიზატორებისათვის.

ქალთა განყოფილება.

— თ. ქ. ალმრიცხვ. გამნაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ილარიონ თოდუას, ლუკიჩს და ოჰანეს ავაქიანს გამოცხადდენ განყოფილებაში ამხ. კოჯაიანთან.

თ. ქ. ალმრიცხ.-გამნაწ. განყოფილება.

პროფესიული.

— დღეს, სამშაბათს, 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში შესდგება კავშირების ცენტრ. გამგეობათა, ფაბქარხკომთა და ადგილკომთა სარევიზიო კომისიების გაერთიანებული სხდომა. დღის წესრიგში დასმულია:

ამხ. ათოევის საინსტრუქციო მოხსენება სარევიზიო კომისიების მომავალი მუშაობის შესახებ.

სარევიზიო კომისიების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ს. პ. კ. ს. საორგ. განყოფილება.

გრიგოლ დავითის ძე გომართელი, იულია დავითის ასული და ნიკოლოზ ალექსის ძე ზარხოშაშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველთა დის და მეორესი ცოლის დის

ელენა დავითის ასულის გომართელის

უდროვოდ გარდაცვალებას.

ცხედარის გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 4 საათზე ალექსანდროვის სავადმყოფოდან. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე.

165 1—1

სახელმწიფო დრამა

დღეს, 27 იანვარს
სინათლე
ხუთშაბათს, 29 იანვარს
შპიგელმენშ
შაბათს, 31 იანვარს
მალშტრემ

702 5—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 27 იანვარს **ბოჰემა**
ხუთშაბათს, 29 იანვარს **პიკის ქალი**
პარასკევს, 30 იანვარს
ფაუსტი და ვალპურგიის ღამე.

ნის. 723. 4—1

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეთა სამმართველო ამით აცხადებს, რომ ა—კ. სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს 1924 წ. 8 დეკემბრის დადგენილების თანახმად, ამა წლის 1 თებერვლიდან ქალაქ თბილისში იხსნება

„ა—კ. კრედიტ-ბიურო"

საბჭოთა კავშირის სააქციონერო საზოგადოების „კრედიტ-ბიურო"-ს წარმომადგენლობა

მის გახსნამდე „ა—კ. კრედიტ-ბიუროს" საქმეებისათვის უნდა მიმართოთ „ა—კ. კრედიტ-ბიურო"-ს გამგეს ამხ. იტკინოვსკის (სოლოლაკის ქ. № 9)

ა—კ. შინა—ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი: ფარაზოვი.

704 1—1

თბილისის საბირჟო კომიტეტი

ამით აუწყებს თბილისის საქონლისა და საფონდო ბირჟის წევრებს, რომ კვირას, 1 თებერვალს, დილის 11 საათზე ბირჟის ბინაზე (ალმასკომის ქ. № 7) შესდგება

ბირჟის წევრთა

წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1. საბირჟო კომიტეტის ანგარიში ბირჟის 1923—24 წ. მოქმედების შესახებ.
2. ბირჟის 1923—24 წ. ფინანსიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
3. ბირჟის 1924—25 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4. ბირჟის ახალი წესდების შესახებ.
5. საბირჟო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

695 1—1.

ს. ს. ს. რ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს მოწვეულთა საყურადღებოთ, რომ საჯარო გასინჯვა კინო-სურათის

„ქარიშხალის წინ"

დანიშნულია იანვრის 27-ს, საღამოს სრულ 8 საათზე კინო „ასისი"-ს დარბაზში (სახელმწიფო კონსერვატორია)

თხოვნა—მოწვევის ბარათები თან იქონიოთ.

707 1—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვს პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. № 3203. 25—11

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9 დან დილის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—7

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

სავადმყოფო

ტერაპიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორიული მიღება შენობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13 ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4.

ნის 372 —100—36

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მუხსე

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—17

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—20

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)

25—121

ექიმი

ბ. გ. მევრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის ტუბერკულოზის. სპეცმკურნალობა მალარიისა **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ზებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—8

საქ. გან. კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავარ. მმართვ. მფარველობაში მყოფი

საბუღალტრო კურსები №1

ი. ავალიშვილის

გამგებლობით გაფართოებულია პროგრამით.

თებერვალში იხსნება ახალი ჯგუფი

კურსების მისამართი: დავიდოვის ქ. № 25. გამგის დუშეთის ქ. № 19. 4 ნახ.—5 ნახ. საათ. № 149. 3—3

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 7213 აკოპ სირანიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე სააღრიცხვო ბარათი № 1846-ი გიორგი ნ. კოლოზის ძე ნინიკაშვილის სახელზე მოცემული მე-9-რე უბნის სააღრიცხვო განყოფილებისაგან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

166 1—1

დავკარგე მოწმობა მოცემული ა | კ. რკ. გზ. სამ. შიოლ. ლაზ. მე-2-რე გუნდის № 4380 ლიბრაძე მიხეილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

168 1—1

პარტიულ-პროფესიონალ ორგანიზაციების, ლენინის კუთხეების, ქარხკომებისა და სხვათა საყურადღებოდ.

ახალი წიგნები

„საბჭოთა კავკასიონისა"

დაიბეჭდა და იყიდება შემდეგი წიგნები ქართულ ენაზე

1) ლენინიზმი თუ ტროცკიზმი—კრებული. ფ. 1 მ. 25 კ.
2) ზინოვიევი—რ. კ. პ.-ს ისტორია, ფ. 1 მ.
3) სორინი—ლენინის მოძღვრება პარტიის შესახებ, ფ. 1 მ.

მოკლე ხანში გასასყიდად გამოვა:

1) მ. ორახელაშვილი—პროლეტარული რევოლუციის საკითხები.
2) მ. ჯავახიშვილი—კვაჭი კვაჭანტირაძე, შვიდ-კარიანი რომანი.

ნის. № 705 1—

1925 წ. წლისათვის მიიღება ხელისმოწერა 1925 წ.

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის სამაზრო კომიტეტის და აღმასკომის ორგანოზე

ყოველკვირეულ გლეხურ გაზეთ

„სიმართლე"-ზე

ხელისმომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს, დაურიგდებათ შემდეგი უფასო დამატებები:

1. „გლეხის თანამგზავრი" 250 გვერდიანი წიგნი.
2. 1925 წლის კალენდარი.

ექვსი თვით ხელისმომწერლებს დაურიგდებათ მხოლოდ კალენდარი, წლიურ ხელისმომწერლებს ორივე—„გლეხის თანამგზავრი" და კალენდარი.

გაზეთი ელირება

სიღნაღის მაზრაში ადგილობრივ

1 თვით	. . . . . . —	15 კაპ.
3 „	. . . . . . —	45 „
6 „	. . . . . . —	90 „
1 წლით	. . . . . .	1. მ. 80 „

საქართველოს სხვა ადგილებში ფოსტით გადაგზავნით

1 თვით	. . . . . . —	25 კაპ.
3 „	. . . . . . —	70 „
6 „	. . . . . .	1 მ. 40 „
1 წლით	. . . . . .	2 მ. 80 „

თბილისში ხელისმოწერა მიიღება გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორაში

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის

ბალანსი

1925 წლის 1-ლ იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	ანგარიშების სახელწოდება.	ჯამი			
1	**ნაღდი საშვალებანი:**				
	1) სალარო	43	51		
	2) ვალიუტა	684	85		
	3) სახელდახელო ანგარიშები	6.262	48	6.990	84
2	**აქციები და ფაიები:**			1.913	27
3	**მატერიალური საშუალებანი:**				
	1) საქონელი საწყობებში	430659	14		
	2) მოძრავი ქონება	30097	01		
	3) უძრავი ქონება	77880	—	538.636	15
4	**დებიტორები**			48.718	71
5	**განყოფილებები:**				
	1) საწარმოო	14276	57		
	2) ფილიალური	7266	74	21.543	31
6	**საქვეანგარიშო პირნი**			1.426	59
7	**ძირითადი სახსრები:**				
	1) მიმდინარე	11418	76		
	2) საექ. სასანიტ. განყ. შენახვა	16072	30		
	3) გაცემული დახმარება	2687	14	32.878	20
	ბალანსი. . .	—	—	652.107	07

პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების სახელწოდება	ჯამი			
1	**საკუთარი თანხები:**				
	1) ძირითადი თანხა	547287	68		
	2) საამორტიზაციო ფონდი	6917	—	554.204	68
2	**შემოსავალი**				
	1) საწევრო გადასახადი	506	—		
	2) პროცენტული ანარიცხები და სხვადასხვა შემოსავალი	31259	44	31.765	44
3	**კრედიტორები:**				
	1) სესხი გირაოს ქვეშ	10927	42		
	2) გაცემული თამასუქები	42734	67		
	3) გარდამავალი თანხები პასივისა	146	38	53.808	47
4	**მოგება 1923 | 4 საანგარიშო წლისა**			12.323	48
	ბალანსი. . .	—	—	652.107	07

საქ. წით. ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. კიკალიშვილი.
პრეზიდიუმის წევრები: 1. გ. ნუცუბიძე.
2. ი. ქუთათელაძე.
მთავარი ბუღალტერი ვლ. გიორგაძე.

ნის. 706 1—1

---

28 იანვარი ოთხშაბათი

აისი გაიხსნება ახალი კინო-თეატრი აისი

28 იანვარი ოთხშაბათი

(კონსერვატორიის დიდი დარბაზი)

საქ. სოც. უზრუნველყოფის კომის. სურათი

„ქარიშხალის წინ"

კინო მოთხრობა 8 ნაწ.

მუსიკა შედგენილია კომპოზიტორ დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით.

სიმფონიური ორკესტრი 22 კაცისაგან.

დადგმა: კოტე მარჯანიშვილის
სცენარი შალვა დადიანის
ოპერატორი მტებელმანი

კასა ღიაა 4 საათიდან.

დასაწყისი 5 საათზე.

ნის. 708. 2—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა სამ. ჭულუკიძის ქ. № 4